



ბარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების
სამინისტრო

2008 წლის ანგარიში

სამინისტროს მისია და სტრატეგიული მიმართულებები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მისიას მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

სამინისტროს მიერ დასახული მისიის განხორციელების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული იქნა განსახორციელებელ რეფორმათა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები:

გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფა

2008 წელს განხორციელებულ საქმიანობათა ხასიათისა და კურსის განმსაზღვრელად შეიძლება ჩაითვალოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. შესაბამისად, განხორციელებული ღონისძიებები ორიენტირებული იყო 2008 წლისათვის დადგენილი პრიორიტეტების განხორციელებასა და დაგეგმილ რეფორმათა პრაქტიკულ რეალიზებაზე.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2008 წელს განსახორციელებელი ძირითადი პრიორიტეტების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვის ახალი მექანიზმების

შემუშავების, გარემოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის ორგანიზების, გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სისტემის სრულყოფის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ,” (ბიუჯეტის ორგანიზაციული კოდი 38 00) წლიური ბიუჯეტი თავდაპირველად დაუმტკიცდა 38 718,5 ათ. ლარი, აქედან საბიუჯეტო სახსრები –30 532,7 ათ. ლარი (მ.შ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსებების ასიგნებებმა შეადგინა 1 910,5 ათ. ლარი) გრანტები და კრედიტები განისაზღვრა – 8 185,8 ათ. ლარით. მომუშავეთა საერთო რიცხოვნობა დამტკიცდა 1463 ერთეული.

დამტკიცებული ბიუჯეტიდან საერთო ხარჯებისათვის განისაზღვრა 31 356,5 ათ. ლარი (მ.შ. შრომის ანაზღაურებაზე 10 122,9 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურებაზე – 6 084,0 ათ. ლარი, სუბსიდიების მუხლით 10 484,7 ათ. ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 102,5 ათ. ლარი, სხვა ხარჯებისათვის 4 562,4 ათ. ლარი), არაფინანსური აქტივებისათვის განისაზღვრა –7 362,0 ათ. ლარი.

საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით 2008 წლის ბოლო დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა: 32 296,1 ათ. ლარი, აქედან საბიუჯეტო სახსრებმა –29 096,9 ათ. ლარი (მ.შ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსებების ასიგნებებია – 614,7 ათ. ლარი), გრანტებისა და კრედიტების დაზუსტებულმა გეგმიურმა მაჩვენებელმა 3 199,2 ათ. ლარი შეადგინა. აქედან, ფულადი გრანტის სახით წლის განმავლობაში მიღებული იქნა სულ 267,2 ათ. ლარი (40,3 ათ. ლარი გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ, 183,8 ათ. ლარი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ხოლო 43,1 ათ. ლარი სსიპ გარემოს

ეროვნულ სააგენტოს მიერ). დაზუსტებულმა მომუშავეთა რიცხოვნობამ 1459 ერთეული შეადგინა.

სამინისტროს დაზუსტებული ბიუჯეტი ორგანიზაციულ ჭრილში შეადგენს:

– გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატის – 3 771,3 ათ. ლარს;

– გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ხარჯები – 658,0 ათ. ლარს;

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამების ხარჯები განისაზღვრა 3 500,0 ათ. ლარით; აქედან:

- პროგრამა „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის” –100,0 ათ. ლარით;
- პროგრამა „საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრის გეოდეზიურ კარტოგრაფიული სამუშაოები” 400,0 ათ. ლარით;
- პროგრამა „მოსახლეობის შემთხვევით უზრუნველყოფის ღონისძიებები (მ.შ. 2007 წლის ბოლოს შესრულებული სამუშაოების დაფინანსება)” 3 000,0 ათ. ლარით;

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, მ.შ.

– საგამოძიებო დეპარტამენტის ბიუჯეტის გეგმიური მოცულობამ შეადგინა 692,6 ათ. ლარი;

– სატყეო დეპარტამენტის ბიუჯეტმა – 6 240,0 ათ. ლარი;

– გარემოს დაცვის ინსპექციის ბიუჯეტმა – 5 317,8 ათ. ლარი;

სამინისტროს მიერ კონტროლირებადი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის სუბსიდიების სახით დამტკიცდა:


– სივრცული ინფორმაციის ცენტრისთვის და მონიტორინგისა და პროგნოზირების უფლებამონაცვლე - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის – 4 378,1 ათ. ლარი;

– სსიპ სატყეო საბაზისე სანერგე მეურნეობისთვის – 255,0 ათ. ლარი;


- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სუბსიდია 3 936.6 ათ. ლარი (აქედან ყოფილი დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ხარჯებია -87,4 ათ. ლარი).

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე ასიგნებები განისაზღვრა 3 199,2 ათ. ლარის ოდენობით.

2008 წლის ბიუჯეტი ორბანიზაციული ზრილში (ათ. ლარებში)



სულ დაზუსტებული ბიუჯეტი -32 296.1 ათ. ლარი, (მ.შ საბიუჯეტო სახსრები -28 482.2 ათ. ლარი, გრანტები და კრედიტები -3199.2 ათ. ლარი, თანამონაწილეობა- 614.7 ათ. ლარი)



ატმოსფერული ჰაერის დაცვა

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების აღრიცხვა და იდენტიფიკაცია

"ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 29²-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებენ თავიანთ რეგიონებში განთავსებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების აღრიცხვასა და იდენტიფიკაციას დაბინძურების მსხვილ და საშუალო სტაციონარულ ობიექტებად. აღრიცხული და იდენტიფიცირებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების ჩამონათვალი ყოველწლიურად ბრძანებით მტკიცდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ.

ტერიტორიული ორგანოებიდან მიღებული შესაბამისი მასალების შეკრების და განხილვის საფუძველზე, დადგენილ იქნა ქვეყნის მასშტაბით აღრიცხული და იდენტიფიცირებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 21 თებერვლის №209 ბრძანებით.

დაბინძურების სტაციონარული ობიექტებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა

სამინისტრო ყოველწლიურად ასორციელებს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტებიდან, რომელიც წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში დაბინძურების სტაციონარული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილ, გამწმენდ მოწყობილობებში დაჭერილ და ატმოსფერულ ჰაერში ფაქტიურად გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების ერთობლიობას.

ტერიტორიული ორგანოებიდან მიღებული შესაბამისი მასალების გადამუშავების, ანალიზისა და განზოგადოების საფუძველზე დადგინდა ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების როგორც ჯამური მონაცემები, ასევე ცალ-ცალკე რეგიონების, ქალაქების და ძირითადი მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების მიხედვით თითოეული მავნე ნივთიერების გათვალისწინებით. ამასთან ერთად, ცალკე კრებულად შემუშავდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც გარდა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვევებისა, ასახვა ჰპოვა ავტოტრანსპორტის ფუნქციონირების შედეგად წარმოებულმა გაფრქვევებმა.

შეიქმნა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის შესახებ კომპიუტერული მონაცემთა ბაზა.

დაბინძურების სტაციონარული ობიექტებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ნორმირება

სამინისტროს მიერ განხილული და შეთანხმებულ იქნა 133 საწარმოს მიერ შემუშავებული „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“ და 28

საწარმოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევების ნორმების პროექტი”.

კანონმდებლობა

შემუშავდა და პარლამენტის მიერ 2007 წლის 14 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", რომელიც ძალაში შევიდა 2008 წლის 1 იანვრიდან. ამ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა 3 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 24 სექტემბრის ბრძანება №667 “დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №704 “ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე;

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება №705 “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე.

ასევე შემუშავებულ იქნა “მცირე მასშტაბის წყაროების ჩამონათვალისა და მათ გამონაფრქვევში (გამონაბოლქვში) ძირითად მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის, შემოწმების წესისა და მეთოდების დამტკიცების შესახებ” პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც გაგზავნილ იქნა დაინტერესებულ უწყებებში შესათანხმებლად.

- შემუშავებულ იქნა დებულება “ოზონდამშლელ ნივთიერებათა იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ”.

საერთაშორისო საქმიანობა

“ოზონის შრის დაცვის შესახებ” 1985 წლის ვენის კონვენციას და “ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ” 1987 წლის მონრეალის ოქმი

ჩატარდა ოზონდამშლელი ნივთიერებების (ქლოროფტორნახშირბადები, ჰალონები, ქლოროფტორწყალნახშირბადები, მეთილბრომიდი და ა.შ.) ინვენტარიზაცია ქვეყნის მასშტაბით და 2007 წლის მოხმარების მონაცემები გაგზავნილ იქნა მონრეალის ოქმის სამდივნოში.

- საქართველოში ქლოროფტორნახშირბადების (ქფნ) (ოზონდამშლელი ნივთიერებები) საბოლოოდ ხმარებიდან ამოღების გეგმის ფარგლებში, სამინისტრომ და სამაცივრო, კრიოგენული ტექნიკის და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ასოციაციამ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შეიმუშავა საქართველოს სტანდარტი – „სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები“, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტის და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ 2008 წლის 2 ივლისს (რეგისტრაციის ნომერი: 268-1.1-20227)

- საქართველოში ქლოროფტორნახშირბადების საბოლოოდ ხმარებიდან ამოღების გეგმის ფარგლებში, სამაცივრო, კრიოგენული ტექნიკის და ჰაერის

კონდიციონების ინჟინერთა ასოციაციამ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით საქართველოს სამ პროფესიულ განათლების ცენტრში (თბილისის პროფესიული სასწავლებელი „სპექტრი“, ქუთაისის მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებელი, ქობულეთის პროფესიული ლიცეუმი) დანერგა სამაცივრო და ჰაერის კონდიციონების დარგის ტექნიკოსთა პროფესიული მომზადების პროგრამა. აღნიშნულ ცენტრებს უსასყიდლოდ გადაეცა თანამედროვე სამაცივრო და ჰაერის კონდიციონების დარგის მომსახურების ხელსაწყო-იარაღები, კომპიუტერულმა სასწავლო პროგრამამ, სპეციალური ლიტერატურა და სასწავლო პროგრამის პროექტი.

– თბილისსა და ბათუმში ორგანიზებულ იქნა მებაჟეთა სემინარები, სადაც საბაჟო უწყების თანამშრომლებმა ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების კონტროლის შესახებ თეორიული ცოდნის გარდა მონაწილეობა მიიღეს ამ ნივთიერებების იდენტიფიკატორის გამოყენების პრაქტიკული გამოცდილებაც.

– საქართველოში ქლოროფტორნახშირბადების (ქფნ) (ოზონდამშლელი ნივთიერებები) საბოლოოდ ხმარებიდან ამოღების გეგმის ფარგლებში, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ოზონდამშლელი მაცივარაგენტების ხელახალი გამოყენების მიზნით შექმნილი აღდგენა/რეციკლირების ცენტრისათვის შექმნილ იქნა თანამედროვე ხელსაწყო იარაღები, კერძოდ: მაცივარაგენტების აღსადგენი ხელსაწყო, გაზური ქრომოტოგრაფი, მაცივარაგენტების იდენტიფიკატორი, აზოტის გენერატორი და მაცივარაგენტის ტენიანობის იდენტიფიკატორი. ამავე პროგრამის ფარგლებში სამაცივრო სექტორის მომსახურების ყველაზე მსხვილ და მოწინავე ცენტრებს უსასყიდლოდ გადაეცათ თანამედროვე ხელსაწყო-იარაღები.

– მომზადდა წყალბადქლოროფტორნახშირბადების (ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების) ხმარებიდან ამოღების მოქმედებათა გეგმის საპროექტო წინადადების საბოლოო სამუშაო ვარიანტი.

მომზადდა ხელშეკრულების პროექტი სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციას (InWEnt) შორის, რომელიც ითვალისწინებს სამწლიან სემინართა ციკლს სამინისტროს თანამშრომლებისათვის. აღნიშნულ პერიოდში დაგეგმილია 11 ადგილობრივი და 3 საერთაშორისო სემინარის ორგანიზება სამინისტროს თანამშრომლებისა და სპეციალისტებისათვის (ძირითადად საშუალო რანგის და ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის).

ზემოაღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში 2008 წლის 17-19 ნოემბერს სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ჩატარდა პირველი სასწავლო სემინარი თემაზე – “გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია”.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის 1979 წლის “კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” და მისი 8 ოქმი. საქართველო შეუერთდა კონვენციას 1999 წელს, მაგრამ არ არის შეერთებული არცერთ ოქმთან და შესაბამისად არ გვაქვს აღებული ვალდებულებები კონკრეტული დამაბინძურებლების შეზღუდვაზე. საქართველო მონაწილეობს კონვენციის სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და ახორციელებს მოლაპარაკებებს კონვენციის სამდივნოსთან და მის აღმასრულებელ ორგანოსთან კონვენციის პირველ ოქმთან - EMEP (ოქმი ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ მანძილზე გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ) შესაერთებლად.

წყლის რესურსების მართვა

2008 წელს მიმდინარეობდა მუშაობა ზედაპირული წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის მომზადებაზე აუზური პრინციპების გამოყენებით. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედება წყლის შესახებ ახალი კანონპროექტის მომზადებას, რომლითაც განსაზღვრული იქნება ზედაპირული წყლის რესურსების მართვის თანამედროვე მოთხოვნები ევროკავშირის წყლის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გათვალისწინებით.

TACIS-ის “შავი ზღვის თანამშრომლობის საერთაშორისო პროექტთან” ერთად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები საქართველოს წყლის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზისა და წყლის ახალი კანონპროექტის მოსამზადებლად.

შემუშავდა შავი ზღვის დაცვის კონვენციის “ხმელეთზე განლაგებული წყაროებისა და საქმიანობებისაგან გამოწვეული შავი ზღვის დაბინძურების” განახლებული ოქმის პროექტი. ძველი ოქმის (რომელიც მიღებული იქნა 1992 წელს და რომლის მხარე არის საქართველო) განახლება დაიწყო 2003 წელს შავი ზღვის ქვეყნების ინიციატივით. საქართველოს წინადადებები და შენიშვნები მთლიანად გათვალისწინებულია ოქმის პროექტის საბოლოო ვერსიაში. ოქმი ითარგმნა ქართულ ენაზე. მომზადდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეგზავნა დასაბუთება აღნიშნულ ოქმთან საქართველოს მიერთების მიზანშეწონიობის თაობაზე.

ხელმოწერა დაგეგმილია 2009 წლის გაზაფხულზე შავი ზღვის ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების შეხვედრაზე.

შემუშავდა შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების წყლის ნაწილი. კერძოდ, “საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების პირობებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი” იმ საქმიანობებისთვის, რომლებიც არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას. დოკუმენტი დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის №745 ბრძანებით და რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

2. “წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1998 წლის 7 მაისის №59 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებები. დოკუმენტი დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების 2008 წლის 27 ნოემბრის №765 ბრძანებით და რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

ქვეყნის მასშტაბით 800 წყალმოსარგებლე ობიექტიდან წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშგების “წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების (№04-1-01)” მიხედვით სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით სტატისტიკურად დამუშავდა და მომზადდა “საქართველოში 2007 წელს წყალსარგებლობის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკური კრებული”, რომელიც წარედგინა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

გაეროს სტატისტიკის განყოფილებისა (COOON) და გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი სტატისტიკური მასალები საქართველოს წყლის რესურსებისა და წყალსარგებლობის სფეროში, რომელშიც აისახა სამეურნეო დარგების მიხედვით აღებული და გამოყენებული წყლის რაოდენობაზე, ჩამდინარე წყლების ჩაშვების, ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობების შესახებ 1990-2007 წლების მონაცემები.

სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მასალების საფუძველზე მზადდება საქართველოს ძირითადი მდინარეების ჰიდროლოგიური დახასიათება. მომზადებულია შესაბამისი მასალა შემდეგ მდინარეებზე: მტკვარი, ალაზანი, იორი, ხრამი, ფოცხოვი, რიონი, ფარავანი, არაგვი, დიდი ლიახვი და წყალწითელა.

განხილული და მომზადებული იქნა დასკვნები გარემოზე ზემოქმედების შეფასების 60 პროექტზე, მათ შორის ისეთ მსხვილ საწარმო ობიექტების პროექტებზე, როგორცაა:

- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალის გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტი;
- რუსმეტალის ენერჯიინგესტის ქიმიური საწარმო “აზოტის” გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი;
- ქ.ციხულის ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს ზემოქმედების შეფასების პროექტი
- ნამახვანჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების პროექტი;
- დაბა ბაკურიანის წყალმომარაგების პროექტი და სხვა.

განხილულია და შეთანხმებულია ჩამდინარე წყალთან ერთად დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღწ) ნორმატივების 29 პროექტი.

მომზადდა შენიშვნები და წინადადებები:

- „შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის“ კანონპროექტზე;
- ”ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტებზე;
- „მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო უბნის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის“ მუშა პროექტის „გარემოს დაცვის“ ნაწილზე.

სამინისტრომ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის პროექტის შემუშავებასა და კავკასიის საველე ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული სწავლების პროგრამის დაფუძნებასა და მუდმივმოქმედი მრჩეველთა ეროვნული კომიტეტის ჩამოყალიბებაში.

”წყალი და ჯანმრთელობის“ 1999 წლის ლონდონის ოქმი“-ს მოთხოვნათა შესრულების უნიფიცირებული მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით:

ა) აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში წყალთან დაკავშირებული დაავადებების მდგომარეობისა და მათი შემცირების კომპლექსური ღონისძიებების მექანიზმებთან დაკავშირებული საერთაშორისო მოხსენების მომზადების მიზნით სპერციალური კითხვარის მიხედვით მომზადდა შესაბამისი მასალა და გადაეგზავნა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს იტალიაში.

ბ) განხილულ იქნა და განისაზღვრა “წყალი და ჯანმრთელობის ოქმის” მოთხოვნების შესაბამისად განსახორციელებელი საპროექტო წინადადებების საერთაშორისო დასაფინანსების პროექტების შერჩევის კრიტერიუმების, ანკეტა-განაცხადის ფორმებისა და პროექტების რეალიზაციის მიზნით საერთაშორისო დახმარების აღმოჩენის შესაბამისი მექანიზმების პროექტები და სხვა, რომლებიც წარედგინა ოქმის სამდივნოს.

სამინისტრო თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო პროექტებთან:

1. TACIS-ის საერთაშორისო პროექტი “წყლის მართველობა აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა და კავკასიის ქვეყნები”.

პროექტი დაწყებულია 2008 წელს და დამთავრდება 2010 წელს.

პროექტის განმხორციელებელი – Mott MacDonald და Euroconsult Mott MacDonald Milieu.

პროექტის ფარგლებში:

- გაანალიზდა საქართველოში ძირითადი ზედაპირული წყლების ხარისხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული 2004-2006 წლების მონაცემები, რომლის შედეგები საფუძვლად დაედო მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას

- შემუშავდა წყლის ხარისხის სტანდარტების დადგენის, ზედაპირული წყლების კლასიფიკაციის სისტემისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიმიტების შემუშავების მოქმედებათა ერთიანი გეგმა.

2. ევროკომისიის საერთაშორისო პროექტი “ტრანსსახელმწიფო მდინარის – მტკვრის – მენჯემენტის მეორე ფაზა (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი).

პროექტი დაწყებულია 2008 წელს და დამთავრდება 2010 წელს.

პროექტის განმხორციელებელი – EPTISA Servicios de Ingenieria S.A. (ესპანეთი) და Gronmij Carl Bro A.S. (დანია).

პროექტის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზებზე; ჩატარდა პროექტის სამეთვალყურეო კომიტეტის პირველი შეხვედრა, სადაც განსაზღვრულია საპილოტო წყლის ობიექტები, რომლებისთვის შემუშავებული იქნება “მდინარის აუზის მართვის გეგმა”: მდ. ალაზანი (საქართველო-აზერბაიჯანი) და მდ. არაგვის აუზი (საქართველო) და მოხდა შემდგომი საქმიანობის კონკრეტიზაცია.

3. TACIS-ის საერთაშორისო პროექტი “შავი ზღვის თანამშრომლობა”.

პროექტი დაწყებულია 2007 წელს და დამთავრდება 2009 წელს.

პროექტის განმხორციელებელი - Euroconsult Mott MacDonald (The Netherlands), Mott MacDonald Ltd (UK) და Milieu Ltd. (Belgium).

პროექტის ფარგლებში:

- შემუშავებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის პროექტი;
- განხორციელდა სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის პილოტ-პროექტი წყალწმინდაში;

- მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს წყლის კანონმდებლობის განახლებაზე.

4. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის "სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობის პროექტი" ეუთოსთან თანამშრომლობის გზით გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ინიციატივის ფარგლებში

პროექტი დაწყებულია 2008 წელს და დამთავრდება 2009 წელს.

აღნიშნულ პროექტის მიზანს წარმოადგენს "ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ" გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციასთან შეერთების ხელშეწყობა.

სამინისტროს თანამშრომლებთან კონსულტაციების შედეგად პროექტის ფარგლებში შერჩეულია საერთაშორისო ეროვნული კონსულტანტები. კონსულტანტების მიერ განხორციელდება სპეციალური ექსპერტული შეფასება და მისი მიზანი იქნება საქართველოსთვის კონვენციის ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ღონისძიებების, მათი განხორციელებისათვის საჭირო რესურსების და ვადების განსაზღვრა.

ნარჩენებისა და ჭიმიური ნივთიერებების მართვა

მომზადდა „ნარჩენების მართვის კანონპროექტის კონცეფცია“, „ნარჩენების მართვის კანონპროექტი“ და “მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების მოწყობის ტექნიკური რეგლამენტის პროექტი”.

- საანგარიშო პერიოდში სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა BP-ის მიერ ქ. რუსთავისა და გარდაბნის რაიონისათვის მუნიციპალური ნარჩენების მართვის მდგომარეობის გაუმჯობესების და ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის დაგეგმარების მიზნით. სამინისტროს წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა ღონის შეხვედრებში, ნაგავსაყრელისათვის ტერიტორიის შერჩევაში, შემდგომ ეტაპზე ტერიტორიის შესწავლაში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვებში. ამჟამად BP-ის მიღებული აქვს ნებართვა და ნაგავსაყრელის მშენებლობის დაწყება დაგეგმილია 2009 წლიდან. განსაზღვრულია აგრეთვე რუსთავისა და გარდაბნის რაიონებისათვის ნაგვის კონტეინერებისა და ნაგავშიდი მანქანების შექმნა, ასევე პერსონალის ტრენინგი ნარჩენების მართვის საკითხებზე.

- სამინისტრო აქტიურად მონაწილეობდა იაღლუჯას საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელის (ნაგავსაყრელი ქ. თბილისის დასუფთავების სამსახურის დაქვემდებარებაშია) კეთილმოწყობის ღონისძიებების დაგეგმვაში BP-სთან ერთად. სამუშაოები შესრულდება 2009 წელს.

- შეფასდა გორი-სკრის გადასარბენზე ნედლი ნავთობით დაბინძურებული ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა, მომზადდა რეკომენდაციები და გასატარებელი ღონისძიებები.

განხორციელებული პროექტები:

- „ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა და ღროებით უსაფრთხო განთავსების“

საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და ღროებით უსაფრთხო

განთავსებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 100 000 ლარი. პროექტის ფარგლებში განსახორციელდა სამუშაოების წინასწარი შეფასება და დაგეგმვა ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და იმერეთის რეგიონებში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. დასუფთავდა შესამქიმიკატებით დაბინძურებული 12 მაღალი რისკის მქონე ობიექტი
2. ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდები (50 ტ) შეგროვდა, შეიფუთა, გადატანილი იქა და განთავსდა საგარეჯოს რაიონის სოფ. ბადიაურში სპეციალურად ამ მიზნით მომზადებულ საწყობში.
3. პესტიციდების გატანის შემდეგ ობიექტებიდან გატანილი იქნა პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტი (130 ტ), რომელიც განთავსდა იაღლუჯის შესამქიმიკატების პოლიგონზე, გარემოდაცვითი წესების დაცვით.
4. პესტიციდების და პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტის გატანის შემდეგ ობიექტზე ჩატარდა სადეზაქტივაციო სამუშაოები.

– “ვადაგასული პესტიციდების რისკ-ფაქტორების შემცირება კახეთის რეგიონში”

კახეთის რეგიონში განხორციელებული ვადაგასული პესტიციდები-რისკ ფაქტორების შემცირების პროექტი დაფინანსებულ იქნა ჰოლანდიის მთავრობის მიერ და განხორციელდა ჰოლანდიური საერთაშორისო ორგანიზაციის “Milieukontakt International-თან” ერთად.

– პროექტის ფარგლებში ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების უსაფრთხო განთავსების მიზნით მოეწყო საწყობი საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში.

– კახეთის რეგიონში 7 მაღალი რისკის მქონე ობიექტიდან შეგროვდა, შეიფუთა და გადატანილი იქნა საწყობში 117 ტ ვადაგასული პესტიციდი.

– პესტიციდების გატანის შემდეგ ობიექტებიდან გატანილი იქნა 105 ტ პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტი, რომელიც განთავსდა იაღლუჯის შესამქიმიკატების პოლიგონზე.

აღნიშნულ საწყობში დაგეგმილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შეგროვებული პესტიციდების უსაფრთხოდ განთავსება.

ამავე დროს მიმდინარეობს მუშაობა ცენტრლურ საწყობში დროებით განთავსებული ვადაგასული პესტიციდების (ტოქსიკური ნარჩენების) გაუვნებელყოფისათვის უსაფრთხო ტექნოლოგიების მოძიებასთან დაკავშირებით.

ვადაგასული პესტიციდები შესაძლებელია გატანილი იქნეს ევროპის რომელიმე ქვეყანაში და მისი გაუვნებელყოფა მოხდეს მაღალტემპერატურის ღუმელებში. ან შექმნილ იქნას თანამედროვე ტექნოლოგია და გაუვნებელყოფა მოხდეს ადგილზე.

2009 წლისთვის მომზადდა საპროექტო წინადადებები, კერძოდ:

– “საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და დროებით უსაფრთხო განთავსების შესახებ”

პროექტის განხორციელების მიზნით მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 150 000 ლარი.

პროექტის მიზანია დარჩენილი ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და სათანადო საწყობში დროებით უსაფრთხო განთავსების სამუშაოების გაგრძელება.

გასატარებელი ღონისძიებები:

1. პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა, ტრანსპორტირება და განთავსება;
2. დაბინძურებული გრუნტის შეგროვება, ტრანსპორტირება, განთავსება;

3. დაბინძურებული ტერიტორიების დეზაქტივაცია.

– **“საქართველოში დარიშხანის სამთოქიმიური წარმოების ნარჩენების უტილიზაცია-გაუვნებელყოფის შესახებ”**

პროექტის განხორციელების მიზნით მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 100 000 ლარი.

პროექტის მიზანია ლენტეხის და ამბროლაურის რაიონებში არსებული დარიშხანის მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის სამუშაოების დაწყება, რისთვისაც საჭიროა ეტაპობრივად განხორციელდეს არსებული მდგომარეობის ეკოლოგიური შეფასება, ნარჩენების გაუვნებელყოფა-გადამუშავების მეთოდის შერჩევა, გაუვნებელყოფის სამუშაოების პილოტპროექტის განხორციელება, ხოლო შემდგომში მთლიანად არსებული ნარჩენების გადამუშავება-გაუვნებელყოფა და დაბინძურებული ტერიტორიების რეაბილიტაცია (პროგრამა სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე უნდა იყოს მრავალწლიანი).

I ეტაპის ღონისძიებები (2009-2010):

- არსებული მდგომარეობის ეკოლოგიური შეფასება,
- ნარჩენების გაუვნებელყოფა-გადამუშავების მეთოდის შერჩევა,
- გაუვნებელყოფის სამუშაოების პილოტპროექტის განხორციელება,

საერთაშორისო საქმიანობა

– ბაზელის კონვენციისა და როტერდამის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებასა და როტერდამის კონვენციის III დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების ექსპორტ იმპორტის შესახებ მონაცემთა წარდგენა სამდივნოში და წინასწარი თანხმობის პროცედურის შესაბამისად ინფორმაციის გაცვლა.

– სამინისტროსთან შეთანხმებით ბაზელის კონვენციის პროცედურებით კომპანია -დან გერმანიასა და ნიდერლანდებში ექსპორტირებული იქნა სხვადასხვა კლასის სახიფათო ნარჩენები. ამჟამად ექსპორტირებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 700 ტონას.

– სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით მომზადდა „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (POPs) შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა“.

ეროვნული სამოქმედო გეგმა მოიცავს ქვეყანაში მოდ-ების შესახებ არსებულ ინფორმაციას და 2009–2024 წლებში შესაბამისად დაგეგმილ და განსახორციელებელ ღონისძიებებს. გეგმის მიზანია შეიმუშაოს და გააუმჯობესოს მოდ-ების მართვის მაქსიმალურად ეფექტური სტრატეგია ადამიანების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფი მდგრადი პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით.

ეროვნულ სამოქმედო გეგმის პროექტში მოცემულია ძირითადი პრიორიტეტები, ამოცანები, განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები, მოსალოდნელი შედეგები, განმახორციელებელი და პარტნიორი ორგანიზაციები, ასევე დაფინანსების სავარაუდო წყაროები.

– მომზადდა „ქიმიური პროფილი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწავლებისა და მეცნიერების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

მოსამზადებელი სამუშაოები შეასრულდა TAIX-ის პროგრამის ფარგლებში ნარჩენების მართვის საკითხებზე საქართველოში სიმპოზიუმის ჩატარებასთან დაკავშირებით.

– სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) და სურსათისა და სოფლისმეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ეგიდით გამართულ როტერდამის კონვენციის “ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის

სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ” მხარეთა მე-4 შეხვედრაში, სადაც სხვადასხვა პროცედურულ საკითხებს შორის განხილული იქნა სამი ქიმიური ნივთიერების კონვენციის დანართში ჩართვის საკითხი, კერძოდ: ტრიბუთილკალა და მისი ნაერთები (პესტიციდი), კრიზოტილ აზბესტი (სამრეწველო ქიმიური ნივთიერება) და ენდოსულფანი (პესტიციდი). მხარეთა შეხვედრაზე ვერ იქნა მიღწეული თანხმობა კრიზოტილ აზბესტი (სამრეწველო ქიმიური ნივთიერება) და ენდოსულფანი (პესტიციდი) კონვენციის მე-3 დანართში შეტანასთან დაკავშირებით. საკითხი გადაიღო მომდევნო შეხვედრისათვის.

საქართველოს მხარის პოზიცია დაფიქსირდა წინასწარი პილოტური პროექტის განხორციელების აუცილებლობით, რაც ხელს შეუწყობს კონვენციის ვალდებულებების სრულყოფილ განხორციელებას ქვეყანაში.

ბიომრავალფეროვნების დაცვა

1. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება.

მიმდინარეობს ქმედებები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც დღემდე არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ვალდებულება განსაზღვრულია სხვადასხვა კანონებითა და საერთაშორისო კონვენციებით, მათ შორის ბიომრავალფეროვნების კონვენციით. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ უნდა იქნეს რეკომენდაციები ბიომრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკური კურსისა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწისათვის.

შემუშავებულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის სქემატური მონახაზი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან (WWF, IUCN, NACRES და სხვა) ერთად იქნა განხილული. სამუშაო შეხვედრის გადაწყვეტილების შესაბამისად მომზადდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინდიკატორების სია (რომელიც მოიცავს ინდიკატორის დასახელებას (სულ 24 ინდიკატორი) და ახსნა-განმარტებას) და ინდიკატორის აღწერის ნიმუში. უახლოეს პერიოდში დაზუსტდება მეთოლოგია და ჩამოყალიბდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სქემა.

2. ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვისა და ნადირობის რეგულირების სრულყოფა.

- „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ არსებული კანონი საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აგრეთვე, აუცილებელია სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა და ამ სფეროში მიმდინარე პროცესთან კოორდინაცია. ამჟამად უკვე მომზადებულია კანონპროექტი “გარეულ ცხოველთა შესახებ” და მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების მოსამზადებლად. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყო დაქირავებული კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში – GEF/UNDP-ის პროექტის „დახმარება ბიომრავალფეროვნების მხრივ არსებულ შესაძლებლობათა გაზრდისათვის, ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრის მექანიზმში მონაწილეობა და ბიომრავალფეროვნების კონვენციის მეორე და მესამე მოხსენების მომზადება“ ფარგლებში.

კონსულტანტის დავალება მოიცავდა აგრეთვე “საქართველოს “წითელი ნუსხისა” და “წითელი წიგნის” შესახებ” საქართველოს კანონის ახალი ვერსიის შემუშავებისათვის და საკანონმდებლო პაკეტის მომზადებისათვის – გარეული ცხოველების დაცვის, ნადირობისა და თევზჭერის რეგულირების სფეროში, იურიდიულ მომსახურებას.

- მზადდება წინადადებები “საქართველოს “წითელი ნუსხისა” და “წითელი წიგნის” შესახებ” საქართველოს კანონის ახალი ვერსიის მოსამზადებლად (უკვე მომზადებულია კანონპროექტი), განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს “წითელ ნუსხაში” შეტანილ მცენარეთა გარემოდან ამოღების რეგულირების დახვეწის, აგრეთვე ცხოველთა სახეობების მოპოვების რეგულირების მექანიზმების დახვეწის მიზნით. აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად მინისტრის 2008 წლის 18 იანვრის №57 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჩატარდა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, სადაც განხილული იქნა საკითხები, რომლებიც მოიცავს შემდეგ სფეროებს: “საქართველოს “წითელი წიგნისა” და “წითელი ნუსხის” შესახებ” და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონების კარმონიზება, საქართველოს “წითელ ნუსხაში” შეტანილ მცენარეთა და ცხოველთა სახეობების არაკომერციული მიზნით მოპოვების რეგულირება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში “წითელი ნუსხის” სახეობებზე და მათ კაბიტატებზე ზემოქმედების გათვალისწინება, “წითელი წიგნის” გამოცემა და მისი ელექტრონული ვერსიის მომზადება. „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ზოგიერთ სახეობაზე (ჯიხვი, ირემი, დათვი) სატროფეო/ტრადიციული ნადირობის დაშვების შესაძლებლობის განსაზღვრა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.
- მიმდინარეობს მუშაობა “წითელი წიგნის” ელექტრონული ვერსიის მოსამზადებლად, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტით.
- ნადირობის ნებართვის გაუქმებასთან დაკავშირებით, დასარეგულირებელია სამეცნიერო-კვლევითი მიზნით და სანაპირო თევზჭერის საკითხები. აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე შემუშავებულია “სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესის” და “შავ ზღვაში ნაპირიდან არაუმეტეს სამასი მეტრის დაშორებით თევზჭერის წესის შესახებ” დებულების პროექტები, რომელიც ამჟამად გადის სამინისტროს სტრუქტურებში შეთანხმების პროცედურებს. აღნიშნული დებულებების მიღებასთან დაკავშირებით, მომზადდა დოკუმენტაცია ცვლილებების შეტანის შესახებ ორი კანონისათვის, რომლებიც ამჟამად გადაგზავნილია შესაბამის სამინისტროებში შესათანხმებლად. შემუშავებულია “პალიასტომის ტბაში თევზჭერის წესების შესახებ” დებულება.
- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ტექნიკური დახმარებით, პროექტის „საქართველოში ნადირობის სექტორთან დაკავშირებით საბაზისო კვლევა და რეფორმისათვის რეკომენდაციების შემუშავება“ (FAO) ფარგლებში ორგანიზებული იქნა FAO-ს ექსპერტების მისიის (18-23 თებერვალი) სამუშაო შეხვედრები სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, აგრეთვე, სამონადირეო მეურნეობებში. მისიის შედეგად მომზადდა ანგარიში „საქართველოში

ნადირობის სექტორის საბაზისო შესწავლა და რეკომენდაციები მომავალი ტექნიკური თანამშრომლობისთვის“ და საპროექტო წინადადება, რომლის განხილვის შემდეგაც მომზადდა შენიშვნები. შემდგომში დაგეგმილია პროექტის განხორციელება ნადირობის სექტორის მართვის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

- მიმდინარეობს მუშაობა გარეულ ცხოველთა რეგულირებასთან დაკავშირებით. მომზადდა და 2008 წლის მარტში დამტკიცდა დებულება „გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის შესახებ“. აღნიშნული დებულების შესაბამისად დაწყებულია ქმედებები გარეულ ცხოველთა რეგულირების ღონისძიებების ჩასატარებლად, კერძოდ: ხარაგაულის, ქობულეთის, წყალტუბოს, ჩოხატაურის და ბორჯომის რაიონების სოფლებში მოსახლეობაზე მგლების თავდასხმის ფაქტებთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ მოწვეული ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, დადგენილია განსახორციელებელი ღონისძიებები (დადგენილია ამოსადები ინდივიდთა ოდენობები, მოპოვების ადგილები, ხერხები და სხვა რეკომენდაციები); შესაბამისი რაიონების მმართველობის ადილობრივ ორგანოებში გაგზავნილია წერილები, რეგულირების ღონისძიებების განხორციელებისათვის ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე.
- სამონადირეო მეურნეობების ტერიტორიებზე კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების – ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღწერისა და მათ საფუძველზე მოპოვების კვოტების დადგენის შესახებ, უკეთ შესრულების მიზნით, მომზადდა “ცხოველთა სამყაროს ობიექტების ინვენტარიზაციის ჩატარებისა და მათი მოპოვების კვოტების დადგენის წესის შესახებ” დებულებისა და აქედან გამომდინარე, შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის პროექტები. აღნიშნული პროექტები განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის სხდომაზე, თუმცა სამწუხაროდ არ იქნა მიზანშეწონილი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული საკითხების სხვაგვარად დარეგულირების გზების მოსაძიებლად.

3. გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მოთხოვნათა შესრულების გაუმჯობესება.

- დაფინანსებულია პროექტი CITES-ის მოთხოვნების დანერგვის გაუმჯობესებისთვის თეთრყვავილასა და ყოჩივარდასთან მიმართებაში. საერთო ღირებულებაა 24 300 აშშ დოლარი. გაფორმებულია ხელშეკრულებები ექსპერტებთან. პროექტი ითვალისწინებს მცენარეთა რესურსის შეფასებას, კვოტის დადგენას, მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას, ხელოვნურად მოშენების სახელმძღვანელოს შემუშავებას.
- მომზადებულია კანონპროექტი „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით ვაჭრობის შესახებ“. მიწოდებულია სამინისტროს შესაბამისი სამსახურებისთვის შენიშვნებისა და წინადადებებისთვის.

- მიმდინარე წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გაიმართა „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) ეროვნული სამეცნიერო ორგანოს 4 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა თბილისის ზოოპარკის მიერ იაგუარის და ავაზას შემოყვანის საკითხი იმპორტის ნებართვის გაცემის მიზნით, „მწვანე ალტერნატივის“ წინადადება უთხოვრის (*Taxus baccata*) CITES-ის III დანართში შეტანის შესახებ, თეთრყვავილებისა და ყოჩივარდების 2008 წლის მოპოვების კვოტის საკითხთან დაკავშირებით. *Galanthus schaoricus* და *Galanthus kemularie*-ს საჭერბაროუმო ნიმუშების დიდ ბრიტანეთში ექსპორტის საკითხი. სამინისტროს მოწვეული ექსპერტი მივლინებული იქნა კონვენციის მცენარეთა კომიტეტის მე-17 შეხვედრაზე, სადაც კონვენციის სამდივნოსა და ექსპერტებთან ერთად განიხილა თეთრყვავილისა და ყოჩივარდის რესურსის შეფასებისა და კვოტის დადგენის მეთოდოლოგია, აგრეთვე, მათი ხელოვნურად მოშენების კრიტერიუმები.
- ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიეწოდა სამეცნიერო ორგანოს დასკვნა 2008 წლის კვოტის თაობაზე თეთრყვავილისა და ყოჩივარდას ბოლქვებით სარგებლობისათვის და რეკომენდაციები ლიცენზირების პირობების შესახებ.
- მომზადდა და CITES-ის სამდივნოს წარედგინა ყოველწლიური ეროვნული ანგარიში გაცემული ნებართვების შესახებ და ორწლიანი (2005-2006) ანგარიში განხორციელებული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და რეგულირების ღონისძიებების შესახებ.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად, მომზადდა მებაჟეთათვის სასწავლო მოდული – 4 საათიანი სალექციო კურსი, CITES-ის კონვენციის მოთხოვნის დანერგვის შესახებ. აღნიშნული მოდულის შესაბამისად, ჩატარებულ იქნა მებაჟეებისათვის (28 მებაჟე) ტრენინგები.

4. „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ კონვენციის (რამსარის კონვენციის) მოთხოვნათა შესრულება.

გადაუდებელი ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე მდ. ხობისწყლის შესართავში, რომელიც შედიოდა ცენტრალური კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაში აშენდა ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საზღვაო ტერმინალი. რამსარის კონვენციის შესაბამისად უნდა მოხდეს ადეკვატური კომპენსირება.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიხედვით ცენტრალური კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის საზღვრები დაემთხვა კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრებს.

ამჟამად, როგორც საკომპენსაციო ღონისძიება, კოლხეთის ეროვნულ პარკისათვის მიერთებულია ნაბადას უბნის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე სატყეოს ტერიტორიები.

გაფორმდა ხელშეკრულება შპს “შავი ზღვის ტერმინალთან” საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების, აგრეთვე ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ტერმინალის მშენებლობა-ფუნქციონირებისათვის გაცემული გარემოსდაცვითი და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების პირობების შესრულების თაობაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ტერმინალის ვალდებულებები ნებართვების პირობების შესრულების, აგრეთვე კომპენსირების ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მათ შორის სამინისტროსა და ტერმინალის მიერ “კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის” დაარსება. ტერმინალის ერთ-ერთი ვალდებულებაა ასევე აღნიშნული ფონდისათვის შვიდი მილიონი ევროს ჩარიცხვა 16 წლის განმავლობაში, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკით (2008-2024 წლებისათვის), კოლხეთის ეროვნული პარკის განვითარების საჭიროებებისათვის.

მომზადდა და კონვენციის სამდივნოს გადაეცაზა ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციის ეროვნული მოხსენება.

5. ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია

2005 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“. დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის და მდგრადი გამოყენების სტრატეგიას მომავალი 10 წლისათვის და კონკრეტულ ქმედებებს ხუთწლიანი პერიოდისთვის. იგი წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც საქართველოში უნდა წარიმართოს კოორდინირებული საქმიანობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში.

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დანერგვის მდგომარეობის შეფასებისათვის, კერძოდ: განხორციელდა აღნიშნული გეგმის ჩარჩოებში არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროექტების ინვენტარიზაცია. 2010 წელს დაგეგმილია სამუშაო შეხვედრის ორგანიზება გეგმის განხორციელების შეფასებისა და მისი განახლების საჭიროების განხილვის მიზნით.

6. ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება

დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების, ბუნებაში გამოთავისუფლების ან ბაზარზე განთავსების საკითხებს. არ ხდება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების და მისი ქვეყნის შიგნით გამოყენების კონტროლი.

საქართველოს პარლამენტმა უკვე მოახდინა ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის რატიფიცირება, რომლის მოთხოვნების შესრულებისათვის ასევე აუცილებელია ამ სფეროს მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

განხორციელდა ქმედებები საქართველო კანონის პროექტის „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, მნიშვნელოვანი გადამუშავების კუთხით.

7. სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებული საქმიანობა

შეთანხმება შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანეს ტერიტორიის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ (CMS).

მომზადდა და შესაბამის სამდივნოს გაეგზავნა *ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ კონვენციის (ბონის კონვენცია)* შესრულების ეროვნული ანგარიში

მიმდინარეობს მუშობა გასულ წელს შეთანხმების მხარეთა კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციებზე და შესწორებებზე. კერძოდ, მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება, თუ რამდენად ახდენს ანთროპოგენური ხმაური ზეგავლენას ზღვის ძუძუმწოვრებზე და მუშაობა იმ გზების და საშუალებების გამოსავლენად, რომლითაც შეიძლება შემცირდეს ანთროპოგენური ხმაურის ზეგავლენის შემცირება. გარდა ამისა, ერთ-ერთი რეზოლუციის თანახმად, სასურველია ყოველმა მხარემ თავის ტერიტორიულ წყლებში აღრიცხოს თანჭერილების რაოდენობა, რისთვისაც საჭიროა გამოინახოს შესაბამისი გზები. აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა და სახსრების მოძიება დელფინების პოპულაციების სრულყოფილი აღრიცხვისა და მონიტორინგისათვის, ვინაიდან 2005 წელს ჩატარებული შედარებით გაუმჯობესებული შეფასების შედეგები ამ დროისათვის სასურველია განახლებულ იქნას.

ევროპის ღამურების დაცვის შეთანხმება (EUROBATS).

შეთანხმების რეზოლუციების შესრულების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა ღამურების პოპულაციების შეძლებისდაგვარად აღრიცხვისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. სამინისტროს აქვს მუდმივი კონტაქტი ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც გვაწვდიან სათანადო ინფორმაციის იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო და რა შეიძლება გაკეთდეს.

ფრიდჯოფ ნანსენ ინსტიტუტის (ნორვეგიის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს გარემოსდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე) წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტის შემდგომ მიმდინარეობს მუშაობა შესაძლო მემორანდუმის შემუშავებაზე. ინსტიტუტი გვთავაზობს დახმარებას საერთაშორისო კონვენციებით აღებული ვალდებულებების შესრულების სრულყოფისათვის კონკრეტული ქმედებების შემუშავებაში. ინსტიტუტმა ასეთი პროექტი წარმატებით განახორციელა სომხეთში და მომავალი წლიდან ასეთივე პროექტს სთავაზობს აზერბაიჯანს და საქართველოს.

ბელგიური არასამთავრობო ორგანიზაციის Sea Alarm-ის წერილის პასუხად მზადდება ნავთობის დაღვრაზე ეროვნული საგანგებო გეგმის და BP-ს საგანგებო გეგმის მიხედვით ზღვის ფაუნისადმი მიყენებულ ზიანზე საპასუხო ქმედებების შესახებ კითხვარზე გასაცემი პასუხები.

მომზადდა და შესაბამის სამდივნოს გაეგზავნა ეროვნული ანგარიში *აფრიკა-ევრაზიის წყალმცურავი გადამფრენი მიგრირებადი ფრინველების შესახებ შეთანხმების (AEWA)* შესრულების ეროვნული ანგარიში, რომელიც იქნება წარმოდგენილი აღნიშნული შეთანხმების მხარეთა მე-4 შეხვედრაზე.

მომზადდა და საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნა *ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის*

მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ კონვენციის რატიფიცირების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მიმდინარეობს მუშაობა ბონის კონვენციის მივრირებადი მტაცებელი ფრინველების დაცვის შესახებ მემორანდუმის ხელმოწერის მიზანშეწონილობაზე. ამ დროისათვის მემორანდუმი თარგმნილია და მიმდინარეობს მისი განხილვა.

– “ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ” (ბერნის) კონვენციასთან მიერთების მიზნით მომზადდა შესაბამისი მასალები, შეთანხმდა შესაბამის სამინისტროებთან და გადაიგზავნა საქართველოს პარლამენტში განსახილველად, რატიფიცირების მიზნით. საანგარიშო პერიოდში მოხდა აგრეთვე კონვენციის დანართებში მითითებულ სახეობებთან მიმართებით დათქმების გადამოწმება, შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის საჭიროებებიდან გამომდინარე.

მცენარე პაულონიას (ინვაზიური სახეობა) საქართველოში გაშენებასთან დაკავშირებით, მეწარმეთა დაინტერესებიდან გამომდინარე, მომზადდა ინფორმაცია აღნიშნული მცენარის საქართველოში ინტროდუცირების შესაძლებლობის შესახებ, სსიპ “თბილისის ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტისა” და სსიპ “ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის” მოსაზრებების გათვალისწინებით. ინფორმაცია.

განხორციელდა ქმედებები (სატყეო დეპარტამენტის მონაწილეობით) საქართველოს “წითელ ნუსხაში” შეტანილი, ტყეობაში მყოფი მურა დათვების თავშესაფარის მოწყობისათვის, რომელსაც ახორციელებს ასოციაცია “აი-ბი-ეფ საქართველო”. მათი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეირჩა ტერიტორია დათვების თავშესაფარის მოწყობისა და შემდგომში განთავსების მიზნით.

მომზადდა სამინისტროს რეკომენდაციები “დალის მთის” წყალსაცავში თევზის მოპოვების კვოტების დადგენასთან დაკავშირებით და შესაბამისი წერილი გაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

მომზადდა სამინისტროს რეკომენდაციები შპს “იორის ჭაღების” სამონადირეო მეურნეობისათვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვების კვოტების დადგენასთან დაკავშირებით.

მომზადდა სამინისტროს რეკომენდაციები შპს “შევარდენისათვის” უინვალის წყალსაცავში თევზის რესურსის მოპოვების კვოტების დადგენასთან დაკავშირებით.

ჩატარდა საჯარო განხილვა არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილებში დასმული საკითხის შესახებ – შავ ზღვაში თევზჭერის გრძელვადიანი ლიცენზიების მფლობელთათვის რესურსის მოპოვების კვოტების დადგენასთან დაკავშირებული კვლევის შესახებ. აღნიშნულ განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით და სხვადასხვა კვლევებში დაფიქსირებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მომზადდა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაეგზავნა შავ ზღვაში არაუმცირეს 300 მეტრის დაშორებით 2008-2009 წლების სეზონისათვის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით (თევზით) სარგებლობის კვოტების დადგენის შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მეწარმეთა მოთხოვნის შესაბამისად, შავ ზღვაში მოლუსკ რაპანის სარეწაო კვლევის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად იქნა მიხნეული მომავალი სეზონისათვის სამეცნიერო-კვლევების განხორციელება მარაგის შეფასების, სარეწი რაიონებისა და იარაღების დადგენის მიზნით.

მომზადდა და შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის (ბუქარესტის) კონვენციის თევისა და ზღვის ცოცხალი რესურსების რაციონალური გამოყენების სამუშაო ჯგუფს გადაეგზავნა ყოველწლიური ეროვნული ანგარიში ქვეყნის მეთევზეობის დარგში არსებული სიტუაციის შესახებ.

სამინისტრო თანამშრომლობს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO), თევის რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. ამ თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა და გადაეგზავნა იქნა ინფორმაციები:

– თევზჭერის შესახებ საქართველოში (თევზჭერის მონაცემები: საქართველოში იმპორტირებული და საქართველოდან ექსპორტირებული თევზის შესახებ რაოდენობრივ და ღირებულებით მაჩვენებლებში, სახეობების მიხედვით, თევზჭერაში მონაწილე გემების რაოდენობა, შიდა წყლებში თევზჭერებზე მონაცემები, მეთევზეობაში დასაქმებული ფერმების რაოდენობა და სხვა.).

– საქართველოში გაგრძელებულ თევზებთან დაკავშირებით ინფორმაცია, მათი ქართული, ინგლისური და ლათინური დასახელებებით და საერთაშორისო და ეროვნული წითელი ნუსხის (IUCN)-ის კატეგორიების მითითებით;

– საქართველოს შიდა წყლებისა (ტბები, წყალსაცავები, მდინარეები, ხელოვნური არხები) და შავი ზღვის მორფოლოგიური და იქთოლოგიური მონაცემები.

– საქართველოში არსებული გეოთერმული წყლების შესახებ, მათი აკვაკულტური განვითარების მიზნებით გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაგეგმილია -ს მიერ კომპლექსური კვლევების დაფინანსება საქართველოს ყველა რეგიონისათვის; ფერმერებისათვის სამაგიდო წიგნის მომზადება თევის მეურნეობის მოწყობის ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე დაგეგმილია კვლევები შავი ზღვის იქთოლოგიური შესწავლის მიზნით.

ბარემოსდაცვითი პოლიტიკა

- მომზადდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (MTEF) 2009-2012 წლებისათვის;
- შემუშავდა სამინისტროს 2009 წლის საბიუჯეტო განაცხადის სტრატეგიული ნაწილი;
- მომზადდა პრიორიტეტულ საკითხთა ჩამონათვალი და წარდგენილ იქნა დონორი ორგანიზაციებისათვის.
- მომზადდა და ფინანსთა სამინისტროს წარედგინა საბიუჯეტო მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშები;
- მომზადდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების 2007 წლის ანგარიში;
- მომზადდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების 2008 წლის გეგმა;

- მომზადდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების 2008 წლის ანგარიში;
- მომზადდა და პრემიერ-მინისტრს წარედგინა "ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე" საქართველოს მთავრობის პროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ 2008 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

საერთაშორისო ურთიერთობები

1. მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“ კონვენციაზე საქართველოს მიერთებამდე განსახორციელებელი გეგმა;
2. ხელი მოეწერა შეთანხმებას ლატვიის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.
3. გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ ნიდერლანდების განსახლების, სივრცული დაგეგმვისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან.
4. მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის" (ორპუსის კონვენცია) განხორციელების მეორე ეროვნული ანგარიში.
5. მომზადდა გარემოს დაცვის საკითხებზე საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა.
6. 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის საქართველოში, კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესახებ განხორციელებული რეაგირება:

- ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გამახვილების მიზნით, სამინისტრომ მიმართა **გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამის დირექტორს**, ბ-ნ შტაინერს. წერილში აღწერილია პრობლემა და დასმულია საკითხი საქართველოს შესაძლო მონაწილეობის თაობაზე გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ სოჭის ოლიმპიადის მომზადების გარემოსდაცვითი ასპექტების შესწავლაში.
- აღნიშნული წერილის ასლი მიეწოდა **ეუთო-ს** სამდივნოს ქ. ვენაში, ეუთო-ს ეკონომიკური და გარემოს დაცვის საქმიანობის კოორდინატორს ბ-ნ ბერნარდ სნოას და **შავი ზღვის კომისიის თავმჯდომარეს**, უკრაინის გარემოს დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ბ-ნ სვიატოსლავ კურულენკოს.
- ა/წ მაისში ქ. პრადაში გაიმართა **ეუთო-ს** ეკონომიკური და გარემოს დაცვის **მე-16 ფორუმი**, სადაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით გაავრცელა განცხადება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. განცხადება შევიდა ფორუმის ოფიციალურ დოკუმენტებში და განთავსდა ფორუმის ვებსაიტზე.
- მ/წ ივნისში ქ. ვენევაში გაიმართა საქართველოს ელჩის ბატონ გიორგი გორგილაძის შეხვედრა **გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP)**

ევროპის რეგიონული ბიუროს დირექტორთან ბატონ კრისტოფ ბუვიესთან 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის საქართველოში, კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების არაკანონიერი გამოყენების საფრთხის შესახებ.

- მომზადდა სამეცნიერო დასკვნა გარემოსათვის შესაძლო დამანგრეველი შედეგების შესახებ.
 - გაიგზავნა წერილი რუსეთის ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის მინისტრის სახელზე.
 - მომზადდა წერილი ეუთო-ს ეკონომიკური და გარემოს დაცვის საქმიანობის კოორდინატორს ბ-ნ ბერნარდ სნოას სახელზე, რომელშიც ვთხოვთ გაერო/ეუთო-ს ინიციატივა “გარემო და უსაფრთხოება” ფარგლებში შემუშავდეს კონკრეტული საპროექტო წინადადება, რომლის მიზანი იქნება აფხაზეთში არსებული მდგომარეობის ადგილზე საფუძვლიანი შესწავლა.
7. რუსული აგრესიის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის თაობაზე სამინისტროს მიერ გაგრძელდა მიმართვა სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისადმი, ევროპის გარემოს დაცვის მინისტრებისადმი და ა.შ.
- გაეგზავნა მიმართვა შავი ზღვის დაცვის კონვენციის სამდივნოსა და მონაწილე ქვეყნებს რუსეთის კონვენციის წევრობიდან გარიცხვის მიზნით მინისტრთა კონფერენციაზე საკითხის დაყენების თაობაზე.
 - გაგრძელდა ასევე მიმართვა გარემოს ზიანის შეფასებისათვის დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე საქართველოში.

კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილების მიმართულებით საქმიანობა ძირითადად აქცენტირებული იყო “კიოტოს ოქმით” გათვალისწინებულ სუფთა განვითარების მექანიზმზე (სგმ).

- მომზადდა საინფორმაციო ცნობარი სუფთა განვითარების მექანიზმის მიმდინარეობა და პერსპექტივები საქართველოში;
- განხილული და გაანალიზებული იქნა კლიმატის ცვლილების ექსპერტთა სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფის (Intergovernmental Panel on Climate Change – IPCC) მე-4 შეფასებითი ანგარიში. პოლიტიკის გამტარებლებისათვის ქართულ ენაზე ითარგმნა ანგარიშის ცალკეული თავები;
- ახალი მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად განახლდა დოკუმენტი, რომელიც ეხება საქართველოს ელექტროსისტემის საბაზისო დონის ემისიის ფაქტორს;
- საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით მომზადდა საშუალო და მცირე ჰესების ნუსხა სათბურის გაზების ემისიის შემცირების პოტენციალის მითითებით;

- დაიწყო თანამშრომლობა გერმანიის ენერგეტიკული სააგენტოსთან, რაც მიზნად ისახავს გერმანელი ინვესტორებისათვის სემ საპროექტო წინადადებების მიწოდებას;
- შედგა შეხვედრა სემ მიმდინარე და პოტენციური პროექტების მფლობელებთან, რომელზეც განხილული იყო არსებული მდგომარეობა, ხელშემშლელი ბარიერები და მათი გადალახვის გზები, ასევე პოტენციური სემ პროექტების გამოვლენისა და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობის შესაძლებლობები;
- ჩატარდა “სუფთა განვითარების მექანიზმის” მეთოდოლოგიებისა და რეგისტრირებული პროექტების ანალიზი საქართველოში ანალოგიური პროექტების განხორციელების შესაძლებლობის დასადგენად;
- ჩატარდა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების უკვე დასრულებული ნაწილის კრიტიკული ანალიზი;
- სემ მასალები მიეწოდათ და კონსულტაციები გაეწიათ სემ პროექტების მფლობელებს (საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, “ენერგოკრედიტი, შპს “ჯეო ენერჯი სერვისი” და სხვ.);
- სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სემ საკოორდინაციო შეხვედრაში, “კონვენციის მიმართ გრძელვადიანი ერთობლივი ქმედების თაობაზე სპეციალური სამუშაო ჯგუფისა” და “კონვენციის დანართ I-ში ჩართულ მხარეთა მიერ კიოტოს ოქმის მიმართ შემდგომი ვალდებულებების თაობაზე სპეციალური სამუშაო ჯგუფის” სესიების მუშაობაში. ჰოლანდიური იურიდიულ-საკონსულტაციო ფირმის DeBrauw BlackStone წარმომადგენლებთან ერთად მომზადდა “კიოტოს ოქმთან” და “სუფთა განვითარების მექანიზმთან” დაკავშირებით სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა “ტრენინგის” გეგმა;
- საქართველოში “კიოტოს ოქმის” განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდათ სხვადასხვა ორგანიზაციებს (საქართველოს პარლამენტი, საქართველოში იტალიისა და პოლონეთის საელჩოები და სხვ.);
- ჩატარდა “ყირგიზეთის გარემოს დაცვის მიმოხილვის” კრიტიკული ანალიზი და ექსპერტული შეფასება “ევროპისათვის გაეროს ეკონომიკური კომისიის” (United Nations Economic Commission for Europe – UNECE) დაკვეთით.

მიწის მართვა

მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის თაობაზე გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 239 ბრძანება, კერძოდ: კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის 227 ბრძანება, საიდანაც ბიუჯეტში გადახდილმა სანაცვლო საკომპენსაციო თანხამ შეადგინა 3 621 996 ლარი; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის 12 ბრძანება, საიდანაც ბიუჯეტში გადასახდელმა სანაცვლო საკომპენსაციო თანხამ შეადგინა 3 075 000 ლარი;

განხილული იქნა საქართველოს საპატრიარქოსათვის მიწის წესით სახელმწიფო ტყის ფონდისა და დაცული ტერიტორიების ცალკეული ფართობების გადაცემის საკითხი, აქედან 59 საკითხი მომზადდა დებულების შესაბამისად და საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის

რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტები წარედგინა საქართველოს მთავრობას, რომლებზეც გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და საქართველოს საპატრიარქოს გამოყოფილი უბნები, საერთო ფართობით 1616.2 ჰა.

საქართველოს საპატრიარქოს ხობის მონასტრისათვის გადასაცემად სახელმწიფო ტყის ფონდიდან (სოფელი ნოჯიხევი) ამოირიცხა 25,2 ჰექტარი ფართობი.

სახელმწიფო ტყის ფონდში არსებული მიწებისათვის სპეციალური დანიშნულების მინიჭების თაობაზე გამოიცა მინისტრის ბრძანებები (31 საკითხი).

მეწარმეობის განვითარებისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო ტყის ფონდიდან მიწის ფართობების ამორიცხვის 19 ფაქტი, მისი შემდგომი განკარგვისათვის, რაზეც მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულებები.

სამინისტროს ინიციატივით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის შესაბამისად იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს დაკავებული ჰქონდათ სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, შესაძლებელი გახდა საკუთრების უფლების აღიარება იმ შემთხვევაში, თუ მათი სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვით ხელი არ შეეშლება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვისა და ფუნქციონირების რეჟიმის განხორციელებას.

სამინისტროს მიერ შესწავლილი და მომზადებული იქნა წყნეთისა და ბაგების სატყეო უბნებიდან ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში გაცემული მიწის ნაკვეთების კანონიერება და მომზადდა რეკომენდაცია, რომლის შესაბამისად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თანმიმდევრულად განხორციელდეს სახელმწიფო ტყის ფონდიდან იმ მიწის ნაკვეთების ამორიცხვა, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია რეალურად არსებულ მიწის ნაკვეთებთან.

სამინისტრომ ქ. თბილისის მერიასთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად იმუშავა წყნეთისა და ბაგების ზემოთაღნიშნულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ურთიერთობების საბოლოო მოწესრიგებისათვის, ამასთან მომზადდა საფუძველები სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დაწყებისათვის.

სამინისტროს მიერ მომზადებული იქნა წინადადებები ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შემდეგ კანონებში და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში: საქართველოს კანონი “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” (სამი ცვლილება); დებულებაში “სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან ფართობების ამორიცხვისა და ჩარიცხვის შესახებ”; “სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”; “ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”.

სამინისტროს ორგანიზებით მომზადდა და ჩატარდა საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის 11 სხდომა.

ყოველთვიურად მზადდებოდა სტატისტიკური მონაცემები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების მიზნობრივი დანიშნულების

შეცვლისა და საქართველოს საპატრიარქოსათვის სახელმწიფო ტყის ფონდში მიხენილი უბნების გამოყოფის თაობაზე.

სამინისტრო ჩართულია ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების მათ საკუთრებად აღიარების პროცესში და სამინისტროს თანამშრომლები, როგორც კომისიის წევრები მონაწილეობენ ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ჩატარებულ კომისიის სხდომებში.

ლიცენზიები და ნებართვები

ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის მიერ 2008 წლის განმავლობაში გაიცა:

- გარემოზე ზემოქმედების 41 ნებართვა, ბიუჯეტში შევიდა 20500 ლარი;
- “გადაშენების წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის 8 ნებართვა, ბიუჯეტში შევიდა 400 ლარი;
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 25 ნებართვა, ბიუჯეტში შევიდა 1000 ლარი;
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 63 ლიცენზია, ბიუჯეტში შევიდა 12600 ლარი.

2007 წელს სულ ბიუჯეტში შევიდა 34500 ლარი.

გეოლოგია

მიმდინარეობდა მუშაობა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციით მომზადების მიზნით.

სამინისტროში გეოლოგიის დარგის და სხვადასხვა პროფილის სამეცნიერო დაწესებულებების წამყვანი სპეციალისტებისგან შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელსაც დაევადა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება. აღნიშნული კანონპროექტის განხილვა დაგეგმილია 2009 წლის III კვარტალში.

მომზადდა ინფორმაციები საქართველოს მინერალურ-რესურსული ბაზის შესახებ და მიწისქვეშა წყლების საბადოების (საპრეზენტაციოდ წინასწარი მომზადებისათვის) საექსპლუატაციო მონაცემების შესახებ.

მომზადებული იქნა დასკვნები, შპს „საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის განვითარების კომპანიის (GMDC)–ს მიერ „რაჭა–სვანეთის მადნიანი ოლქის სალიცენზიო ტერიტორიაზე 2007 წელს ჩატარებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შესახებ“ და სს „მადნეული“-ს მიერ 2007 წელს შესრულებული სამუშაოებზე შედგენილ საინფორმაციო ანგარიშებზე.

პროექტ „Segura consalting LLg“-ის ხელმძღვანელს ბ-ნ გილერმო იეპეს წარედგინა „ინფორმაცია მტკნარი მიწისქვეშა წყლების რესურსების შესახებ“.

მომზადდა ინფორმაცია აფხაზეთის სანაპიროს ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

მომზადდა დასკვნა – „აფენის წყაროს წყალსადების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტის“ მიმართ.

მიმდინარეობდა სამუშაოები პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტზე სამინისტროსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების უწყებათაშორისო კომისიის შემადგენლობისა და კომისიის დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ.

მონაწილეობა იქნა მიღებული როგორც სამინისტროს კომისიებისა და ექსპერტთა საბჭოების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სხდომებისა და შეხვედრების მუშაობაში, რაზედაც მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის მინიჭებაზე საუწყებათაშორისო კომისიაზე განხილული იქნა ოთხი სხვადასხვა დასახელების მიწისქვეშა წყლის ობიექტისათვის კატეგორიის მინიჭების საკითხი.

- სამინისტროსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო საუწყებათაშორისო კომისიაში განხილული იქნა ერთი არამადნეული წიაღისეულის, ერთი ნახშირორჟანგა გაზის და ოთხი მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების გამოთვლის ანგარიშები და შედგა სათანადო ოქმები.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო საუწყებათაშორისო კომისია

წლის განმავლობაში, სამინისტროსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო საუწყებათაშორისო კომისიაში (მსკ) წარმოდგენილი იყო შემდეგი ანგარიშები:

– „მუშევანის ბარიტის საბადოს II უბნის ნარჩენი მარაგების შესწავლისა და გათვლის შესახებ 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“.

დამკვეთი – სს „ბორჯომმინწყლები“

– „გურჯაანის რაიონის ახტალის მტკნარი წყლის საბადოს (გაურჯის უბანი) რეჟიმის შესწავლის შესახებ მისი საექსპლუატაციო მარაგების დათვლით 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“.

დამკვეთი – შპს „საქკურმინწყლები“

– „ახალციხის საბადოს მინერალური წყლისა და თანმხლები ნახშირმჟავა გაზის საექსპლუატაციო მარაგების გადაფასების შესახებ №146 ჭაბურღილის მიხედვით 2008 წლის 01 აპრილის მდგომარეობით“.

დამკვეთი – შპს „აირი“

– „სორტუანის მინერალური წყლისა და თანმხლები ნახშირმჟავა გაზის საბადოს (ონის რ-ნი) შესწავლაზე და მისი საექსპლუატაციო მარაგების შეფასებაზე 2008 წლის 01 აპრილის მდგომარეობით“.

დამკვეთი – შპს „სორტუანი“

– „დაბის მიწისქვეშა მტკნარი წყლის საბადოს (ბორჯომის რ-ნი) შესწავლა და მისი საექსპლუატაციო მარაგების გადათვლაზე (2008 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით)“.

დამკვეთი – სს „ბორჯომმინწყლები“

– „სს „ლომისის“ ლუდსახარში „ნატახტარის“ წყალსადების მიწისქვეშა წნევიანი წყლების საბადოს დეტალური დაძიებისა და საექსპლუატაციო მარაგების გამოთვლის შესახებ (2008 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით)“.

დამკვეთი – სს „ლომისი“

აღნიშნულმა ანგარიშებმა, მსკ-ს ინსტრუქციების შესაბამისად, გაიარეს შემოწმება და წინასწარი აპრობაცია, ხოლო კომისიის მიერ მოწვეულმა სახელმწიფო ექსპერტებმა წარმოდგენილ მასალებს ჩაუტარეს ექსპერტიზა.

კომისიის პლენარული სხდომაზე, მარაგების გათვლის მასალებს მიეცა დადებითი შეფასება, დამტკიცდა საექსპლუატაციო მარაგები. შედგენილი ოქმები გადაეცათ დამკვეთ ორგანიზაციებსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ გეოლოგიური ინფორმაციის და აღრიცხვის სამმართველოს, სასარგებლო წიაღისეულის დამტკიცებული მარაგების სახელმწიფო ბალანსზე აყვანის მიზნით.

პრეზიდენტის 2006 წლის 19 ივნისის №359 ბრძანებულებით დამტკიცებული მარაგების კომისიის შემადგენლობის ცვლილებებთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა მუშაობა ბრძანებულების პროექტის მოსამზადებლად.

გეოდეზია და კარტოგრაფია

2008 წლის მიზნობრივი პროგრამის “საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე 1:10 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნა” ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამუშაოები:

– განხორციელდა “საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე 1:10 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნა” 1388 კვ.კმ. ფართობზე, სამუშაოები განახორციელა ტენდერში გამარჯვებულმა კერძო კომპანია – შპს “ლკნ”. 2008 წლის 12 დეკემბერს დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. შედგა მიღება-ჩაბარების აქტი. მოპოვებული და გადაანგარიშებული იქნა 1963 წლის საკოორდინატო სისტემის რუკები 1942 წლის საკოორდინატო სისტემაში. ეს პროგრამა და ფორმულა არ არსებობს საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად:

ა) ჩატარდა 1997 წლის 1:20 000 მასშტაბის აეროგადაღების ფირების 554 კადრის და 1951 წლის 1:18 000 მასშტაბის მიკროფირების 49 კადრის სკანირება.

ბ) შექმნილი იქნა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის “IKONOS” (1 მეტრიანი რეზოლუციით) ციფრული კოსმოსური სურათები თურქული კომპანია “INTA SPACE TURKEY INC”-საგან 1630 კვ.კმ ფართობზე.

გ) მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შეიქმნა საქართველოს ტერიტორიის 1:500 000 მასშტაბის ციფრული განახლებული ზოგადგეოგრაფიული რუკა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

დ) განხორციელდა 2009 წელს განსახორციელებელი “საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე 1:10 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნა” დარჩენილი ტერიტორიების აეროფირების სკანირება 304 კადრი.

2008 წლის მაისში დასრულდა “საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე 1:10 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნა” მიზნობრივი პროგრამით

გათვალისწინებული სამუშაოები 729 კვ.კმ ფართობზე. ტოპოგრაფიული რუკები გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის პოლიციას და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დემილიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიას.

ქართულ-იაპონური ერთობლივი პროექტი “საქართველოში ციფრული 1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების შექმნა”.

2008 წლის თებერვალში დასრულდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს JICA-ს შორის 2004 წლის 21 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში პირველად შეიქმნა 1:50 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკები საერთაშორისო საკოორდინატო WGS-84/UTM სისტემაში, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიის აქტიურად დასახლებულ 24 კვ.კმ-ს.

ასევე ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა დარგობრივი გის მოდელები 6 სფეროში.

1. სატყეო დეპარტამენტი – მოდელის თემა “ტყის მართვა, დაცვა და განაშენიანება”.
2. დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი – მოდელის თემა “ადამიანის ჩარევისაგან დაცვა”.
3. მიწის რესურსების მართვის სამსახური – მოდელის თემა “მიწის პრივატიზაციის შემდეგ მიწის გამოყენების შესაბამისი ალოკაცია”.
4. ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი – მოდელის თემა “ფუნდამენტური ინფორმაცია ურბანულ დაგეგმარებაში გამოსაყენებლად”.
5. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი – მოდელის თემა “ტურიზმის პოპულარიზაციისათვის კულტურული რესურსების განვითარება”.
6. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – მოდელის თემა “ადამიანური რესურსების ჩათვლით საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სასარგებლო ინფორმაციის შეთავაზება”.

სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდში დასრულდა ფონდის მასალების, მონაცემების და დოკუმენტების ხელახალი ინვენტარიზაცია, სისტემატიზაცია, ანალიზი და მათი სპეციალურ თაროებზე განთავსება. მაღალკვალიფიციური მოწვეული ექსპერტების მიერ შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. აეროგადაღების მასალების (ფირების) აღწერა – 832 ერთეული, 210999 კადრი.
2. აეროგადაღების სპეციალური ხელსაწყოების მონაცემების აღწერა – 3370 ობიექტზე.
3. ტოპოგრაფიული რუკების ფორმულარების აღწერა – 485 ფორმულარი.
4. საველე ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური მასალების აღწერა (ჩამოსაწერად მომზადდა) – 40 საქმე
5. საველე ტოპოგრაფიული გეგმურ-სიმაღლური მასალების აღწერა – 7906 ფურცელი.
6. საბიბლიოთეკო ფონდში საცნობარო დოკუმენტების, ატლასების და ინსტრუქციების აღწერა – 343 წიგნი.

7. სარეალიზაციო ფონდში 1:2000 – 1:1000000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების აღწერა, 72464 ფურცელი.

8. კარტოგრაფიული ორიგინალების სისტემატიზაცია – 2250 ორიგინალი. აღნიშნულ მასალებზე შედგენილია საადრიცხვო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო საზღვრის დემილიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც რამოდენიმეჯერ იმყოფებოდნენ აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთებზე, სადელიმიტაციო საკითხების მოსაგვარებლად და უშუალოდ ადგილზე აგეგმვების ჩასატარებლად.

სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო “ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრის კორექტირების შემსწავლელი კომისიის” მუშაობაში, რომელსაც ევალუბოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმისა და მიწათსარგებლობის გეგმის ადგილზე შესწავლა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრების მასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მიმდინარეობდა ყოველდღიური მუშაობა სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდში დაცული, ქაღალდზე არსებული ძველი ტოპოგრაფიული რუკების ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე (სკანირებაზე);

სამინისტრო, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტოპოგრაფიულ სამმართველოს, პერიოდულ დახმარებას უწევდა 1942 წლის საკოორდინატო სისტემიდან WGS-84 საკოორდინაციო სისტემაში წერტილების კოორდინატების გადასაანგარიშებლად.

სამინისტროში მიმდინარეობდა 1982-84 წლებში გამოცემული სახელმწიფო გეოდეზიური პუნქტების კატალოგების ციფრულ ფორმატში გადაყვანა შესაბამისი გაანგარიშებებით. მომზადებულია WGS-84 წლის ელიფსოიდის ფუნდამენტალური მუდმივები.

სამინისტრო უზრუნველყოფდა სახელმწიფო სტრუქტურებს ტოპოგრაფიული რუკებით მათი წერილობითი თხოვნის შესაბამისად.

მიმდინარეობდა ციფრული ინფორმაციის (ტოპოგრაფიული რუკები, თემატური რუკები, ტოპოგრაფიული გეგმების, აეროგადაღების მასალების, კოსმოსური სურათების, კოორდინატთა კატალოგების და სხვა გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემების) მოგროვება, შეყვანა და დალაგება სპეციალურად შენახვისათვის განკუთვნილ კომპიუტერში ანუ იქმნება დარგის გეომონაცემთა ბაზა.

სამინისტროში შეიქმნა ტოპოგრაფიული პირობითი ნიშნების ქართულენოვანი ციფრული სტანდარტები და სიმბოლოები ციფრულად 1:50 000 და 1:10 000 მასშტაბში.

განხორციელდა მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება, შემოწმება, მონიტორინგი, როგორც საველე პირობებში, ასევე კამერალურად და გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები.

დასრულდა მუშაობა პირველ რუსულ-ქართულ გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე. შეთანხმდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან და მზადაა გამოსაცემად.

კანონშემოქმედებითი საქმიანობა

1. შემუშავდა “გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” კანონპროექტი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 15 ივლისს.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 07 ივლისის №521 ბრძანებით დამტკიცდა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის დებულება.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 27 ივნისის №500 და №360 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა დებულება “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სფეროში ურთიერთმოქმედების შესახებ”

4. შემუშავდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი “გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №160 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შეთანხმდა ყველა დაინტერესებულ უწყებებთან და გადაეგზავნა პრეზიდენტის ადმინისტრაციას შესათანხმებლად.

5. “გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი “საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ” და გადაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს განმეორებით შესათანხმებლად.

6. მომზადდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების პროექტი “სახელმწიფო ტოპოგრაფიული რუკების (გეგმების) ფურცლებად დაყოფისა და მათი აღნიშვნების წესის დამტკიცების თაობაზე”, გადაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს შესათანხმებლად.

7. შემუშავდა კანონპროექტი “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. გადაეგზავნა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს.

8. შემუშავდა პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი “სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ცნობათა ნუსხის” დამტკიცების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 1957 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. გადაეგზავნა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება

ბირთვული და რადიაციული სამსახურის კომპეტენციაშია საქართველოს ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშგება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულების და დამატებითი ოქმის მოთხოვნების საპასუხოდ. ეს პრაქტიკულად ყოველდღიური სამუშაოა, რომელსაც ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (აესს) ადევნებს თვალყურს.

შეთანხმებით გათვალისწინებული გარანტიების განხორციელებისადმი ხელშეწყობის მიზნით, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ (აესს) წლის განმავლობაში გამოავლინა ინსპექტირების ოთხი მისია. მათ მიერ შესწავლილ იქნა ბირთვული მასალების აღრიცხვის და კონტროლის საინფორმაციო სისტემა, კანონები და ნორმატიული აქტები, დამატებითი ოქმის განხორციელება,

ექსპორტ/იმპორტის კონტროლი, უსაფრთხოება, შესაბამისობის უზრუნველყოფა, ტექნიკური დახმარება და წვრთნა.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოში გასაგზავნად მომზადდა ეროვნული პროექტები 2009-2011 წლებისათვის:

- GEO2007001 რადიაციული და ბირთვული სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენება ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობაში
- GEO2007006 რადიაციული ექსპერტიზის ლაბორატორიის განვითარება
- GEO2007010 ატომური ენერჯის განვითარებისათვის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება
- GEO2007011 რადიაციული მონიტორინგის სადგურების აღჭურვა
- GEO2007014 ფიზიკის ინსტიტუტის საკვლევო რეაქტორის IRT-M დეკომისირება.

ეს პროექტები დამტკიცებულ იქნა აქს მერ და 2009-2011 წლებში მათი დაფინანსების საერთო მოცულობაა 1 მილიონ 600 ათას აშშ დოლარამდე.

2008 წელს აშშ ბირთვული მარეგულირებელი კომისიის დახმარებით დაიწყო საქართველოში ნაპოვნი და გამოყენებაში გამოუსადეგარი წყაროების გადატანა რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალურ საცავში. საერთო ჯამში საქართველოს ბირთვული და რადიაციული სამსახურის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადატანილი იყო 294 კონტეინერი, რომლებშიც ინახება 500-ზე მეტი რადიოაქტიური წყარო. მოხდა მათი რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია.

2009 წლის განმავლობაში ყველა აღრიცხული გამოუყენებელი წყარო გადატანილი იქნება რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალურ საცავში.

2008 წელს ასევე აშშ ბირთვული მარეგულირებელი კომისიის დახმარებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა ბირთვულ და რადიოაქტიურ საქმიანობაში ჩაბმული ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი სემინარები, რომლების მიზანი იყო გაუმარტოს და გააცნოს ორგანიზაციებს ლიცენზიის აღების საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები. სემინარების ყველა მონაწილეს გადაეცა წინასწარ სამსახურის მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელო, რომელშიც მაგალითების სახით განმარტებულია ლიცენზიის ასაღებად საჭირო დოკუმენტები. სულ ჩატარდა 70 სემინარი ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზესტაფონში, საჩხერეში, ჭიათურაში, ვანში, ბაღდათში, გორში, სენაკში, აბაშაში, ჩოხატაურში, ა.შ.), რომელზეც დაესწრო 300-მდე მსმენელი - ძირითადად სამედიცინო დაწესებულებებიდან. შედეგი – 2008 წლის განმავლობაში ბირთვულ და რადიოაქტიურ საქმიანობაში გაცემული იქნა 60-მდე ლიცენზია. 2008 წლამდე გაცემული ლიცენზიების რაოდენობა შეადგენდა 44.

ლიცენზირებული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა ამ ორგანიზაციების რეესტრის შექმნა. ამასთან დაკავშირებით მოხდა აშშ ბირთვული მარეგულირებელი კომისიისა და სომხეთის ბირთვული და რადიაციული მარეგულირებელი ორგანოს მიერ შემუშავებული RIS საინფორმაციო ბაზის დანერგვა.

რეგულარულად ხდებოდა ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან შემოსულ თხოვნებზე და სიგნალებზე რეაგირება. საანგარიშო წლის განმავლობაში

სიგნალები შემოვიდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან, სამედიცინო დანიშნულების დაწესებულებებიდან, სამთავრობო უწყებებიდან, საზღვარგარეთის წარმომადგენლობებიდან, თბილისისა და რეგიონების მოსახლეობიდან.

სამსახურის მიერ და სამსახურის მონაწილეობით შემუშავდა სამი კანონის პროექტი, რომელთა წარდგენა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის დაგეგმილია 2009 წლის განმავლობაში. ასევე შემუშავებულია ამ კანონთა ქვემდებარე ნორმატიული აქტების ნაწილის პროექტები.

საერთაშორისო ურთიერთობათა გაფართოების შედეგად სამსახური ამჟამად მუდმივ კონტაქტშია არა მარტო აესს, არამედ ევროგაერთიანების, აშშ, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, შვედეთის და სხვა მხარეების წარმომადგენელ პარტნიორებთან. სამსახურის თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ პარტნიორებთან ერთად დაგეგმილ წვრთნებსა და სემინარებში. სამსახური ასევე კოორდინირებას უწევს საქართველოს სხვა უწყებების მონაწილეობას ამგვარ ღონისძიებებში პროფილის მიხედვით; სამსახურის პერსონალი თავადაც უტარებს შესაბამის ტრენინგებს სხვა უწყებათა პერსონალს კონკრეტული აპარატურის და აღჭურვილობის ათვისებისა და გამოყენებისათვის.

საკანონმდებლო საქმიანობა

2008 წლის განმავლობაში შემუშავებულია და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებულია შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს პრეზიდენტის 27 ბრძანებულება;
- საქართველოს მთავრობის 17 დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის 16 განკარგულება;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 56 ბრძანება;
- 10 საკანონმდებლო აქტი შემუშავებულია და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილია საქართველოს პარლამენტში


სამინისტროს მიერ 2008 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიღებულია საქალაქო სასამართლოებში, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში სასამართლო დავეების განხილვაში.

ბარემოს ღაცვის ინსპექცია

2008 წელს ინსპექციის მიერ გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 2 838 ფაქტი. მათ შორის:


- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 2 539 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე – 299 ფაქტი, რომლებიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად (გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგიერთი მუხლის შესაბამისად - სასამართლოების მიერ) სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმის თანხამ შეადგინა 1 271 226,0 ლარი. მათგან, მიმდინარე მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 726 296,0 ლარი.

დიაგრამა 1. გამოვლენილ სამართალდარღვევათა დინამიკა (2006-2008 წ.წ.)



გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა ინსპექციის სტრუქტურული ერთეულების (ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურების, ტერიტორიული ორგანოების – ბიუროებისა და შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის) მიხედვით ასეთია:

დიაგრამა 2. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენა ინსპექციის ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, 2008 წ.




სამართალდარღვევათა სტრუქტურა

გამოვლენილ სამართალდარღვევათა სტრუქტურაში, ისევე როგორც წინა წლებში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უკანონო ტყითსარგებლობის და უკანონო ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის წესების დარღვევის ფაქტებს (სამართალდარღვევათა 56%; 1588 ფაქტი). გარდა ამისა:

- წიაღით სარგებლობის წესების დარღვევას - 15% (426 ფაქტი);
- ნადირობისა და თევზჭერის წესების, ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის წესების დარღვევას - 14% (404 ფაქტი);
- სამშენებლო, საყოფაცხოვრებო ან სხვა ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ფაქტებს - 7% (200 ფაქტი);
- წყლის რესურსების დაცვის კანონმდებლობის დარღვევას - 5% (137 ფაქტი);
- ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის დარღვევას - 2% (57 ფაქტი).

დიაგრამა 4. სამართალდარღვევათა სტრუქტურა - 2008 წელი



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლების შესაბამისად გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა 571-ე, 573-ე, 66-ე, 86-ე, 1282-ე, 146-ე მუხლებზე მოდის:


| ასკ მუხლები | შაქტები | ასკ მუხლები | შაქტები |
|-----------------------|---------|------------------------|---------|
| 51² | 10 | 66 | 493 |
| 52 | 12 | 69 | 2 |
| 56 | 1 | 77 | 48 |
| 57¹ | 130 | 78 | 2 |
| 57³ | 287 | 79¹ | 1 |
| 58 | 13 | 82 | 7 |
| 58² | 11 | 84¹ | 1 |
| 59 | 26 | 85³ | 1 |
| 60 | 14 | 86 | 401 |
| 60³ | 5 | 128² | 752 |
| 61¹ | 68 | 146¹ | 200 |
| 63 | 1 | 151 | 52 |
| 64 | 1 | | |

ასევე მნიშვნელოვანია ასკ 58²-ე მუხლის შესაბამისად გამოვლენილი სამართალდარღვევის 11 ფაქტი ზღვის წყლის დაბინძურების გამო, რომლის შესაბამისად სამართალდამრღვევებს 715 000 ლარი ჯარიმა დაეკისრათ (თითოეულს 65 000 ლარის ოდენობით).

გარემოზე მიყენებული ზიანი

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა **4 621 614** ლარი, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე – 4 034 686,9 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე – 586 927,5 ლარი, მათგან ანაზღაურებულია 117 379,4 ლარი.



უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი

2008 წელს დაფიქსირდა უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი შემდეგი ოდენობით:

- ხე-ტყე – 8 256,1 მ³, მათ შორის, 4 868,1 მ³ – სამასალე მერქანი;
- სხვადასხვა სახეობის თევზი – 7 489,9 კგ (მათ შორის, 7 080,0 შავი ზღვის თევზის სახეობები);
- ინერტული მასალა – 145 508,3 მ³;
- საგაჯე ნედლეული – 3 349 ტ;
- ბაზალტის ქვა – 17 მ³;
- ტეშენტი – 640 მ³;
- კვარც-ქვიშა – 1 535 მ³;
- სილიკომანგანუმის წიდა – 93 894 კგ
- გულკანური წიდა – 10 მ³;
- მარგანეცის ნედლი მადანი – 20 ტ;
- მიწის ნაყოფიერი ფენა - 450 მ³;

- მწყერი - 25 ცალი;
- მურა დათვის ბელი - 1 ინდივიდი.

სსიპ - საფინანსო სააგენტოს შემდგომი განკარგვის მიზნით გადაეგზავნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებისათვის 2007-2008 წლებში ჩამორთმეული ქონება (უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი, სამართალდარღვევის იარაღი), მათ შორის:

| ბუნებრივი რესურსი | | სამართალდარღვევის საშუალებები | |
|----------------------------------|-------------------------------------|--|-------------|
| სამასალე მერქანი | 90,57 მ ³ | სხვადასხვა ტიპის ბადე-იარაღი, მათ შორის: | 169 ერთეული |
| საშეშე მერქანი | 475,77 მ ³ | | |
| ნახევრადსამასალე მერქანი | 85,54 მ ³ | | |
| დახერხილი ფიცარი | 1,97მ ³ 15 ერთეული | - სახლართი ბადე | 97 ერთეული |
| სამასალე მორი | 15,76 მ ³ 118 ერთეული | - ტრალი | 2 ერთეული |
| სამასალე ძირი | 97 ერთეული | - „ეკრანი“ | 14 ერთეული |
| საშეშე ძირი | 92 ერთეული | | |
| თევზი, სხვადასხვა ჯიშის | 267,7 კგ. | - ჩოგანბადე | 33 ერთეული |
| ბაზალტის ქვა | 45,5 მ ³ | ნავი | 27 ერთეული |
| სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენი | 77 538 კგ | სანადირო თოფი | 9 ერთეული |
| ინერტული მასალა | 44,1 მ ³ | ელექტროშოკური აპარატი | 55 ერთეული |
| კირქვა | 5მ ³ | აკუმულატორი და სხვა ელექტრო მოწყობილობა | 37 ერთეული |
| სააგურე თიხა | 4მ ³ | ნავის ნიჩაბი | 21 ერთეული |
| | | პროექტორი, ფანარი | 1-1 ერთეული |

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიანტების საქმიანობის შემოწმების შედეგები

წიაღით სარგებლობის ლიცენზიებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმება

2008 წელს განხორციელდა წიაღით სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმება 35 წიაღითმოსარგებლის მიმართ. შემოწმების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი დარღვევებისათვის 5 ლიცენზიანტის შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს (შპს "ზემო იმერეთი", შპს „GS“, შპს „ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები“, შპს „დიდოსტატი“, შპს „ვათო“); 17 ლიცენზიანტის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც გადაეგზავნა განსახილველად შესაბამის რაიონულ სასამართლოებს.

ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმება:

2008 წელს განხორციელდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმება ტყითმოსარგებლე ლიცენზიანტების - ინდემწარმე „იური კაპანაძეს“ დ შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტის“, ასევე ტყითმოსარგებლე შპს „დე ენდ ვე“-ს მიმართ. შემოწმების შედეგად გამოვლენილი კანონდარღვევების, მათ შორის, ტყეკაფებზე უკანონო ჭრების გამოვლენის გამო, შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, ხოლო ტყეკაფების გაუწმენდაობით გარემოზე მიყენებული ზიანის გამო შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, რომლებიც განსახილველად გადაეცა შესაბამის რაიონულ სასამართლოებს.

ინდემწარმე „იური კაპანაძეზე“ გაცემული ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის პირობების შემოწმების შედეგად ტყეკაფზე გამოვლინდა უნებართვოდ მოჭრილი 4 ძირი ნაძვის და სოჭის ხეები, საერთო მოცულობით 9,40 მ³, მათ შორის სამასალე 7,31 მ³. უკანონო ჭრითა და ტყეკაფის გაუწმენდაობით გარემოზე მიყენებულმა ზიანის თანხამ შეადგინა 1 168,64 ლარი.

შ.პ.ს. „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტზე“ გრძელვადიანი ტყითმოსარგებლობის მიზნით გაცემული ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის პირობების შესრულების მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოვლინდა უკანონოდ მოჭრილი 19 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე, 110,90 მ³ საერთო მოცულობით. უკანონო ჭრებითა და ტყეკაფების გაუწმენდაობით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 51 628,80 ლარი.

შ.პ.ს. „დე ენდ ვე“-ს შემოწმების შედეგად, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა სანიტარულ ჭრებს იმერეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ზესტაფონი-ხარაგაულის სატყეო უბნის მე-3 სარეინჯეროს მე-17 კვარტალში, გამოვლინდა უკანონო ჭრები (152,91 მ³ საერთო მოცულობით) და მოზარდი-ადმონაცენის დაზიანება. ხე-ტყის უკანონო ჭრითა და ტყეკაფის გაუწმენდაობით გარემოზე მიყენებულმა ზიანის თანხამ 88 362,92 ლარი შეადგინა.

ლიცენზიანტების ანგარიშების შედეგები

ბუნებათმოსარგებლე ლიცენზიანტების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ 2007 წლის ანგარიშების წარმოდგენლობის გამო 250

ბუნებათმოსარგებლე ლიცენზიანტის მიმართ გატარებული იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო ზომები, მათ შორის:

- 2 ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტის მიმართ;
- 248 წიაღით მოსარგებლე ლიცენზიანტის მიმართ;

გარდა ამისა, ლიცენზიანტების მიერ წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შესახებ 2007 წლის ანგარიშების განხილვის შედეგად გამოვლინდა სალიცენზიო პირობების დარღვევის ფაქტები, კერძოდ, ლიცენზიით გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობის წიაღისეული რესურსის მოპოვების გამო 26 ლიცენზიანტის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და გატარდა ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ზომები.

ინსპექტორების მიერ განხორციელებული სხვა შემოწმებები – ორგანიზაციათა მომართვების, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე ინსპექციის მიერ განხორციელდა 92 ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვითი კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება და მათ საფუძველზე გატარდა კანონით გათვალისწინებული ზომები.

შავი ზღვის დაბინძურებისა და თევზჭერის კონტროლი

შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის მიერ ნარჩენების აღრიცხვის, შეფასების და უტილიზაციის მიზნით შემოწმებულ იქნა ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურებში შემოსული 444 მცურავი საშუალება. მათგან, სასომადლო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის 26 მცურავი საშუალების პასუხისმგებელ პირთა მიმართ გატარებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზომები (ასკ 59-ე მუხლის შესაბამისად).

2008 წლის განმავლობაში გამოვლენილია გემებიდან შავი ზღვის დაბინძურების 13 ფაქტი ნავსადგურებში სატვირთო ოპერაციების განხორციელების დროს, რაზედაც შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციისა და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ შედგა შესაბამისი ერთობლივი ოქმები, გატარდა შესაბამისი ზომები.

კონვენციური ინსპექციის მიერ წარმოებდა კონტროლი შავ ზღვაში თევზჭერის პროცესების მიმდინარეობაზე. შავი ზღვის აკვატორიაში

განხორციელებული რეიდების შედეგად გამოვლენილია უკანონო თევზჭერის 5 ფაქტი. ჩამორთმეული და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული იქნა 7 078,7 კგ სხვადასხვა სახეობის თევზი. ჩამორთმეული და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული იქნა ქისა ბადე, 3 თევზსარეწი ტრალი.

ეკოლოგიური მონიტორინგი

მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების მშენებლობისა და ოპერირების პროცესში ეკოლოგიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების გასხვისების დერეფნის გარემოსდაცვითი მონიტორინგი. 2007 წელს გამოვლენილ ზოგიერთ პრობლემატურ მონაკვეთზე, სადაც მიმდინარეობდა ეროზიული პროცესები, მდგომარეობა გამოსწორებულია, ხოლო ზოგიერთ უბანზე აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.
- განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენების გასხვისების დერეფნის ნიადაგის საფარის კვლევა, რომლის თანახმად დერეფანში ნიადაგის დანაკარგი საშუალოდ 10-15 სანტიმეტრს შეადგენს. წინასწარი შეფასებით, ნიადაგის ჰუმუსიანი ფენის დანაკარგით გამოწვეული გარემოსადმი მიყენებული ზიანის საკომპენსაციო თანხა დაახლოებით 45 მილიონ ლარს შეადგენს.

საქართველოს მთავრობასა და ძირითადი საექსპორტო მილსადენების პროექტის მონაწილეებს შორის 2000 წლის 18 ოქტომბრის სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ “ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეები, ბრალეულობისა და მიზეზობრიობის მიუხედავად, ვალდებული არიან, მიიღონ ყოველგვარი ზომა ზიანის გამოსასწორებლად და მიწის ნაკვეთის და სხვა დაზიანებული ობიექტის (ობიექტების) შესაძლებლობის ფარგლებში აღსადგენად და მათ მოსაყვანად უწინდელ, გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში და გასწიონ ყოველგვარი ხარჯები, რომლებიც აუცილებელია ასეთი ზიანის აღმოსაფხვრელად; გარდა ამისა, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ასეთი ზიანის სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია, მილსადენის პროექტის მონაწილეები

ვალდებულნი არიან გადაიხადონ სრული ადეკვატური და სამართლიანი კომპენსაცია ყოველი ასეთი აღმოუფხვრელი ზიანისათვის”.

- BTC Co-თან მიღწეული იქნა შეთანხმება იაღლუჯას ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის თაობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილია 2009 წლის პირველ ნახევარში.
- ეკოლოგიური მონიტორინგის სამსახურისა და მოწვეული ექსპერტების მიერ მომზადდა ანგარიში “ტყის ეკო-კომპენსაციის პროგრამის დამოუკიდებელი ექსპერტიზა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის” და “ტყის თითოეული უბნისათვის ჰაბიტატ-ჰექტრების დეტალური გაანგარიშება “საქტყეპროექტის” მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალების საფუძველზე.

ანგარიშში მოცემულია: ა) BTC/SCP მილსადენების მშენებლობის პროცესში ტყის ეკოსისტემებისადმი მიყენებული ზიანის გაანგარიშება “წმინდა მოგების პრინციპისა” და “ჰაბიტატ-ჰექტარის” მიდგომების მიხედვით; ბ) რეკომენდაციები ტყის ეკო-კომპენსაციის ზუსტ პროპორციულ თანაფარდობასთან დაკავშირებით, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე მეთოდოლოგიასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე. პროექტის დოკუმენტის სრული პაკეტი წარედგინათ BTC Co-სა და პროექტის კრედიტორებს.

აღნიშნული ანგარიშები საფუძვლად დაედება ურთიერთგაგების მემორანდუმს BTC Co./SCP Co.-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის ტყის ეკო-კომპენსაციის პროგრამის შესახებ, რომელიც 2009 წელს გაფორმდება. ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 700-1000 ჰა ტყის გაშენება.

საერთაშორისო პროექტები

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ინსპეციაში მიმდინარე პროექტებია:

1. “საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფი სისტემის საფუძვლების შექმნის პროგრამა”, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ნორვეგიისა და ჰოლანდიის მთავრობების მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში 2008 წელს განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია:

- 2008 წლის სექტემბერ-ნოემბერში პერსონალის ეფექტური შერჩევის უზრუნველყოფისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნის მიზნით განხორციელდა ინსპექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებათა შეფასება – არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” ექსპერტის დახმარებით შემუშავდა თანამშრომელთა ცოდნის (კვალიფიკაციის) დონის შეფასების მეთოდოლოგია. ასევე განხორციელდა თანამშრომელთა მოტივაციისა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება, რომლის შედეგების ანალიზი ხელს შეუწყობს ინსპექციის საქმიანობის უკეთ განხორციელებას.

დაგეგმილია აღნიშნული შეფასების საფუძველზე ინსპექციის თანამშრომელთა სწავლების 3-წლიანი კომპლექსური პროგრამის შემუშავება და განხორციელება;

- დასრულდა ინსპექციის შიდა-საინფორმაციო მართვის სისტემის – ინსპექციის ელექტრონული მონაცემთა ბაზის შემუშავება.
- არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” მონაწილეობით მომზადდა სემინარების პროგრამა ინსპექციის თანამშრომელთათვის, რომელთა ჩატარება გათვალისწინებულია 2009 წლის დასაწყისისათვის:
 - ა) სემინარი ინსპექციის სამსახურების, განყოფილების უფროსებისა და ტერიტორიული ორგანოების უფროსებისათვის თემაზე – გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფის (გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის) საკითხები;
 - ბ) ტრენინგები გარემოს დაცვის ინსპექციის რეგიონული ბიუროების ინსპექტორებისათვის შემდეგ თემებზე: საწარმოების შემოწმება; კანონდარსრულება ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მართვის სფეროში; ესტონეთის, რუმინეთისა და ჩეხეთის გარემოსდაცვითი ინსპექციების გამოცდილება სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სფეროში.

2. პროექტი “ტექნიკური დახმარების შესახებ მონიტორინგისა და კანონდარსრულების პოტენციალის ამაღლების მიზნით”, რომელიც მიმდინარეობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში 2008 წელს განხორციელებულ დონისძიებებს შორის აღსანიშნავია:

- შემუშავდა და ამოქმედდა ინსპექციის ვებ-გვერდი;

- მომზადდა ინსპექტორთა სწავლების პროგრამა, რომლის საფუძველზეც დაგეგმილია ინსპექტორებისთვის სასწავლო-საჩვენებელი შემოწმებების ჩატარება 2009 წლის I ნახევარში.

3. ნიდერლანდების განსახლების, ტერიტორიული დაგეგმარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გრანტი ინსპექციის ტექნიკური პოტენციალის ამაღლების მიზნით (25 000 ევრო), რომლის მიხედვით განხორციელდა ინსპექციისათვის ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა.

4. საქართველოსა და ჰოლანდიის გარემოს დაცვის სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე და ჰოლანდიის გარემოს დაცვის ინსპექციის მხარდაჭერით, მომზადდა საქართველოს გარემოს დაცვის ინსპექციასა და ჰოლანდიის გარემოს დაცვის ინსპექციის ერთობლივი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის დამტკიცება და განხორციელება დაგეგმილია უახლოეს პერიოდში.

5. სომხეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის ყოველწლიური სხდომის საოქმო გადაწყვეტილებათა საფუძველზე ინსპექციის მიერ მომზადდა მემორანდუმის პროექტი “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციასა და სომხეთის რესპუბლიკის ბუნების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო გარემოსდაცვით ინსპექციას შორის თანამშრომლობის შესახებ”. ასევე დაგეგმილია ერთობლივ მოქმედებათა გეგმის შემუშავება და განხორციელება.

ფინანსური უზრუნველყოფა

გარემოს დაცვის ინსპექციის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები მუხლობრივ ჭრილში განსაზღვრებოდა შემდეგნაირად:

- შრომის ანაზღაურების მუხლი – 2 593 200,0 ლარი;
- საქონელი და მომსახურების მუხლი – 1 509 580,0 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფის მუხლი – 20 958,55 ლარი;
- სხვა ხარჯების მუხლი – 22 400,0 ლარი;
- არაფინანსური აქტივების მუხლი – 1 080 000,0 ლარი.

2008 წლის განმავლობაში გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ გაფორმებული იქნა 193 ხელშეკრულება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” 2 488 593,05 ლარის საერთო ღირებულებით. მათ შორის, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებული იქნა 175 ხელშეკრულება 376 389,05 ლარის საერთო ღირებულებით; ფასთა კოტირების მეთოდით – 8 ხელშეკრულება 270 238,0 ლარის საერთო

ღირებულებით; ტენდერის საშუალებით – 10 ხელშეკრულება 1 841 966,0 ლარის საერთო ღირებულებით.

2008 წლის მანძილზე ინსპექციის მიერ შექმნილი იქნა: 20 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა (-200) და 1 ერთეული სწრაფმავალი კატარდა (). ასევე განხორციელდა ინსპექციის თანამშრომელთა საჭიროებისათვის კორპორაციული ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების, უნიფორმისა და ინსპექციის კუთვნილი ავტომანქანებისათვის საწვავის შესყიდვა.

2008 წელს გარემოს დაცვის ინსპექციასა და ნიდერლანდების განსახლების, ტერიტორიული დაგეგმარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანახმად ინსპექციამ გრანტის მთლიანი მოცულობის (25.000 ევრო) 80%, ანუ 20.000 ევრო მიიღო. საგრანტო ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, აღნიშნული თანხიდან შექმნილი იქნა სპეცტანსაცემელი შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის საჭიროებისათვის, კომპიუტერული ტექნიკა, ხელსაწყოები და 1 ერთეული მოტორიანი ნავი. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი თანხით (5000 ევრო), დაგეგმილია ინსპექციის საჭიროებისათვის კიდევ 2 ერთეული მოტორიანი ნავის შესყიდვა.

სატყუო დეკლარაცია

მომზადდა ნორმატიული დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შევიდა ცვლილებები: “ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების

შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის №132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში, “სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში; შემუშავდა ტყით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესი, შემუშავდა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 26 სექტემბრის №672 ბრძანებით დამტკიცდა “ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ დებულება”.

ტყით სარგებლობის კუთხით:

- განხორციელდა მოსახლეობის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საპატრიარქოს სათბობ შემახე მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად ტყეკაფების გამოყოფის მონაცემების დაზუსტება რეგიონების მიხედვით. დაიგეგმა 525360 მ³ საშეშე მერქნის მისაღებად სპეციალური სახის ჭრის ტყეკაფის გამოყოფა.

31 დეკემბრის მდგომარეობით გასაცემად გამოყოფილ იქნა 520000 მ³ საშეშე მერქნის ტყეკაფი.

სპეციალური ჭრის ტყეკაფებიდან, აღრიცხული მოთხრილ-მოტეხილი, ნაყარ-ნარჩენი კატეგორიიდან და 2007 წლის აუთვისებელი ტყეკაფებიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულია 727770 მ³ საშეშე მერქანი.

- მოსახლეობის სამასალე მერქანზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველოების ორგანოებზე გადაცემულია 954 კმ სამასალე მერქანი.
- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 30 ივლისის №165 დადგენილების საფუძველზე გამოყოფილ იქნა ტყეკაფები 9411 მ³ სამასალე მერქნის მისაღებად, საიდანაც ათვისებულ იქნა 2520 მ³ სამასალე მერქანი.
- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 1 ოქტომბრის №640 და 16 ოქტომბრის №674 განკარგულებების შესაბამისად, რუსეთის მხრიდან საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისთვის განსახორციელებელ გადაუდებელ ღონისძიებებისთვის გამოყოფილ იქნა ტყეკაფები 38 850 მ³ სამასალე მერქანის მისაღებად სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონალური სატყეო სამმართველოების მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში.
- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 ნოემბრის №735 განკარგულების შესაბამისად 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოების ხელშეწყობისათვის, გურიის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში გამოყოფილ იქნა ტყეკაფები 3 800 მ³ სამასალე მერქნის მისაღებად.
- საქართველოს მთავრობასა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებულ ეკლესიას შორის გაფორმებული და მოქმედი კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან გაფორმებული კონკორდატის შესაბამისად, მიმდინარეობს სატყეო დეპარტამენტის მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან რიგი ფართობების საქართველოს საპატრიარქოსთვის მიწენის ფორმით გადაცემა. მიწენის ფორმით საპატრიარქოსთვის სატყეო დეპარტამენტის მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან ფართობების

გადაცემაზე გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 45 ბრძანებულება და გაფორმებულია ხელშეკრულებები. გადაცემულ ფართობთა ჯამი შეადგენს – 545.25 ჰა-ს. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება დარჩენილი 757.65 ჰა-ს გადაცემის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან ამორიცხულია 25,2 ჰა ფართობი სოფელ ნოჯიხევში, ხობის მონასტრისათვის.

- მიმდინარეობდა საქართველოს საპატრიარქოს მიერ მოთხოვნილი ფართობების დაზუსტება რეგიონების მიხედვით.
- მიმდინარეობდა ცვლილებების მომზადება საქართველოს ტყის კოდექსში, რომლის მოქმედების ძალაში შესვლის შემდგომ, კანონმდებლობით განსაზღვრული იქნება სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის "საეკლესიო ტყეები".
- განხორციელდა 2006 წელს ერთ წლამდე ვადით გაცემული ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის მფლობელებისათვის აუთენტიკაციის დადგენილი რესურსის რაოდენობის დადგენა, რის საფუძველზეც შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებაში - აუთენტიკაციის ვადის გაგრძელების შესახებ, სადაც გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი ადგილობრივი მოსახლეობის სამასალე მერქანზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ლიცენზიანტების მიერ დამზადებული სამასალე მერქნის 15%-ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე გადაცემა.
- გრძელვადიანი ტყითსარგებლობის შესახებ დამუშავდა მონაცემები და გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონის ჩატარების უზრუნველსაყოფად.

ტყის დაცვის კუთხით:

- განხორციელდა გამწვანების სამუშაოები რამდენიმე რეგიონში, კერძოდ: კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და იმერეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე.
- ბორჯომის რაიონში ხანძრით დაზიანებული ფართობების რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით მოეწყო სანერგე საქართველოს ბანკის ხელშეწყობით.
- შეგროვდა ინფორმაცია რეგიონების მიხედვით ქარსაფარი ზოლების ფაქტიური მდგომარეობის შესახებ, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება სარეაბილიტაციო ღონისძიებები.
- შეგროვდა ინფორმაცია რეგიონების მიხედვით ეროზირებული, დეგრადირებული ფართობებისა და ტყის სანერგეების მოსაწყობად საორიენტაციო ფართობების შესახებ.
- განხორციელდა ტყის განაშენიანების ღონისძიებები (ფართობების შერჩევა) სახელმწიფო ტყის ფონდიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძველზე ამორიცხული ფართობების საკომპენსაციო ფართობებზე:
 1. შ.პ.ს “ბლექ სი ინდასტრი“-ს თანამონაწილეობით, ხობის რაიონის სოფელ ყულევთან ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის მშენებლობისათვის შერჩეულ ტერიტორიასთან მისასვლელი სარკინიგზო მაგისტრალის გასაყვანად – 49,0 ჰა;
 2. შ.პ.ს “ბლექსი ინდასტრი“-ს თანამონაწილეობით, ხობის რაიონის სოფელ ყულევთან ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის მშენებლობისათვის – 115,0 ჰა;
 3. ს.ს “მადნეული“-ს თანამონაწილეობით – ქვემო ქართლის რეგიონალური სატყეო სამმართველოდან – 11,6 ჰა;
 4. ბალბიჭის საბადოს ფარგლებში მოქცეული 8,05 ჰა ფართობი;
- კომპანია BP- სთან ეკოკომპენსაციის პროგრამაში მონაწილეობა.

- შეგროვდა ინფორმაცია 2008 წელს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში მომხდარი ხანძრების შესახებ.

ტყის აღრიცხვის კუთხით:

- საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე განხორციელდა ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდიდან ფართობების სატყეო დეპარტამენტის მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში ჩარიცხვა;
- დამთავრდა ზემოაღნიშნული ფართობების მიღება-ჩაბარების პროცედურები.
- განხორციელდა 2006 წელს მცხეთა მთიანეთის სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ინვენტარიზაციის მოსამზადებელი სამუშაოები;
- მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზების შექმნა არსებული ტყეთმომწიფობის მასალების და მიმდინარე კვლევების საფუძველზე.
- განხორციელდა "თბილისის ეროვნული პარკის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სატყეო დეპარტამენტის მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ფართობების გადაცემის პროცედურები.

მონიტორინგის კუთხით

2008 წლის განმავლობაში სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების მიერ გამოვლენილი უკანონო ჭრების შესახებ ინფორმაცია

| № | ტერიტორიული | ხე-ტყის მოცულობა კბმ | სამართალ-დარღვევა | ზიანის ოდენობა | შენიშვნა |
|---|-------------|----------------------|-------------------|----------------|----------|
|---|-------------|----------------------|-------------------|----------------|----------|

| | ორგანო | სამასალე | საშეშე | სულ | დმინისტრაციული | სისხლის სამართლის | დმინისტრაციული | სისხლის სამართლის | |
|----|--------------------------|----------|----------|-----------|----------------|-------------------|----------------|-------------------|----|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 2 | სამცხე-ჯავახეთი | 1923.925 | 9880.73 | 11804.655 | 335 | 99 | 19177.21 | 320373.10 | |
| 3 | ქვემო ქართლი | 190.82 | 407.04 | 597.86 | 81 | 8 | 2354.2 | 58878 | |
| 4 | კახეთი | 1858.943 | 1924.514 | 3783.457 | 422 | 58 | 27430.538 | 559976.28 | |
| 5 | მცხეთა | 787.02 | 1917.7 | 2704.72 | 197 | 18 | 1280.95 | 244892.76 | |
| 6 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 3965.37 | 3829.379 | 7794.749 | 116 | 20 | 33570.882 | 697932.868 | |
| 7 | იმერეთი | 175 | 1515 | 1690 | 140 | 14 | 8501 | 94300 | |
| 8 | გურია | 254.9 | 542.4 | 797.3 | 41 | 7 | 2290 | 30754.33 | |
| 9 | შიდა ქართლი | 131.71 | 441.71 | 573.42 | 117 | 2 | 15721.37 | 3832.02 | |
| 10 | რაჭა-ლეჩხუმი ქვ. სვანეთი | 665.444 | 1568.487 | 2233.931 | 85 | 89 | 17183.62 | 100296.11 | |

პროგრამა “ტყის დაცვის ღონისძიებების” კუთხით სატყეო დეპარტამენტმა 2008 წლის 6 ივნისს გამოაცხადა ტენდერი მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველსაყოფად სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისათვის, 2008 წლის 13 აგვისტოს ტყის კულტურების მოვლის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით დაგზავნილ იქნა დოკუმენტაცია ფასთა კოტირების პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო 2008 წლის 10 სექტემბერს გამოაცხადა ორ ეტაპიანი ტენდერი 2006-2007 წლებში დაწყებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს მცხეთის სატყეო უბნის ტყეთმოწყობის (ტყის ინვენტარიზაციის) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისათვის.

ტყის კულტურების მოვლის ღონისძიებების განსახორციელებლად, შესყიდვაში მონაწილეობის მიზნით დეპარტამენტმა განაცხადი დაუგზავნა 5 პირს, რომელთაგან არც ერთმა არ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი და შესაბამისად აღნიშნული შესყიდვის პროცედურა დასრულდა უარყოფითი შედეგით. 2006-2007 წლებში დაწყებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს მცხეთის სატყეო უბნის ტყეთმოწყობის (ტყის ინვენტარიზაციის) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერში მონაწილეობის სურვილი არ გამოუთქვამს არც ერთ პირს და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ტენდერი ჩაითვალა არშემდგარად, ხოლო სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების ტენდერში წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების საფუძველზე ხელშეკრულება გაფორმდა 9 ლოტზე (მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო

ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოების მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია).

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის №655 განკარგულების "2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ" საფუძველზე სატყეო დეპარტამენტს დაევალა დამატებით 130 000 კბმ საშეშე მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფა, რის უზრუნველსაყოფადაც "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და სატყეო დეპარტამენტს დაემატა 100 000 ლარი სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოსაყოფად.

ამავე განკარგულების საფუძველზე სატყეო დეპარტამენტმა განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა განახორციელა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, გაფორმდა 10 ხელშეკრულება 130 000 კბმ მოცულობის საშეშე მერქნის მისაღებად.

2008 წელს ფაქტობრივად გამოყოფილი არის **520.0** ათ. კბმ სათბობი შეშა, რაზედაც ბიუჯეტიდან გახარჯულია **566.2** ათ. ლარი.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობა

2008 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლების, უნივერსიტეტების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა გარემოს დაცვით ღონისძიებებში, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობადობისა და ეკოლოგიური თვითშეგნების დონის ამაღლება, საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია.

- საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი უკეთ წარმართვის მიზნით, 2008 წლის თებერვლის თვეში დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ, რომელიც სახელმძღვანელოდ გადაეცათ დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ ადმინისტრაციებს;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტებისა და რეინჯერების მიერ განხორციელდა, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სოციოლოგიური კვლევების ცენტრის “გორბი“-ს მიერ მომზადებული საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ დასახლებულ პუნქტების მოსახლეობის გამოკითხვა. გამოკითხვა ჩატარდა 19 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში, მათ შორისაა: 11 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 14 ბუნების ძეგლი, 12 სახელმწიფო აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტი. გამოკითხვა დაახლოებით 1900 ადამიანი. გამოკითხვის შედეგები დამუშავდა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.
- დაცული ტერიტორიების სააგენტომ, აშშ შინაგანი დეპარტამენტის საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და განათლების სამინისტროს, ასევე ეუთოს მისიის პროექტის „ორპუსის ცენტრი საქართველოში“ ხელშეწყობითა და თანამშრომლობით, 2008 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარა ტრენინგები სკოლების ბიოლოგიისა და გეოგრაფიის პედაგოგებისთვის, მოსახლეობის გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით. საქართველოს მასშტაბით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, ტრენინგი ჩატარდათ სულ 140 სკოლის 270 პედაგოგს. ესენია: ქ. თბილისის 60 სკოლის - 120 პედაგოგს, აჭარის რეგიონის 40 სკოლის 71 პედაგოგს, ქ. ქობულეთის და ქ. ბათუმის საჯარო სკოლებში, ქ. ფოთის 15 სკოლის 35 პედაგოგს, ქ. ბორჯომის რაიონის 25 სკოლის 35 პედაგოგს.

მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ჩატარდა 31 ტრენინგი, სტუდენტებისათვის 4. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობის დონე წინა წლებთან შედარებით 41 %-ით გაიზარდა.

ჩატარებული ღონისძიებები და ლექცია/სემინარები

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან. 2008 სასწავლო წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკოგანათლების სპეციალისტები ატარებდნენ ლექცია/სემინარებს ქ. თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის. სემინარები ჩატარდა ქ. თბილისის დაახლოებით 30 სკოლაში.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით 2008 წლის განმავლობაში მოეწყო სხვადასხვა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება:

- 2008 წლის 22 აპრილს – დედამიწის დაცვის საერთაშორისო დღეს, ქ. თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში დაცული ტერიტორიების სააგენტომ „ორჰუსის ცენტრი საქართველოში“ – მხარდაჭერით, ქ. თბილისის და საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებული სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით, ჩაატარა კონფერენცია თემაზე – „შევინარჩუნოთ ბუნების ბიომრავალფეროვნება“.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 25 სკოლის 70-მა მოსწავლემ, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები და სამახსოვრო პრიზები.

- 2008 წელს რამდენჯერმე შედგა დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლების შეხვედრა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მოსწავლეებთან და მათ პედაგოგებთან. მათ ჩაუტარდათ სემინარი დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ;

- 2008 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები მემორანდუმის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობენ უმაღლეს სასწავლებლებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და მათ სტუდენტებთან. მათ შორისაა – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი; დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები უზრუნველყოფდნენ სამაგისტრო და სხვა სამეცნიერო ნაშრომების მოსამზადებლად საჭირო მასალების მიწოდებას.

- სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექცია/სემინარები დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ;

- დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ მსოფლიო ტურიზმის დღისადმი მიძღვნილ კონფერენციაში – „ტურიზმი და კლიმატის ცვლილება“, სადაც გაკეთდა მოხსენება თემაზე – „საქართველოს დაცული ტერიტორიების რეკრეაციული პოტენციალი“.

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარებით 2008 წელს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ განხორციელდა დასუფთავება/დალაგების, ტურისტული თავშესაფრებისა და ეკოსაგანმანათლებლო ბილიკების შეკეთების ღონისძიებები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და თბილისის ეროვნულ პარკებში.

- 2008 წელს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების წარმომადგენლების მიერ დამხმარე ზონის მოსახლეობაში განხორციელდა ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა სკოლებში, უნივერსიტეტებში,

საგანმანათლებლო და გარემოსდაცვით ორგანიზაციებში, ადგილობრივ და რეგიონალურ მასშედისთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. 2008 წელს გარემოს დაცვის თემატიკით საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტ სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება.

- მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის მოეწყო სხვადასხვა სახის ეკო-ტური: საცხენოსნო, სალაშქრო, ფრინველებზე დასაკვირვებელი, საგანმანათლებლო, საფეხმავლო, სამანქანო და სხვა სახის ტურები;

მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით რამდენჯერმე მოეწყო დაცული ტერიტორიების დალაგება/დაუფთავების აქცია.

- ივნის-ივლისის თვეებში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ეკო-ბანაკები. მოსწავლეებს ბანაკში ჩაუტარდათ ეკო-საგანმანათლებლო ლექციები, საველე-პრაქტიკული მეცადინეობები, ისწავლეს დაცულ ტერიტორიებზე ქცევის წესები და ა. შ.
- ჩატარდა სამეცნიერო კვლევისა და ბიომრავალფეროვნების ტრენინგი, სადაც განხილული იქნა ძირითადი აღრიცხვის მეთოდები, სოკოების სარკვევი და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებს დაურიგდათ ელექტრონული სარკვევები;
- ჩატარებულია ტრენინგი ეკოტურიზმის საკითხებთან დაკავშირებით;
- ჩატარდა ტრენინგი დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური გამოკვლევების წარმოებასთან დაკავშირებით.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სამეცნიერო კვლევები და მონიტორინგი ხორციელდება ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ, აგრეთვე სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური პროექტების ვეილით.

2008 წლის მონაცემებით, კვლევები ჩატარებულია ძირითადად ხერხემლიანების ზოოლოგიაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მკვლევარების ინტერესი მეტად მიპყრობილია ხერხემლიან ცხოველებისაკენ: მტაცებლებსა და ჩლიქოსნებზე, პროცენტულად მოსდევს კომპლექსური ტიპის კვლევები, და ბოლოს ბოტანიკური და ენტომოლოგიური კვლევები.

სამეცნიერო პროექტების უმრავლესობა განხორციელებულია არასამთავრობო ორგანიზაციების (15) მიერ, თუმცა ასევე დიდი წილი (6) ინდივიდუალურ პროექტებზე მოდის, ხოლო დანარჩენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ იქნა განხორციელებული.

დაცულ ტერიტორიებზე პროექტების უმრავლესობა, რომლებიც დაწყებულია 2006 წლიდან, (17) დასრულებულია, ხოლო 7 გრძელვადიანია და ამჟამად არ არის დასრულებული. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კვლევების უმრავლესობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხორციელდება. შემაჯამებელი მონაცემების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ დაცულ ტერიტორიებს შორის კვლევებისათვის მეტად ხელსაყრელად შერჩეულია ბორჯომ-ხარაგაულისა და ვაშლოვანის ეროვნული პარკები.

ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ 2008 წლის განმავლობაში განხორციელებულია შემდეგი ტიპის მონიტორინგის საქმიანობები, სამეცნიერო კვლევები და სამეცნიერო პუბლიკაციები (სტატიები):

- თითოეული დაცული ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი ინფორმაციის (ფენოლოგიური დაკვირვებები, მეტეოროლოგიურ მონაცემები, დაკვირვებები; თოვლზე ცხოველების კვალის იდენტიფიცირება, მიგრაციის გზები, არეალები; მსხვილი ცხოველების აღრიცხვა) საფუძველზე შედგენილია “ბუნების მატიანე”-ები, რომლებიც წარმოდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში;
- შექმნილია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები;
- შევსებულია ყოველწლიური სტატისტიკური ფორმები, რომლებიც გადაეცემა სტატისტიკის დეპარტამენტს;
- შემუშავებულია იმერული მუხის აღდგენის პროგრამა, შეგროვილი იყო რკოები, რომლებიც დარგულია აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიის მცირე ფართობზე;
- შეგროვილია სრულყოფილი ინფორმაცია ძუძუმწოვრების და მათ შორის საკვანძო სახეობების, ძირითად –ფონური სახეობების ჰაბიტატების (ირმის, დათვის, მგლის, შველის, ფოცხვერის და არჩვის) რიცხოვნობის და არეალების შესახებ. შერჩეულია აღრიცხვის მეთოდები, დაგეგმილია ღონისძიებები.
- ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე შექმნილია მონაცემთა ბაზა და შედგენილია თემატური რუკები;
- თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ ჩატარებულია ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები, შედეგად გამოვლენილია მავნებლებით დაზიანების კერები და დადგენილია მავნებელი მწერების სახეობები.
- თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საქართველოს “წითელ ნუსხაში” მყოფი მერქნიანი სახეობების არეალების დადგენა და საჭირო ინფორმაციის შეგროვება.
- ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საჰერბარიუმო მასალების შეგროვება, რომელიც შემდგომში ეკო-საგანმანათლებლო მიზნით იქნება გამოყენებული;
- მონიტორინგი წარმოებდა შემდეგ ობიექტებზე: ჭაობებზე, მდინარეთა ნაპირებზე შემორჩენილ ტყის კორომებზე, რელიქტურ სახეობებზე, მოზამთრე და გადამფრენ ფრინველებზე, პალიასტომის ტბის ჰიდრობიოლოგიურ ცვლილებებზე, პალიასტომის ტბის თევზჭერის დინამიკაზე, ბუნებრივ მოვლენებზე და სხვა.
- ქობულეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე მდელოებზე პირველად მსოფლიოში გერმანიის გრეიფსვალდის უნივერსიტეტის დოქტორანტის მატიას კრებსის მიერ დაწყებულია და მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები უნიკალურ ხავსებზე. თემის სახელწოდებაა “სფაგნუმი–როგორც განახლებადი რესურსი”.
- კინტრიშის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების სპეციალისტისა და გერმანიის გრეიფსვალდის უნივერსიტეტის დოქტორანტის მიერ კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე მთა პერანგაზე აღმოჩენილი იქნა მაღალი მთის ჭაობი. ზემოაღნიშნული მკვლევარების თანაავტორობით გამოსულია 3 სამეცნიერო სტატია.

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ზოოლოგიური კვლევებისთვის საკვანძო სახეობებად შერჩეული იქნა სამი სახეობა: დათვი, ირემი და არჩვი. განხორციელდა კვლევები და შეგროვილია შესაბამისი ინფორმაცია: ჩატარდა აღრიცხვები, დადგენილია სქესთა შეფარდების კოეფიციენტი, შეიქმნა მონაცემთა ბაზა, დაიგეგმა თემატური რუკების შექმნა, მოეწყო სამარილევები.
- ბორჯომ – ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ და არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES- ის დახმარებით, განხორციელებულია კვლევები მურა დათვზე, დადგენილია მისი არეალი და სამიგრაციო გზები.
- მურა დათვის კონსერვაციის გაძლიერების თემაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარებული იქნა საგანმანათლებლო სამუშაოები.
- ბორჯომ – ხარაგაულის ეროვნულ პარკში 2008 წელს განხორციელდა და 2009 წელს გაგრძელდება 5 სამეცნიერო კვლევა და პროექტი, რომლებიც განახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციებმა: “ბიოსფერო, “მერმისი”, „მელნისი”, “საქართველოს ახალგაზრდა ნატურალისტთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება”, ზოოლოგიის ინსტიტუტმა და სხვა. მათ შორის აღსანიშნავია პროექტი “ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და ნეძვის აღკვეთილში ნიაშორის და კავკასიური სალამანდრას კონსერვაციის ხელშეწყობა”, აღნიშნულ პროექტს ახორციელებს ა.ო. “საქართველოს ახალგაზრდა ნატურალისტთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება”. პროექტის ფარგლებში მოხდა ნიაშორების ვოლიერში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აშენდა ხელოვნური კლდე, შექმნილ იქნა ნიაშორებისათვის 6 თვის თივის მარაგი და ნიაშორების მომვლელი რეინჯერებისათვის აღჭურვილობა.
- 2008 წელს განხორციელებული პროექტის ”ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და ნეძვის აღკვეთილში ნიაშორის და კავკასიური სალამანდრას კონსერვაციის ხელშეწყობა” ფარგლებში, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ნეძვის აღკვეთილში დამონტაჟდა 5 ხერგილი ხეობების შესასვლელებში, სადაც ბინადრობს კავკასიური სალამანდრა. “კავკასიური სალამანდრის კონსერვაციის გეგმის“ თანახმად გაძლიერდა ამ ადგილების დაცვა და მონიტორინგი: 4 ხერგილი წარმატებული აღმოჩნდა და აქ დარღვევები 90%-ით შემცირდა.
- კავკასიური სალამანდრას არეალის შესწავლა და მისი პოპულაციის მდგომარეობის შეფასება განხორციელდა აგრეთვე მტირალას ეროვნულ პარკში. გამოვლენილია სალამანდრას ჰაბიტატი, რომელიც შემოიფარგლება ქობულეთის უბნის №1, 2, 4 სამცველოებით;
- ალგეთის ეროვნული პარკის, ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით ივნისსა და სექტემბერში ჩატარდა სამეცნიერო ექსპედიციები.
- ვაშლოვანის, ბორჯომ-ხარაგაულის და თბილისის ეროვნული პარკების ტერიტორიებზე ალგეთის ეროვნული პარკის თანამშრომლის მიერ განხორციელდა სამეცნიერო კვლევა. 2008 წელს ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მოპოვებული პრეზიდენტის გრანტის ”საქართველოს გასტერომიციტების მრავალფეროვნება” ფარგლებში მომზადდა გასტერომიციტების სარკვევის ელექტრონული ვერსია. 2009 წლის სამაგიდო კალენდარი, რომელიც დარიგდა სხვადასხვა ორგანიზაციებში და სკოლებში;

- მიკრომიცეტების (სოკოები) რკვევა განხორციელდა ყაზბეგისა და ალგეთის ეროვნული პარკების ტერიტორიაზე. გამოვლენილი იქნა 2 საქართველოსათვის ახალი სახეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია “აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები”;
- ალგეთის ეროვნული პარკის თანამშრომელმა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში ჩატარებულ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ტრენინგის დროს დამსწრეებს განუმარტა ექლექტრონული სარკვევის მოხმარება.
- გარდაბნის აღკვეთილში 2008 წ. ივლისის თვეში ჩატარდა ხელფრთიანებისა და ნემსიყლაპიების სახეობრივი შემადგენლობის, სივრცობრივი განაწილებისა და მათი მორფომეტრიის კვლევები.
- მარიამჯვარისა და ყორულის აღკვეთილის თანამშრომლის მიერ შესწავლილია მარიამჯვარში გავრცელებული ქართული მუხის (*Quercus iberica*) ტყის ნიადაგები და მკვდარი საფარი.
- 2008 წელს კი რეინჯერისა და არასამთავრობო ორგანიზაციის NACRES- ის მიერ ნანახი იქნა ჯიქი, მისთვის დამახასიათებელ საბინადრო ადგილებში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე;
- განხორციელდა კვლევები: კოლხური ხოხობის, (*Phazianus colchicus*) კაკბის (*Alectoris chukar*), შავი ყარყატისა და ბექობის არწივის პოპულაციებზე.
- არასამთავრობო ორგანიზაცია GCCW-ის მიერ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის მახლობლად და ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე რადიოლოკაციის მეთოდის საშუალებით ჩატარდა კვლევა სვაგზე, რომლის საშუალებით დადგენილი იქნა სვაგების მიგრაციის მარშრუტების დადგენა;
- ყაზბეგის ეროვნულ პარკში 2008 წლის ფიტოპათოლოგიური კვლევების ანგარიშების დამუშავების საფუძველზე შემუშავებული იქნა პროექტი, რომელიც გადაეცა თურქეთის საერთაშორისო დახმარების სააგენტოს “TIKA”-ს განსახორციელებლად. თურქი კოლეგების მიერ ბიოლოგიური ბრძოლის განსახორციელებლად გადმოცემული იქნა ფერომონები. სააგენტოსა და ყაზბეგის ეროვნული პარკის თანამშრომლების მიერ 50 ცალის ოდენობით ფერომონი დაკიდებული იქნა გერგეთის ფიჭვნარებში.
- ყაზბეგის ეროვნულ პარკში სნოს ხეობაში გავრცელებული მავნებლის ცქველეფია მზომელას წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდი: შეწამვლა განხორციელდა ავიაციის გამოყენებით არყნარში.
- სულ დაცული ტერიტორიების თანამშრომლების მიერ გამოიცა 19 სამეცნიერო სტატია.
- ერუშეთი-ფოცხოვის დაცული ტერიტორიის დაარსებასთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომლების, GCCW-ის, WWF-ის, ახალციხის არასამთავრობო ორგანიზაცია “ორბის” წარმომადგენლებსა და თურქ კოლეგებს შორის შედგა მუშა შეხვედრა, სადაც დაგეგმილი იქნა დაცული ტერიტორიის შესაქმნელად შემდგომი ნაბიჯების განხორციელება. შეხვედრა ორგანიზებული იქნა GCCW –ის მიერ.

ეკოტურისტული საქმიანობა


- დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო მეათე საიუბილეო საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც გაიმართა ქ. თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯია“-ში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლავოდუხის, ვაშლოვანის, თუშეთის, კინტრიშის, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, კოლხეთის, ბორჯომის, მტირალას ეროვნული პარკები. მნახველებს

საშუალება ქონდათ ენახათ დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის, უნიკალური ბუნების ძეგლების და სხვა ღირშესანიშნაობების ფოტო, ვიდეო და ბეჭდვითი მასალები, ტურისტული აღჭურვილობები.

- ტურისტული სერვისების ბაზარზე არსებული ფასებისა და ვიზიტორების მოთხოვნა მიწოდების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურებების საფასო სტრატეგია;
- შემუშავდა ვიზიტორთათვის განკუთვნილი კითხვარები ტურისტებთან უკუკავშირის დასამყარებლად და დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული საქმიანობის თვითშეფასებისთვის;
- აღირიცხა ზოგიერთი დაცული ტერიტორიის კულტურულ – ისტორიული ძეგლების ნუსხა;
- დეკემბრის თვეში ტერიტორიული ადმინისტრაციების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებს ჩაუტარდათ ტრენინგი;

ტურისტული საქმიანობა აქტიურად ხორციელდება საქართველოს იმ დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურა და ტურისტული მომსახურების სერვისებია – ლაგოდეხის, ვაშლოვანის, თუშეთის, კინტრიშის, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის, მტირალას ეროვნული პარკები. გამონაკლისია სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია, თბილისის და ყაზბეგის ეროვნული პარკები, სადაც არ არის ტურისტული ინფრასტრუქტურა და ტურისტული მომსახურებები, თუმცა აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე შეინიშნება ტურისტების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში (2008 წლის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დაცულ ტერიტორიებზე ტურისტების ყველაზე ჭარბი რაოდენობა სწორედ სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში ფიქსირდება);

ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით 29/12/2008 წ




- კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე სამ თვეში აშენდა ვიზიტორთა ცენტრის და ეკოტურიტული ინფრასტრუქტურა, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ვიზიტორების მოზიდვასა და შემოსავლების გაზრდას;

- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით გაიხსნა მნიშვნელოვანი ობიექტები: განახლებული საინფორმაციო ცენტრი, მიჯნისყურის ვიზიტორთა ცენტრი.



- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები – ადმინისტრაციის დირექტორი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი იმყოფებოდნენ Pan Park-ების საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც განხილული იქნა ტურიზმის განვითარების სამომავლო გეგმის შემუშავების საკითხები;


ვიზიტორთა სტატისტიკა დაცულ ტერიტორიებზე

ისევე, როგორც გასულ წლებში, ინფორმაციის ძირითად წყაროდ კვლავ რჩება პირადი რეკომენდაცია, თუმცა წინა წლებთან შედარებით პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია, საკმაოდ ბევრი ტურისტი ინფორმაციას ასევე იღებს ინტერნეტით (დაცული ტერიტორიების ვებ-გვერდი: www.dpa.gov.ge) და სხვადასხვა გზამკვლევებით, რომელშიც განთავსებულია ინფორმაცია დაცულ ტერიტორიებზე. ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საინფორმაციო ტურების ორგანიზებამ და რეკლამამ ტელევიზიით. ტურისტების გარკვეულმა რაოდენობამ პარკზე ინფორმაცია სწორედ ამ გზით მიიღო.



- 2008 წელს ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე სტატისტიკის მიხედვით, წინა წლებთან შედარებით დაახლოებით 200%-ით გაიზარდა;





რეინჯერთა სამსახური

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2008 წლის მონაცემებით სულ უკანონო მოიჭრა 1696,67 კ.ბ.მ. ხე-ტყე. დამნაშავეებზე გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემული იქნა 205 ოქმი, რის საფუძველზეც დაფიქსირდა 1091,96 კ.ბ.მ. ანუ გამოვლინდა უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის 65%. 2007 წელთან შედარებით უკანონო ჭრების რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე 2008 წელს გაიზარდა 506,5 კ.ბ.მ.-ით. დამნაშავეებზე გამოვლენილი უკანონო ჭრების რაოდენობა 2008 წელს (604,71 კ.ბ.მ) 2007 წელთან შედარებით გაიზარდა 319,9 კ.ბ.მ.-ით, ხოლო დამნაშავეების გამოვლინება შემცირდა 12%-ით. უკანონო ჭრების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე, სადაც უკანონო ჭრების მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეული იქნა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს საომარი მოვლენების გამო. რუსეთის ჯარების შენაერთები უშუალოდ დაბანაკებულნი იყვნენ კოლხეთის ეროვნულ პარკის საზღვაო ნაწილთან არსებულ ტყეებში, სადაც დაცული ტერიტორიის სრული პატრულირება შეუძლებელი გახდა, აღნიშნულის გამო კი უკანონო ჭრებმა სარძნობლად იმატა. აგვისტოს მოვლენების დროს კოლხეთის ეროვნული პარკის ხობის უბანში რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ მოჭრილი და გატანილი იქნა 74,84 კ.ბ.მ.-ის 268 ძირი ხე-ტყე.

2007 წლის მონაცემებთან შედარებით, უკანონო ჭრების რაოდენობა აგრეთვე გაიზარდა აჯამეთის, სათაფლიის, გარდაბნისა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, მათ შორის აჯამეთისა და გარდაბნის დაცულ ტერიტორიებზე უკანონო ჭრებზე დამნაშავეების გამოვლინების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

2008 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გამოვლინდა სხვა უკანონო ქმედებების 107 შემთხვევა, მათ შორის ნადირობის – 14, თევზჭერის – 22, ხოლო უკანონო ძოვების – 30 შემთხვევა. 2007 წლის მონაცემებთან შედარებით სხვა დარღვევების გამოვლინება და სასამართლოზე გადაცემული ოქმების რაოდენობა შემცირდა 11 ერთეულით.

2008 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დაფიქსირდა ხანძრის 4 შემთხვევა. ალგეთის ეროვნული პარკის საზღვრებთან, რომლებიც ლიკვიდირებული იქნა პარკის თანამშრომლების მიერ დაფიქსირდა ხანძრის 12 შემთხვევა. თბილისის ეროვნული პარკის მოსაზღვრე ტერიტორიაზე დაფიქსირდა ხანძრის 2 შემთხვევა ხანძრების ლიკვიდაცია განხორციელდა პარკის რეინჯერების მიერ.

2008 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაიცა 31301 კ.ბ.მ. საშეშე ხე-ტყე. მათ შორის ყველაზე მეტი გაიცა თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან 8114 კ.ბ.მ., ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებიდან 8104 კ.ბ.მ. ხოლო აჯამეთის ალკვეთილიდან 5810 კ.ბ.მ. 2008 წელს გაცემული საშეშე ხე-ტყიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 90421 ლარი, რაც 40889 ლარით მეტია 2007 წელთან (49532 ლარი) შედარებით.

2007 წელთან შედარებით (16769 კ.ბ.მ.) დაცული ტერიტორიებიდან ადგილობრივი მოსახლეობისათვის 2008 წელს გაიცა 14532 კ.ბ.მ.-ით მეტი საშეშე ხე-ტყე. შეშის გაცემის შესამჩნევი ზრდა გამოწვეულია თბილისისა და მტირალას ეროვნული პარკების ახლად შემოერთებული ტერიტორიებიდან ადგილობრივ მოსახლეობაზე 2008 წელს გაცემული საშეშე ხე-ტყის გამო.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- კინტრიშის, ალგეთის, აჯამეთის, თბილისის, იმერეთის მღვიმეთა კომპლექსის და გარდაბნის დაცული ტერიტორიებისათვის შემუშავებულია დროებითი რეგულირების წესები;
- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე IUCN-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგზე მომზადებულ იქნა დაცული ტერიტორიების ერთიანი სტრატეგიული გეგმა;
- ალგეთისა და ყაზბეგის ეროვნული პარკების გაფართოების მიზნით შექმნილი კომისია მივლინებული იქნა სტეფანწმინდისა და თეთრიწყაროს რაიონებში – საპროექტო ტერიტორიების დასათვალისწინებლად, შედეგად მოძიებულია ფოტო, ლიტერატურული მასალა, განსაზღვრულ იქნა ტერიტორიები; შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა აღნიშნული დაცული ტერიტორიების გაფართოებასთან დაკავშირებით კანონის მომზადებისათვის;
- ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შეირჩა სამოდერნო ეკო-ბილიკის მარშრუტი;
- მომზადდა და კომისიის წევრების მიერ ხელი მოეწერა “ალგეთის ეროვნული პარკის გაფართოების სახელმძღვანელო დოკუმენტს“;
- მომზადდა ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოების სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი;
- მოსახლეობის შემთხვევით უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო ტყე-კაფები აჯამეთის, ბორჯომის, გარდაბნის, ყორულის ალკვეთილის ტერიტორიებზე, ასევე კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე, მტირალასა და თბილისის ეროვნული პარკების ტერიტორიებზე;
- წარმოდგენილი იქნა 2007 წლის საშემოდგომო და 2008 წლის საგაზაფხულო რევიზიის მასალები, რის საფუძველზეც ჩატარდა მათი შედარებითი ანალიზი;
- მომზადდა 2006 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში უკანონო ქმედებების შემაჯამებელი ცხრილები შესაბამისი დარღვევების მიხედვით;
- იორის ალკვეთილის ტერიტორიიდან იორის სამონადირეო მეურნეობისათვის გამოიყო ფართობები; მიღება-ჩაბარების საფუძველზე გადაცემულ იქნა შ.პ.ს. “იორის რესურსებზე“;

- დამთავრდა თბილისის ეროვნული პარკის მიღება-ჩაბარების პროცესი, სადაც უკვე გადაბარებული იქნა მარტყოფის, გლდანის, გალავნის და ცხვარიჭამის ტერიტორიები;
- მომზადდა კანონპროექტი “ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების შესახებ”;
- მომზადდა სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი თუშეთის დაცული ტერიტორიების ზონირების კანონთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით; დაიწყო მუშაობა საბოლოო ვერსიაზე.
- იმერეთის მღვიმეთა კომპლექსის დაცული ტერიტორიებისათვის შერჩეული იქნა ტერიტორიების ნაწილი დასარეგისტრირებლად საჯარო რეესტრში.

პროექტები და ინფრასტრუქტურა

• დასრულდა ინფრასტრუქტურის მოწყობა თუშეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანისა და ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე პროექტის – „დაცული ტერიტორიების შექმნა საქართველოში“ ფარგლებში (მსოფლიო ბანკისა (WB) და გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) გრანტი). სააგენტოს კოორდინაციით მომზადდა შიდასაექსპოზიციო და საინტერპრეტაციო მასალები. პროექტის ფარგლებში მომზადდა ცენტრალური კავკასიონის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები.

• ამერიკის შინაგანი დეპარტამენტის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის (USDoI ITAP) ფარგლებში დაიწყო თბილისის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის კონცეპტუალური და მუშა პროექტების მომზადება. აგვისტოს ომის დროს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაჩენილი ხანძრის შედეგების აღმოსაფხვრელად, ამერიკის შინაგანმა დეპარტამენტმა შეისყიდა ხანძარსაწინააღმდეგო სპეც-ტანსაცმელი, რომელიც მზადაა ტრანსპორტირებისთვის. დაიგეგმა 2009 წლის ხანძარსაწინააღმდეგო და GIS ტრენინგები.

• გერმანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ყაზბეგში ბიოსფერული რეზერვატის შექმნის შესახებ; მომზადდა ხელშეკრულება წინასწარი კვლევების განხორციელების დასაფინანსებლად გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან (KfW).

• IUCN-ის მხარდაჭერით მომზადდა „დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა“, მზადდება რეკომენდაციები დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

• IUCN-ის მიერ მომზადდა ქცია-ტაბაწყურის მენეჯმენტის გეგმის პროექტი; დაიწყო მუშაობა დოკუმენტის საბოლოო ვერსიაზე;

• დაიწყო „ზუნების დაცვის პროგრამა, სამხრეთ კავკასია-ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნა საქართველოში“ პროექტის განხორციელება. KfW-ს გაიდლაინებით ჩატარდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული საკონსულტაციო მომსახურებისათვის ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნით (WWF Germany /WWF Caucasus Po);

• მტირალას ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების კოორდინაცია: სოფ. ჩაქვისთავში დაიწყო ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა, შეირჩა ერთ-ერთი ტურისტული ბილიკი; მომზადდა მენეჯმენტის გეგმა; მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია დაარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, მომზადდა სადემარკაციო ბოძის დიზაინი; შემუშავდა მტირალას ეროვნული პარკის ვებ-გვერდის დიზაინი (WWF Norway, WWf Caucasus PO-გრანტი);

- მომზადდა კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდის (CPAF) „ჩარჩო ხელშეკრულების“ საბოლოო ვერსია და ხელი მოეწერა 2008 წლის 5 დეკემბერს;

- მომზადდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სასწრაფო ხანძარსაწინააღმდეგო დახმარების საპროექტო განაცხადი და დასაფინანსებლად წარედგინა კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდს; განაცხადის საფუძველზე ფონდთან ერთად მომზადდა საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ჩამონათვალი და დაიწყო მუშაობა საგრანტო ხელშეკრულების საბოლოო ვერსიაზე;

- დაიწყო მუშაობა საპილოტო საგრანტო პროექტის მოსამზადებლად; მომზადდა ანგარიში სააგენტოს ფინანსური სისტემის შესახებ ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოსა (TJS) და კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდის (CPAF) საპროექტო წინადადების ფორმატისთვის; სააგენტოს წლიურ, საოპერაციო, ფინანსური გეგმებისა და მენეჯმენტის შესახებ;

- შედგა თურქი კოლეგების ვიზიტი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. დაიწყო მოლაპარაკებები თურქეთიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ჯივრების რეინტროდუქციასთან დაკავშირებით. შედგა სამუშაო შეხვედრა და აგრეთვე რეინტროდუქციისათვის შერჩეული საიტი “ბულა მოედანის” შეფასება. გადაწყვეტილება დადებითია. დაიწყო დაფინანსების მოძიება ვოლიერის მშენებლობისთვის. მომზადდა მემორანდუმის პროექტი საქართველოსა და თურქეთის სამინისტროებს შორის.

- თურქეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (TIKA) მოძიებულია დაფინანსება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საკომუნიკაციო სისტემით აღჭურვის მიზნით; დაზუსტდა ტექნიკური დეტალები და რაოდენობა;

- მომზადდა საპროექტო განაცხადი და წარედგინა იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (JICA) აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ბორჯომ-ხარაგაულისა და კოლხეთის ეროვნული პარკების ბუნებაზე მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მიზნით სხვადასხვა თემატური რუკების შესაქმნელად;

- მომზადდა პროექტები საერთაშორისო დონორებისათვის (ნიამორის რეინტროდუქციის მეორე ფაზა, როჭო, სკოლის მოსწავლეებისათვის ტურების მოწყობა დაცულ ტერიტორიებზე და ა.შ.);

- მომზადდა იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო წინადადება; დაიგეგმა ბილიკები და მომზადდა მასალა საინტერპრეტაციო დაფებზე განსათავსებლად და შემუშავდა დაფების დიზაინი.

- კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე მომზადდა მასალა საინტერპრეტაციო დაფებზე განსათავსებლად და შემუშავდა დაფების დიზაინი.

- მომზადდა ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი.

- ჩატარდა საველე სამუშაოები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ქ. ბორჯომის მიმდებარედ არსებული საზღვრის კორექტირებისათვის და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

- ფშავ-ხევსურეთში პოტენციური დაცული ტერიტორიის შექმნის საკითხის შესასწავლად შეიქმნა კომისია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან და შედგა სხდომა; დაიწყო არსებული მასალების შეგროვება და ანალიზი;

- სააგენტოს თანამშრომელთა მონაწილეობით შეიქმნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრის კორექტირების შემსწავლელი კომისია. კომისიის მუშაოების შედეგად მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

- მომზადდა საპროექტო წინადადებები და პრეზენტაციები არსებული და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურების განვითარებისათვის დაფინანსების მოძიების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან წარსადგენად.

საერთაშორისო ურთიერთობები

- სააგენტოს კოორდინაციით, სააგენტოს პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების მიერ (IUCN, WB, Nacres, WWF, PanParks, USDol) მომზადდა განცხადებები აგვისტოს ომის დროს მომხდარ ეკოციდზე და გაშუქდა მასმედით.

- მომზადდა საპრეზენტაციო მასალა ეუთოსა და გაეროს ერთობლივი მისიისათვის საქართველოში ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთისა და ლიახვის დაცული ტერიტორიებისათვის მიყენებულ ზიანზე;

- მომზადდა საპრეზენტაციო მასალა ბარსელონაში IUCN-ის კონგრესზე წარსადგენად. შედგა მოლაპარაკებები IUCN-ის რეზოლუციის კომიტეტს, რუსეთის წარმომადგენლებსა და რეზოლუციის სპონსორ ორგანიზაციებთან; შემუშავდა რეზოლუცია, რომელმაც დაგმო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაჩენილი ხანძრები. მომზადდა მასალები, რის საფუძველზეც საქართველო 2008 წელს გაწევრიანდა IUCN-ში;

- სააგენტოს წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ იტალიაში მღვიმეების ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მართვის საკითხების გასაცნობად;

- თურქი კოლეგების მოწვევით მონაწილეობა იქნა მიღებული UNESCO-ს M&B (აღამიანი და ბიოსფეროს პროგრამა) კონფერენციაში ქ. ანტალიაში. მომზადდა სააგენტოს ანგარიში ბიოსფერული რეზერვატების შესახებ საერთაშორისო კონფერენციაზე წარსადგენად. 2009 წლის კონფერენცია დაგეგმილია საქართველოში; დაწყებულია საორგანიზაციო სამუშაოები;

- აღდგა კავშირები აშშ-ს დაძმობილებულ პარკებთან, სამომავლოდ აქტიური თანამშრომლობის მიზნით; მომზადდა მემორანდუმის ტექსტი როკი მაუნთინისა (აშშ) და თუშეთის დაცულ ტერიტორიებს შორის და გადაეგზავნა შესათანხმებლად ამერიკის მხარეს;

- მზადდება მასალები კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ კოლხეთის ეროვნულ პარკთან დაძმობილებული პოინტ რეის ეროვნული პარკის ვებ-გვერდისათვის.

ტრენინგები

- სააგენტოს თანამშრომლებმა TJS-ის მხარდაჭერით გაიარეს წვრთნები მენეჯმენტის გეგმის მომზადების მეთოდოლოგიებში (ადაპტური მენეჯმენტი და თანამონაწილეობითი მართვა). მიღებული გამოცდილება გაზიარებული იქნა დაცული ტერიტორიების დირექციებთან და ადგილობრივი ხელისუფლებისა და თემების წარმომადგენლებთან.

- სააგენტოს თანამშრომლებმა ლატვიის გარემოს დაცვის პროექტის მიწვევით ქ. რიგაში გაიარეს წვრთნები პროექტების მართვაში, ვიდზემეს ბიოსფერული რეზერვატის მაგალითზე გაეცნენ მართვის ზოგად საკითხებს; მონაწილეობა მიიღეს ლატვიაში გამართულ კონფერენციაში, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა მდგრადი განვითარების ინსტრუმენტები და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია. განხილვის ძირითადი საგანი იყო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მოთხოვნების ინტეგრაცია დაგეგმვის დოკუმენტებში სხვადასხვა დონეზე;

კარტოგრაფიული მასალები

• კორექტირება გაუკეთდა საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ქართულ-ინგლისურ რუკებს ტურისტული ბუკლეტებისათვის.

• მომზადდა კოლხეთის, თუშეთის, ვაშლოვანის, მტირალას, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების შიდა ზონირების რუკები;

• მომზადდა თბილისის ეროვნული პარკის კარტოგრაფიული მასალები.

• მომზადდა მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტურისტული რუკები (ქართულ-ინგლისური ვერსიები);

• მომზადდა ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის პერსპექტიული გაფართოების რუკები (გეგმარებითი თრიალეთის დაცული ტერიტორიები).

• მომზადდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიის პერსპექტიული გაფართოების რუკები.

საკანონმდებლო საქმიანობა

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მომზადებული და მიღებული იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებები და მთავრობის დადგენილებები:

- „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“;
- „დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“;
- „ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება “ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“

შეტანილი იქნა ცვლილებები შემდეგ კანონებში:

- კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ;
- თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ;
- ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ;

სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა შემდეგი კანონპროექტები:

- „ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“;
- „იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“;

სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა შემდეგი კანონქვემდებარე აქტების პროექტები

- „მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების შესახებ“
- „პალიასტომის ტბაზე თევზჭერის წესის დამტკიცების შესახებ“

- „საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბერის №566 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- „საქართველოს ტყის ფონდის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 2 ოქტომბრის №1440 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- „დაცული ტერიტორიების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“;

სააგენტოს თავმჯდომარის მიერ მიღებული იქნა ბრძანებები:

- დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს სიმბოლიკის (ლოგოს), სპეციალური ფორმის (უნიფორმის) და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ;

სასამართლო პროცესები:

1. ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ეკონომიკური საქმიანობა

- 2008 წლის ივლისის თვეში მოწესრიგდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები, რომელიც გაიზარდა 70–100%-ით;
- მომზადდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების შენობებისა და ტერიტორიების პასპორტიზაცია, შემდგომში მათი რეგისტრაციის მიზნით;
- პროგრამა „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“-ს ფარგლებში შექმნილია მეხანძრეების სპეც. უნიფორმები, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასევე შექმნილ იქნება მეხანძრეების ინვენტარი და ბიოპრეპარატები, მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად;
- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე დასრულდა ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის გაზიფიცირება;

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობა

- მარტის თვეში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით გაიმართა დაცული ტერიტორიების დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. პარალელურად მოეწყო დაცული ტერიტორიების ფოტო-გამოფენა;
- 2008 წელს კინოთეატრ „ამირან“-ში მოეწყო თუშეთის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფოტო-გამოფენები, რომელიც გაგრძელდა 3 კვირის განმავლობაში;
გამოფენას დაესწრნენ მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „მომავლის სახლი“-ის აღსაზრდელები. მათთვის მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება დაცული ტერიტორიების შესახებ.

- 18 მარტს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში მოეწყო Pan Park-ების მიერ სერთიფიკატების გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი, რომელსაც დასწრო Pan Park-ების ადმინისტრაციის დირექტორი – ზოლტან კუნი და სხვა მოწვეული სტუმრები სამთავრობო სექტორებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ბიზნეს სექტორიდან და ა. შ.
- 3 აპრილს ქ. ბათუმში, დაცული ტერიტორიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურიზმისა და კურორტების საერთაშორისო გამოფენაში – „EXPO BATUMI 2008“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლაგოდეხის, ვაშლოვანის, თუშეთის, კინტრიშის, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, კოლხეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, მტირალას ეროვნული პარკები. მნახველებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი ლანდშაფტების, უნიკალური ბუნების ძეგლებისა და სხვა ღირშესანიშნაობების ფოტო, ვიდეო და ბეჭდვითი მასალები, ტურისტული აღჭურვილობები. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, დიპლომატიური კორპუსი, მასმედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- 2008 წელს დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები – ილია ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტთან, საქართველოს უნივერსიტეტთან, თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
- ტურისტული სეზონის დადგომასთან დაკავშირებით მოეწყო პრეზენტაციები და ოფიციალურად გაიხსნა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი;
- 31 მაისს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, ალვანის ველზე გაიხსნა თუშეთის ტრადიციული დღესასწაული „ხეზვაობა“ და „ფარდაგების ფესტივალი“. ღონისძიების მიზანი იყო თუშური ტრადიციების შენარჩუნება, ადგილობრივი მოსახლეების კეთილდღეობის გაუმჯობესება; აღნიშნულ ღონისძიებაზე ხელნაკეთობების გაყიდვის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 5000 ლარი, ხოლო კვების პროდუქტებიდან – 300 ლარი;
- 10 ივნისს მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოეწყო მტირალას ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის ესკიზის პროექტის პრეზენტაცია. პრეზენტაციას დაესწრნენ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორი და სხვა სტუმრები;
- 20 ივნისს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო „სათავგადასავლო ტური“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, ლატვიის, ისრაელის სახელმწიფოების სრულუფლებიანმა ელჩებმა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წამომადგენლებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ტუროპერატორებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა.
- 21 ივნისს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ოფიციალურად გაიხსნა ვიზიტორთა ბუნგალოები და გარე ტურისტული ინფრასტრუქტურა.
- 29 ივნისს დაცული ტერიტორიების სააგენტომ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულება „მომავლის სახლი“-ის აღსაზრდელებისთვის (30 ბავშვი) მოაწყო ერთდღიანი საგანმანათლებლო ტური ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე;
- 19 ივლისს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გაიხსნა ფოტო გამოფენა-კონკურსი “ერთი დღე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ

პარკში”. გამოფენაზე შეირჩა საუკეთესო ფოტოსურათი, რომლის ავტორი – ფოტოგრაფი გიორგი ნინიძე დაჯილდოვდა სიმბოლური საჩუქრით. გამოფენაზე მოწვეულნი იყვნენ ბავშვები კონფლიქტის რეგიონიდან, რომლებსაც გადაცათ სიმბოლური საჩუქრები;

- დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ფედერაცია – Save The Children-ის მხარდაჭერით, 2008 წლის 4-5-11 ოქტომბერს ორგანიზება გაუკეთა ერთდღიან ტურს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე. შიდა ქართლის კონფლიქტის ზონიდან იძულებით გადაადგილებულ 150 ბავშვს (ასაკი 6-15 წელი) საშუალება მიეცა მოენახულებინა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები. პროექტი განხორციელდა 3 ეტაპად (50 ბავშვი თითო ეტაპზე). ბავშვებმა დაათვალიერეს და შეისწავლეს იქ არსებულ ბიომრავალფეროვნება, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა აქტივობაში;
- დაცული ტერიტორიების სააგენტომ, საქართველოს ბანკის – „კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდი“-ისა და განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, 2008 წლის 9, 15 და 16 ნოემბერს ორგანიზება გაუკეთა ერთდღიან ტურს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. პროექტი განხორციელდა 3 ეტაპად (50 ბავშვი თითო ეტაპზე). შიდა ქართლის კონფლიქტის ზონიდან იძულებით გადაადგილებულ 150 ბავშვს (ასაკი 12-15 წელი) საშუალება მიეცა მოენახულებინა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, „არწივის ხეობა“, „ხორნაბუჯი“;
- 26 ოქტომბერს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გაიხსნა ვიზიტორთა ბუნგალოების მეორე სოფელი, რომელიც მიმდინარეობდა დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის (WB) და გარემოსდაცვითი გლობალური ფონდის (GEF) დაფინანსებით.
- 10-13 ნოემბერს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი შონვაძე დაესწრო ლონდონში გამართულ World Travel Market-ის მაშტაბურ ივენთს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200 ქვეყნის 5500-მა წარმომადგენელმა ტურიზმის სფეროდან. პროგრამის ფარგლებში მოეწყო კონფერენცია-სემინარი მდგრადი ტურიზმის განვითარების თემაზე;
- 15-20 დეკემბერს იტალიაში, ქ. ჯენოვაში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საერთაშორისო მღვიმეების ასოციაციის წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრა ინფორმაციის გაცვლისა და საერთაშორისო ქსელში იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების გაწვევრიანების ხელშეწყობის მიზნით;
- ზაფხულში, 3 თვის განმავლობაში, თბილისის საეთაშორისო აეროპორტში განთავსებული იყო დაცული ტერიტორიების სააგენტოს სარეკლამო მოდულაითი; დაცული ტერიტორიების სააგენტოს სარეკლამო ბანერები განთავსებულია აგრეთვე კახეთის რეგიონში, საგარეჯოს რაიონში;
- დამზადდა თბილისის ეროვნული პარკის, კინტრიში, ვაშლოვანის, ლაგოდეხის, თუშეთის დაცული ტერიტორიების და იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ლოგოები;
- შეიქმნა და განახლების პროცესშია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდი;
- მთელი წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გამოცემულია ბეჭდვითი-საინფორმაციო და სარეკლამო მასალები;
- დაიბეჭდა ვაშლოვანის, ლაგოდეხის, თუშეთის, ქობულეთის დაცული ტერიტორიების, მტირალას, ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის ეროვნული პარკების ტურისტული რუკები;
- 2008 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შექდებოდა საქართველოს ყველა ცენტრალური

ტელევიზიის ეთერში – „რუსთავი 2“, „მზე“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „აღანი“;

- 2008 წლის განმავლობაში ყველა დაცული ტერიტორიისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს საქმიანობის შესახებ საგაზეთო სიუჟეტებს აკეთებდნენ ინგლისურენოვანი გაზეთები – „Georgia Today“ (სულ 16 სტატია), „Welcome to Georgia“, აგრეთვე, სტატიები დაიბეჭდა გაზეთებში – „რეზონანსი“, „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ახალი თაობა“, „The Georgian Times“, National business“, „ასავალ-დასავალი“. ჟურნალები – „მშვენიერი საქართველო“, ტურიზმი და დასვენება“, „რეიტინგი“ და ა. შ.
- საერთაშორისო ჟურნალ **“World Heritage”**-ში გამოქვეყნდა სარეკლამო და საინფორმაციო სტატია ეროვნული პარკის შესახებ;
- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მომზადდა სპეციალური გადაცემა „ჩალაგე ჩემოდანი“ და გავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე;

ბარემოს ეროვნული სააგენტო

ჰიდრომეტეოროლოგია

ბარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი მუშაობას წარმართავდა შემდეგი მიმართულებით:

- დაკვირვებები წარმოებდა 13 მეტეოროლოგიურ სადგურზე მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე (ჰაერის ტემპერატურა: მაქსიმალური, მინიმალური და დაკვირვების ვადებზე, ატმოსფერული წნევა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ნალექების რაოდენობა, ღრუბლების ტიპი და რაოდენობა, ჰორიზონტალური ხილვადობა რეგულარული (დღე-ღამურ რეჟიმში, ყოველ 3 საათში ერთხელ), ამინდის მოვლენებზე (ნისლი, ჭექა-ქუხილი, ქარბუქი, სეტყვა, შემოყინულობა).
- აგვისტოში ქვეყანაში არსებული საომარი მოქმედებების პერიოდში, მეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი, საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების თხოვნით, გადაყვანილი იქნა გახშირებულ, ყოველსაათობრივ დაკვირვებების რეჟიმში.
- მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე (ჰაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა) რეგულარული (დღე-ღამურ რეჟიმში 2-ჯერ) დაკვირვებების წარმოება 22 მეტეოროლოგიურ და ჰიდრომეტეოროლოგიურ საგუშაგოზე.
- ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე (წყლის დონე, წყლის ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა) რეგულარული (დღეში 2-ჯერ) დაკვირვებების წარმოება 21 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე.
- მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სადგურების და საგუშაგოების დაკვირვების მონაცემების რეგულარული (დღე-ღამურ რეჟიმში) შეკრება და ეროვნულ დონეზე გავრცელება.
- მეტეოროლოგიურ მონაცემთა მსოფლიო ცენტრებიდან სინოპტიკური და აეროლოგიური ინფორმაციული პროდუქციის რეგულარულად მიღება.
- თბილისის ავიომეტეოროლოგიური ცენტრიდან გეგმიური მეტეორადიოლოკაციური ინფორმაციის რეგულარულად მიღება.
- ამინდის მკვეთრი გაუარესების შესახებ შტორმული 631 დეპეშის მიღება და გავრცელება.
- ამინდის მაღალი გარჩევადობის რიცხვითი მოდელების (გერმანული) თვლის პროცესის უზრუნველყოფა, ოპერატიულ რეჟიმში გაშვება.
- სინოპტიკური პროდუქციის ვიზუალიზაციის პროგრამული საშუალებების (GIS მეტეო) სრული ინსტალაცია, თანამგზავრული სურათების ვიზუალიზაციის ჩათვლით.
- მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ექსპერტებთან ერთად სატელეკომუნიკაციო სისტემის მოდერნიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და აღნიშნული სისტემის შესაძენად სატენდერო განაცხადის მომზადება.
- აგვისტოში ქვეყანაში არსებული საომარი მოქმედებების პერიოდში, რუსეთიდან (მოსკოვი), როგორც მეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრიდან სინოპტიკური პროდუქციის მიღების გართულების გამო, ციფრული ინფორმაციისა და რგოლური რუქების RETI 2000-ის მეშვეობით განხორციელება. ცალკეული სახეობის სინოპტიკური პროდუქციის ახერბაიჯანის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურიდან ფაქსით ან ელ.ფოსტით მიღება.

- ფინეთიდან მოწვეულ ექსპერტთან ერთად ამინდის პროგნოზის გამართლებადობის დადგენის მიზნით სტატისტიკური ანალიზის მეთოდების დანერგვის სამუშაოების წარმოება.
- საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების და მსხვილი ქალაქების ამინდის მოკლე (12, 24, 36 საათიანი) და საშუალო (48, 60, 72, 84 საათიანი) სპეციალიზირებული დანიშნულების პროგნოზების შედგენა და დამკვეთისთვის (რადიო, ტელევიზია) მიწოდება.
- საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ამინდის გრძელვადიანი (1 თვის) საერთო დანიშნულების პროგნოზის მომზადება და გამოცემა.
- საქართველოს ძირითად მდინარეებზე წყლის დონის მოკლევადიანი (24, 48, 72 საათიანი) საერთო დანიშნულების პროგნოზების მომზადება და გავრცელება.
- საქართველოს მდინარეებზე (ენგური, მტკვარი, არაგვი) წყლის დონის და ხარჯის მოკლევადიანი (24, 48, 72 საათიანი) სპეციალიზირებული დანიშნულების პროგნოზების მომზადება და დამკვეთისთვის (ჰიდროელექტროსადგურები) მიწოდება.
- საქართველოს მდინარეებზე (ენგური, მტკვარი, არაგვი) წყლის ხარჯის სპეციალიზირებული დეკადური პროგნოზის მომზადება და დამკვეთისთვის მიწოდება.
- საქართველოს მდინარეებზე (ენგური, მტკვარი, არაგვი) წყლის ხარჯის სპეციალიზირებული თვის პროგნოზის მომზადება და დამკვეთისთვის მიწოდება.
- საქართველოს მდინარეებზე გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის მომზადება და გავრცელება.
- საქართველოს ძირითადი მდინარეებისათვის დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების სამუშაო მრუდების დაზუსტება.
- საქართველოს მდინარეებზე მოსალოდნელი წყალდიდობა-წყალმოვარდნების შესახებ სპეციალური გაფრთხილებების გაცემა.
- საქართველოს ტერიტორიაზე 2006-2007 წლებში განვითარებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების გამომწვევი მიზეზების ანალიზის დასრულება.
- საქართველოს სამხედრო და ხაიში-ჭუბერი-საკენის გზებზე 2007 წლის ივნისი - 2008 წლის მაისის პერიოდში განვითარებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების ოპერატიული მომსახურების ანგარიშის მომზადება.
- GIS პროგრამაში ხაიში-ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიის 1:50000 მასშტაბში აციფვრა.
- 40 ზვავსაშიში კერისათვის ინდივიდუალური პასპორტის მომზადება მათი ფიზიკური და დინამიკური მახასიათებლების ჩვენებით.
- საქართველოს სამხედრო და ხაიში-ჭუბერი-საკენის გზებისთვის 200 სპეცპროგნოზის გაცემა ამ გზებზე, ან მის ცალკეულ უბნებზე მოსალოდნელი ამინდის შესახებ.
- საქართველოს სამხედრო და ხაიში-ჭუბერი-საკენის გზებისთვის 50 სპეცგაფრთხილების გაცემა მოსალოდნელი ზვავსაშიშროების, მათი მთლიანი ან ნაწილობრივ მოხსნის, აგრეთვე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის დაწესების თაობაზე.
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 1:50000 მასშტაბის რუკის აციფვრა GIS პროგრამაში ამ რეგიონში განვითარებული სტიქიური

ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით განაწილების რუკის შექმნის მიზნით.

- 10 ზვავსაშიში კერისათვის ინდივიდუალური პასპორტის მომზადება.
- აგრომეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოების სფეროში გორის, თბილისის, ახალციხის, თელავის და ბოლნისის მეტეოროლოგიური სადგურების და ხაშურის, წალკის, თიანეთის, დედოფლისწყაროს, მარნეულის მეტეოროლოგიური საგუშაგოს თანამშრომლებისთვის მეთოდური კონსულტაციების ჩატარება.
- აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენების მომზადება და გამოშვება.
- ფენოლოგიური პროგნოზების და გაფრთხილებების შედგენა და გავრცელება.
- მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების აგრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების კრიტიკულად შემოწმება და ფენოლოგიურ ჟურნალში შეტანა.
- 13 მეტეოროლოგიური სადგურის და 7 მეტეოროლოგიური საგუშაგოს დამკვირვებლებისთვის მეთოდური კონსულტაციების ჩატარება. ბახმაროს, ქობულეთის, ფოთის, ზუგდიდის, ქუთაისის მეტეოროლოგიურ სადგურებზე მეთოდური ინსპექციების ჩატარება.
- 2008 წლის 143 თვე- სადგურის და 204 თვე- საგუშაგოს დაკვირვების მონაცემების დამუშავება (მონაცემებს ჩაუტარდა I და II დონის სემანტიკური და სტატისტიკური ანალიზი და კორექტირება) და მონაცემთა ბაზებისთვის გადაცემა.
- მეტეოროლოგიური დაკვირვებების ისტორიული მონაცემების (16 თვე- სადგური და 120 თვე- საგუშაგო) ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა.
- საქართველოს წყლის რესურსების საინფორმაციო სისტემის შექმნის სამუშაოების წარმოება გეოსაინფორმაციო სისტემის პროგრამულ პროდუქტ Arc GIS - ის საშუალებით.
- ჰიდროლოგიური მონაცემების დამუშავების, ანალიზისა და მოდელირებისათვის თანამედროვე პროგრამების (Mathcad, Maple, MIKE BASI და სხვ.) ათვისება და დანერგვა.
- ჰიდროლოგიური შესწავლილობის კატალოგის შევსება სამდინარო საგუშაგოების მონაცემებით.
- ჰიდროლოგიურ დაკვირვებათა პუნქტების (158 სამდინარო და 14 საწყალსატევი) აღწერილობის შედგენა.
- წყლის კადასტრის ხმელეთის ზედაპირული წყლების 2006-2007 წლების ყოველწლიური რეჟიმული მონაცემების შედგენა, შემოწმება, დამუშავება და ელექტრონული ვერსიის შექმნა.
- წყლის ზედაპირიდან აორთქლების 1999-2007 წლების 17 სადგურის მასალების შემოწმება.
- ჰიდროლოგიური დაკვირვებების სფეროში ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიების სპეციალისტებისათვის მეთოდური კონსულტაციების ჩატარება.
- 1977-83 წლების პერიოდისთვის 11 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების მონაცემების (ნიადაგის საშუალო, მაქსიმალური, მინიმალური ტემპერატურა, ქარის მაქსიმალური სიჩქარე, თოვლის საფარი და ატმოსფერული მოვლენები) ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა.
- 19 მეტეოროლოგიური სადგურის ჰაერის ტემპერატურისა და ნალექების ყოველდღიური ელექტრონული არქივის შევსება-შემოწმება.

- 19 მეტეოროლოგიური სადგურისათვის ჰაერის ყოველდღიური ექსტრემალური ტემპერატურისა და ნალექების ცვლილებისა და ცვალებადობის შეფასება შესაბამისი სტატისტიკური მეთოდებით.
- 1961-1990 წლების პერიოდისთვის 32 მეტეოროლოგიური სადგურის კლიმატური კადასტრის სხვადასხვა ცხრილების შედგენა.
- GIS ტექნოლოგიების გამოყენებით, კომპლექსური კლიმატური მახასიათებლების მიხედვით საქართველოს დარაიონების რუკების მომზადება.
- დეკადური და თვიური ოპერატიული კლიმატური დეპეშების მომზადება და მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის შესაბამის ცენტრებში გადაცემა.
- გლობალური გრძელვადიანი კლიმატური პროგნოზების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიისთვის, სხვადასხვა შესაძლო სცენარების მიხედვით (2020-20100წ.წ.) გრძელვადიანი კლიმატური პროგნოზების შედგენა.
- სეზონური კლიმატური პროგნოზის შესადგენი პროგრამული უზრუნველყოფისა (CPT) და მასში შემსვლელი პარამეტრების მომზადება.
- ტურისტულ-რეკრეაციული კლიმატური ინდექსის გაანგარიშება 17 მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური მონაცემების საფუძველზე და მისი თვეების მიხედვით განაწილების დადგენა.
- 60 მეტეოსადგურის ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე საქართველოში გვაღვების 100 წლიანი კადასტრის და შესაბამისი ფონური განაწილების რუკების მომზადება.
- სეტყვიანობისა და სტიქიური წყალდიდობა-წყალმოვარდნების 50 და 100 წლიანი კატალოგების შექმნის სამუშაოების წარმოება 50 მეტეოსადგურისა და 80 ჰიდროლოგიური საგუშაგოს ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე.
- გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით საქართველოს 8 მდინარის აუზში თოვლის მარშრუტული აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოების ჩატარება (13 მარშრუტზე საერთო სიგრძით 353კმ).
- ჰიდრომეტრიული სამუშაოების ჩატარება 4 ჰიდროელექტროსადგურის დაკვეთის შესაბამისად.
- მდ.ჭოროხის აუზთან დაკავშირებით მიმდინარე პროექტის "მდინარისა და სანაპირო დაცვის კვლევა" ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით მდინარის აუზში ექსპედიციური სამუშაოების წარმოება; ტექნიკური ანგარიშის მომზადება.
- ცხენისწყლის აუზში მდინარე ლექსურაზე ტოპოგრაფიული სამუშაოების ჩატარება ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტის მომზადების მიზნით.
- 22 ჰიდროლოგიური საგუშაგოს ნიველირება, პროფილის გადაღება, წყლის მაქსიმალური დონისა და ხარჯის განსაზღვრა წყალდიდობის დაწყების წინ და წყალდიდობის დამთავრების შემდეგ.
- 22 ჰიდროლოგიური საგუშაგოდან წყლის სინჯების აღება ქიმიური ანალიზისათვის.
- თბილისის მეტეოსადგურზე მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გრანტით მიღებული თანამედროვე მეტეოროლოგიური გამზომი საშუალებების დამონტაჟება.
- მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის საერთაშორისო სასწავლო ცენტრებში (საფრანგეთი, ჩინეთი, რუმინეთი, თურქეთი) ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის 4 სპეციალისტის მივლინება.

გეოლოგიური საშიშროებისა და გეოლოგიური გარემოს მართვა

- მომზადდა ინფორმაციული ბიულეტენი: საქართველოში 2007 წლის გეოლოგიური სტიქიის შედეგები და მათი განვითარების პროგნოზი 2008 წლისათვის. მასალები გადაეგზავნა შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტს და რეგიონების ხელმძღვანელებს;
- საქართველოს სხვადასხვა რაიონების ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე შეფასდა (ადგილზე რეკომენდაციების გაწევით და სათანადო დასკვნის მომზადებით) გეოლოგიური სტიქიით დაზიანებული 105 დასახლებული პუნქტი და 687 საცხოვრებელი სახლი;
- მომზადდა 570-მდე ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა სალიცენზიოდ შერჩეულ ობიექტებზე სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის მიზანშეწონილობის შესახებ;
- ფასიანი მომსახურების ფარგლებში მომზადდა საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები 18 ობიექტზე;
- დასკანირებული და რეფერენსირებულია 315 საბადოს 3150 რუკა;
- დამუშავდა სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო I და II რიგის წლიური ბალანსი: სულ 561 საბადო; 435 გამოვლინება და 96 წყლის საბადო;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის თხოვნით გეოლოგებმა მონაწილობა მიიღეს გეოლოგიური სტიქიით დაზიანებული საავტომობილო გზების სიტუაციის შეფასებაში და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავებაში ლენტეხის, ონის, ამბროლაურის რაიონებში;
- წლის განმავლობაში მომზადდა სხვადასხვა სახის ინფორმაციები, მათ შორის:
 - საქართველოსა და აზერბაიჯანის გარემოს დაცვის სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გარემოს დაცვის საკითხებში;
 - საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
 - ბუნების სტიქიური პროცესების მართვის სამოქმედო პროგრამა (საქართველოს მთავრობის მიერ დასახული ქვეყნის განვითარების 50 თვიანი პროგრამის ფარგლებში);
 - ბუნებრივი სტიქიური მოვლენების ზარალის მეთოდოლოგიის დამუშავება;
 - საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე დამუშავებულია საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების ტენდენციებისა და მართვის საკითხები;
 - საქართველო-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ გარემოს დაცვით საკითხებში;
 - მდ. ჭოროხზე ჰიდროტექნიკური კაშხლების მშენებლობასთან დაკავშირებით (თურქეთი) აჭარის ზღვისპირეთის ეკოლოგიური გართულებების საკითხზე;
- მომზადდა საერთაშორისო მონოგრაფიული ნარკვევი “Антропогенная трансформация природной среды Южного Кавказа, Тбилиси, Баку, Эреван” 2008; стр 459ж
- მომზადებულ იქნა 10-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, რომლებიც გამოცემულ იქნა როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო გამოცემებში.

სივრცული ინფორმაცია

1. სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის მოთხოვნილ ტერიტორიებზე მომზადდა 546 სრული და მცირე გეოსაინფორმაციო პაკეტი;
2. დამკვეთის მიერ მითითებულ 83 ობიექტზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ აღებული კოორდინატების მიხედვით, მომზადდა 1: 25 000 მასშტაბის, A4 ფორმატის, ფერადი ტოპოგრაფიული რუკები;
3. სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისათვის მოთხოვნილ ტერიტორიებზე, კერძოდ 318 ობიექტზე, წარმოდგენილი კოორდინატების მიხედვით, მომზადდა 1: 25 000 მასშტაბის, A4 ფორმატის, ფერადი ტოპოგრაფიული რუკები;
4. ს/ს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნულ კომპანიასთან“ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 58 ობიექტზე მომზადებულ იქნა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული სასარგებლო წიაღისეული საბადოს არსებობა-არარსებობის შესახებ ინფორმაცია;
5. შპს „მობიტელთან“ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 4 ობიექტზე მომზადებულ იქნა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული, სასარგებლო წიაღისეული საბადოს არსებობა-არარსებობის შესახებ ინფორმაცია;
6. შპს „ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 18 ობიექტზე მომზადებულ იქნა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული, სასარგებლო წიაღისეული საბადოს არსებობა-არარსებობის შესახებ ინფორმაცია;
7. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ შერჩეულ მიწის ნაკვეთებზე მომზადდა 370 წერილი. სახელმწიფო ბალანსზე რიცხული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს არსებობა-არარსებობის-წიაღზე დამაგრების შესახებ;
8. განსაზღვრული ფართის მქონე 106 მიწის ნაკვეთზე დადგინდა კატეგორია, დანიშნულება. (სახნავი, სათიბი, საძოვარი, არასასოფლო-სამეურნეო);
9. მიმდინარეობდა წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში დაცულ ანგარიშებზე თანდართული რუკების სკანირება-გეორეფერენსირება; DVD დისკებზე ჩაწერა; გეორეფერენსირების შედეგად სასარგებლო წიაღისეულის საბადოების კონტურების აციფვრა და ერთიან მონაცემთა ბაზაში დაფიქსირება. (საბადოს სახელი, რესურსის დასახელება, რეგიონი, რაიონი, მარაგების რაოდენობა, მარაგების კატეგორია, ავტორი, ანგარიშის ნომერი, გამოყენების სფერო) ასევე ხდება ამ ინფორმაციის საფუძველზე ინტერნეტ-საიტის (SIC.GOV.GE) გაახლება;
10. წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში დაცული 20 000 ანგარიშის საძიებო კატალოგების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, კერძოდ მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია 5 000 ანგარიშის ნომერი, ავტორი, რესურსის დასახელება, საბადოს დასახელება, ადგილ-მდებარეობა, მარაგების რაოდენობა;
11. ყოველკვირეულად მიმდინარეობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობაზე გაცემული ლიცენზიების ერთიან მონაცემთა ბაზაში დაფიქსირება. (ლიცენზიის ნომერი, მომპოვებელი, სარგებლობის ვადა, მოსაპოვებელი რესურსის დასახელება და რაოდენობა, ლიცენზირებული ტერიტორიის ფართობი შესაბამისი კოორდინატებით) ასევე ხდება ამ ინფორმაციის საფუძველზე ინტერნეტ-საიტის (SIC.GOV.GE) გაახლება;

12. დასრულდა საქართველოს სასარგებლო წიაღისეული საბადოების სახელმწიფო ბალანსის შედგენა, 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
13. დასრულდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მყარი სასარგებლო წიაღისეული საბადოებისა და გამოვლინებების კადასტრის (3700 ინფორმაციის მატარებელი წერტილოვანი ფენა 1980წ. მდგომარეობით) რუკების გეორეფერენსირება და ელექტრონული ვერსიის მონაცემთა ბაზის შექმნა;
14. დასრულდა საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „საქსახმიწროექტი“ ნიადაგური კვლევის, ტექნიკური და კარტოგრაფიული არქივიდან ხაშურის, თეთრიწყაროს, ქარელის, კასპის, გარაბნის, დუშეთის, დმანისის, გორის, ბორჯომის, რაიონების მიწათსარეგლობის, 1: 50 000 მასშტაბის გეგმების სკანირება-გეორეფერენსირება, ასევე მცხეთის რაიონის 1: 50 000 მასშტაბის გეგმის გეორეფერენსირების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მიწის კატეგორიებზე მონაცემთა ბაზა; მიმდინარეობს რაიონების 1: 10 000 მასშტაბის გეგმების სკანირება-გეორეფერენსირება;
15. დასრულდა გეოლოგიურ-ტექნიკური ბიბლიოთეკის (რომელიც წარმოადგენს საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით გეოლოგიის, მინერალოგიის, ჰიდროლოგიისა და მონათესავე დარგების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბაზას) ინვენტარიზაცია, წიგნის ფონდის აღწერა-გადაფასება;
16. დასრულდა ყოფილი სატყეო მეურნეობების სქემების და ყოფილი სატყეო უბნების ტყის კორომთა გეგმების (რომელიც შეადგენს სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიის ნაწილს და იმყოფება სატყეო დეპარტამენტის ბალანსზე) გეორეფერენსირება, ელექტრონულ დამგროვებელზე განთავსება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა.

მეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზა

1. ოპერატიულ რეჟიმში ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელიდან შემოსული ყოველდღიური პირველადი რეჟიმული მონაცემები დამუშავდა და განთავსდა მონაცემთა ბაზებში.

შეივსო და დამუშავდა ისტორიული მეტეოროლოგიური მონაცემთა ბაზა.

2. შექმნილი პროგრამებით გამოითვალა მიმდინარე თვის ჰაერისა და ნიადაგის თვის საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურების, თვის ნალექების ჯამის გადახრა მრავალწლიური ნორმებისაგან ცალკეული მეტეოროლოგიური სადგურებისათვის კრიტიკული კონტროლის ჩასატარებლად.

3. მონაცემთა ბაზებში განთავსებული მონაცემები გამოიყენება ფართო მომხმარებლის მომსახურებაში. 2008 წლის იანვრიდან მოთხოვნის შესაბამისად მომზადდა შემდეგი მასალა:

- 1998-2007 წლებში ყოველთვიური საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა და ყოველთვიური, სეზონური და წლიური ნალექების ჯამი ბათუმისა და ქობულეთის მეტეოსადგურების მონაცემებით;
- 50 წლიანი ყოველთვიური საშუალო ტემპერატურა, ქარის სიჩქარე, სინოტივე და ყოველთვიური ნალექების ჯამი ონის, შოვის, ფოთის, დედოფლის წყაროს, ლენტეხის და თბილისის მეტეოსადგურების მონაცემებით;
- 30 წლიანი ყოველთვიური ნალექების ჯამი, ქარის საშუალო და მაქსიმალური სიჩქარე, სეტყვის ინტენსივობა, თოვლიან დღეთა რიცხვი ქობულეთის მეტეოსადგურის მონაცემებით;

- ქ. თბილისისათვის თვის საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა, თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა, ქარის საშუალო თვიური სიჩქარე, ქარიან დღეთა რიცხვი, ნალექების თვის ჯამი, ნალექების მაქსიმალური დღე-ღამური რაოდენობა თვეების მიხედვით; თვის ჭექა-ქუხილიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური რაოდენობა, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე;
- 2005 და 2006 წლების ბათუმისა და ქობულეთის მონაცემები.

გარემოს დაბინძურების მონიტორინგის მონაცემთა ბაზა

- მონაცემთა ბაზაში განლაგდა და დამუშავდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების მონაცემები 2008 წელი (ქ. თბილისი – 1 საგუშაგო, სადაც იზომებოდა 4 ინგრედიენტი (მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი და აზოტის დიოქსიდი), ქ. ზესტაფონი – 1 საგუშაგო, სადაც იზომებოდა 4 ინგრედიენტი (მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი და მანგანუმის დიოქსიდი), ქ. ქუთაისი – 1 საგუშაგო, სადაც იზომებოდა 5 ინგრედიენტი (მტვერი, სულფატები, ნახშირჟანგი, აზოტის დიოქსიდი და აზოტის ოქსიდი,) ქ. რუსთავი – 1 საგუშაგო, სადაც იზომებოდა 3 ინგრედიენტი (ნახშირჟანგი, გოგირდის დიოქსიდი და აზოტის დიოქსიდი), ქ. ბათუმი – 1 საგუშაგო, იზომებოდა 4 ინგრედიენტი (მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, ხსნადი სულფატები და აზოტის დიოქსიდი) – (წლის განმავლობაში)
- გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ცენტრთან ერთად მომზადდა ყოველთვიური ბიულეტენები („მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ);
- წლის განმავლობაში მონაცემთა ბაზაში განლაგდა და დამუშავდა ატმოსფერული ნალექების დაბინძურებაზე დაკვირვების 2008 წლის 11 თვის მონაცემები (სამგორი, თელავი, ხაშური, ბორჯომი, ბაკურიანი, ბოლნისი, ახალციხე, ქუთაისი, სამტრედია, სენაკი, ზესტაფონი, საქარა, ფოთი, ჩაქვი, ბათუმი;
- მონაცემთა ბაზაში განლაგდა მიმდინარე მონაცემები გარემოს რადიაქტიული დაბინძურების შესახებ (ყოველდღიური ინფორმაცია შემოსული შემდეგი ქალაქებიდან: ფოთი, ქუთაისი, საჩხერე, ზესტაფონი, ფასანაური, ქობულეთი, ბათუმი, ახალციხე, გორი, წალკა, თბილისი, თელავი, ლაგოდეხი, ახალქალაქი, ფარავანი და დედოფლისწყარო);
- მონაცემთა ბაზაში განთავსდა წყლის ხარისხზე დაკვირვების მონაცემები 2008 წელი, მიმდინარე ინფორმაცია – შავი ზღვის აუზი (მდ. რიონის 13 კვეთი, აჭარის წყლები და პალიასტომის ტბა) და კასპიის ზღვის აუზი (მდ. მტკვრის 13 კვეთი, მდ. ალაზანი, მდ. დურუჯი, მდ. კაზრეთულა, და მდ. მაშავერა), სადაც წარმოებდა დაკვირვება 33 ინგრედიენტზე.
- დასრულდა 2004-2005 წლების ზედაპირული წყლის ხარისხის ბაზის აღდგენა;
- შეიქმნა 1998 წლის წყლის ხარისხის მონაცემთა ბაზა (შავი ზღვის აუზის მდინარეები)

ჰიდრომეტეოროლოგიური ფონდი

2008 წლის გაზაფხულზე განხორციელდა ფონდის და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის აღრიცხვიანობა, სისტემატიზაცია, განთავსება სტელაჟებზე და შენახვა.

მომსახურება გაეწია 312 მომხმარებელს, 215-მა მომხმარებელმა ისარგებლა მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური ცხრილებით, ტოპოგრაფიული რუკებით. 87-მა კი ისარგებლა ბიბლიოთეკით.

ტოპოგრაფიული რუკები დაეწყო ნომრების მიხედვით ორ ეგზემპლარად.

ჰიდროლოგიურ მონაცემთა ბაზა

- მუშაობა მიმდინარეობს ჰიდროლოგიური საგუშაგოების ყოველდღიური საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური მახასიათებლების მონაცემთა ბაზაზე. ჰიდროლოგიური მონაცემთა პროგრამული ბაზა შექმნილია სამხრეთ კავკასიის წყლის პროგრამის (USAID) მიერ, წყლის კადასტრის ეროვნული საინფორმაციო სისტემის განვითარების მიზნით. ჰიდროლოგიურ მონაცემთა ბაზაში ფორმირდება მდინარეებზე დაკვირვების მონაცემები წყლის დონეზე, წყლის ხარჯზე, წყლის ტემპერატურაზე, ნალექებზე, სიმღვრივეზე. ბაზა საშუალებას იძლევა ყოველდღიური მონაცემებიდან მივიღოთ თვიური, წლიური და მრავალწლიური საშუალო და ექსტრემალური ჰიდროლოგიური მახასიათებლები და ინფორმაციები სამდინარო საგუშაგოების საპასპორტო მონაცემების შესახებ.
- 2008 წელს მომზადებულია 1960-85 წლის ყოველდღიური საშუალო, მაქს-რი და მინ-რი ხარჯების მონაცემთა ბაზა შემდეგ სამდინარო საგუშაგოებზე (Access-სა და Excel-ის ფორმატში); მდ. ბორჯომულა-ბაკურიანის ანდეზიტი, მდ. ბორჯომულა-ქობორჯომი, მდ.გუჯარეთისწყალი-დ.წაღვერი, მდ.ბანისხევი ს.რველი, მდ.აღმოსავლეთი ფრონე-ს.დვანი, მდ.დიდი ლიახვი-ს.ჯავა, მდ.დიდი ლიახვი -ს.ქვემო როკა, მდ.დიდი ლიახვი-ს.კეხვი, მდ.დიდი ლიახვი-ქ.გორი, პატარა ლიახვი-ს.ვანათი, მდ.მეჯუდა-ქ.გორი, მდ.მეჯუდა-ქ.გრომი, მდ.ტანა-ს.ატენი, მდ.ღეხურა-ს.იგოეთი, მდ.ქსანი-ს.კორინთა, მდ.ქსანი-ქ.ახალგორი, მდ.ქსანი-ს.ქსოვრისი.
- 1960-90 წლების მდ.აღვეთის, მდ.ქციასა და მდ.ალაზნის აუზის მდინარეების საშუალო თვიური, მაქ-რი და მინ-რი ხარჯების მონაცემთა ბაზა (21 სამდინარო საგუშაგოზე).
- შეიქმნა წყლის დონის მრავალწლიური საშუალო, მაქს-რი, მინ-რი და წლიური რყევადობის მახასიათებლების ელექტრონული ვერსია შემდეგ სამდინარო საგუშაგოებზე: მ.ბორჯომულა-ბაკურიანის ანდეზიტი 1940-80წწ; მდ. ბორჯომულა-ქობორჯომი 1932-80წწ; მდ.გუჯარეთისწყალი-დ.წაღვერი 1946-58, 1960-80წწ; მდ.ბანისხევი ს.რველი 1963-80წწ; მდ.დიდი ლიახვი-ს.ჯავა 1956-80წწ; მდ.დიდი ლიახვი-ს.კეხვი 1942-80წწ; პატარა ლიახვი-ს.ვანათი 1953-80წწ; მდ.მეჯუდა-ქ.გორი, მდ.მეჯუდა-ქ.გრომი 1955-80წწ; მდ.ტანა-ს.ატენი 1935-39, 1941-80 წწ; მდ.თეთრი არაგვი-ს.მღეთი 1936-80 წწ; მდ.თეთრი არაგვი-დ. ფასანაური 1925-36; 1938-80 წწ; მდ.ხოდისხევი-ს.წკერე 1958-80 წწ; მდ. შავი არაგვი-შესართავთან 1939-80 წწ; მდ.ფშავის არაგვი-ს.მადაროსკარი 1959-80 წწ; მდ.აღვეთი-ს.ფარცხისი

1950-80 წწ; მდ.ქცია-ს.კუში 1933,1934,1938-80 წწ; მდ.ცია-ს.ედიქილისა 1947-57,1959-80 წწ; მდ.ქცია-ს.დაღეთი 1938-80წწ; მდ.ქცია-ს.იმირი 1914-20,1926-29,1941-80 წწ; მდ.ქცია-წითელი ხიდი 1927-80 წწ; მდ.მაშავერა-ს.დიდი დმანისი 1938-80 წწ, მდ.ბოლნისი-ს.სამცვერისი 1936-80 წწ; მდ. შულოვერი-ს.შაუმიანი 1938-80 წწ; მდ.დებედა-ს.სადახლო 1914-17,1919,1926-43,1945-80 წწ; მდ.იორი-ს.ღელგოვანი 1964-80 წწ; მდ.იორი-ს.ორხევი 1947-80 წწ; მდ.ალაზანი-ს.ბირკიანი 1953-62;1964-80 წწ; მდ.ალაზანი-ს.ჭიაურა 1915-20,1924-35,1937-80 წწ; მდ.ალაზანი-ს.ხემო ქედი 1958-80 წწ; მდ.დიდხევი-ს.ართანა 1946-50,1952-79 წწ.

- საქართველოს ატლასში “საქართველოს კარსტულ-სპელეოლოგიური” რუკის დამზადება
- საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელის რუკა
- საქართველოს ჰიდროლოგიური საგუშაგოების რუკა
- საქართველოს მდინარეთა აუზების (190 აუზი) რუკა

გარემოს დაბინძურების მონიტორინგი

- ზედაპირული წყლების დაბინძურების შემოწმების მიზნით წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხდებოდა სინჯების აღება 22 მდინარის სხვადასხვა კვეთებში და პალეოსტომის ტბაზე. მათში ისაზღვრებოდა ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები, ძირითადი იონები, ბიოგენური ელემენტები, მძიმე ლითონები, ზედაპირულად აქტიური სინთეტიკური ნივთიერებები. ჩატარდა 17298 ანალიზი.
- ატმოსფერული ნალექების დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებდა ყოველთვიურად საქართველოს 11 ქალაქში (თბილისი, ფოთი, ბათუმი, ქუთაისი, ზესტაფონი, ახალციხე, ბაკურიანი, ბორჯომი, გორი, თელავი, ბოლნისი). აღებულ სინჯებში ისაზღვრება 11 ინგრედიენტი. ჩატარდა 1452 ანალიზი.
- პერიოდულად მიმდინარეობდა შავი ზღვის წყლის სინჯების აღება და ანალიზი;
- სეზონურად (გაზაფხულსა და ზაფხულში) კონტროლდებოდა თბილისის ზღვის, კუს და ლისის ტბების წყლის ხარისხის მდგომარეობა.
- დამკვეთებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ჩატარდა წყლის 448 ანალიზი;
- ფინეთ-საქართველოს პროექტის “გარემოს მენეჯმენტის და მონიტორინგის სისტემების განვითარება საქართველოში” ფარგლებში ლაბორატორიებისათვის შექმნილ იქნა ხელსაწყო-დანადგარები, A კლასის ქიმიური ჭურჭელი, ასევე დანერგილ იქნა ახალი მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოხდა ახალი ინგრედიენტების განსაზღვრა, გამოცდილების გაზიარება შიდა ლაბორატორიულ ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით. მოხდა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის გამართვა და შესაბამისი რეაქტივების შექმნა. თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ევროპის ლაბორატორიებთან ერთად ინტერკალიბრირების ხუთ საკონტროლო ტესტში.

- გარემოს რადიოაქტიური დაბინძურების შესახებ ყოველდღიური ინფორმაცია შემოდის 16 სადგურიდან. ხდებოდა ოპერატიული ინფორმაციის შეფასება და გადაცემა საინფორმაციო ბიულეტენში განსათავსებლად.
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ზესტაფონი, ქუთაისი და ბათუმი. სულ აღებული იქნა 8235 სინჯი რვა დამაბინძურებელ ინგერდიენტზე. შესაბამისად გაკეთდა შემდეგი ანალიზები: ატმოსფერული ჰაერში ნახშირჟანგის შემცველობაზე – 1775 ანალიზი; მტვრის შემცველობაზე – 1644 ანალიზი; აზოტის დიოქსიდის – 1921 ანალიზი; გოგირდის დიოქსიდის – 1712 ანალიზი; ტყვიის შემცველობაზე – 10 ანალიზი; მანგანუმის დიოქსიდის – 602 ანალიზი; აზოტის ოქსიდის – 209 ანალიზი და ხსნადი სულფატების – 362 ანალიზი
- ელექტრომაგნიტური ენერჯის ნაკადის სიმკვრივე გაიზომა სხვადასხვა მობილური კომპანიების (მაგთი, ჯეოსელი, ბილანი) მიმღებ-გადამცემ რადიოსადგურებზე მოსახლეობის საჩივრების საფუძველზე. კერძოდ: ქ. ლაგოდეხში; ქ. თბილისი, ზემო ვეძისის დასახლება ქ.№63/7 და №69; ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირის მე-4 კვარტლის მე-3 კორპუსში, ბინა №59; ქობულეთის რაიონის, სოფ. სახალვაშოში; ქ. ბათუმი, შპს “მახინჯაურის მარავალპროფილიანი პოლიკლინიკა”; გურჯაანის რაიონი, სოფ. შაშიანი; დაბა წყნეთში; ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №49, კორპ.14.
- დამკვეთებთან ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარდა ნიადაგის ანალიზები შპს „მამას“ ნავთობპროდუქტების შემცველობაზე; სოფ. ლემშენიერაში; ქ. ბათუმის ნავსადგომის ტერიტორიიდან აღებულ 15 სინჯში;
- შესწავლილი იქნა ქ. ქუთაისში, რუსთაველის №40-ში მდებარე პურის საცხობის გამოფრქვევის წყაროს ემისიები.
- ქ. ფოთის მაცხოვრებელთა და ფოთის პორტის თანამშრომელთა კოლექტიური განცხადების საფუძველზე შესრულდა მშრალი მასალების გემებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს წარმოქმნილი ემისიების შესწავლა.
- შესწავლილი იქნა დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-15 კმ მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის გარემოზე ზემოქმედების ფაქტორი.
- გარემოს დაცვის ინსპექციასთან ერთად შემოწმებული იქნა შპს „სხივი 2000“ და „მირიანის“ საწარმოებში გამონაბოლქვების ემისიები; ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა საწარმოს გარემოსდაცვითი საქმიანობა; შპს გვრიტა-აგო; ქ. თბილისში ქინძმარაული ქ. №17 მდებარე ქვის სახერხი საამქრო.
- მოსახლეობის საჩივრის საფუძველზე ქ. თბილისის ბენდელიანის ქ. №1 მიმდებარე ტერიტორიაზე განისაზღვრა ატმოსფერულ ჰაერში აზოტის დიოქსიდისა და ნახშირჟანგის კონცენტრაციები. სულ 8 ანალიზი.
- შესრულდა გორის რაიონის სოფ. წეროვანიდან, შავშვებიდან, ბერბუკიდან და კარაღეთიდან შემოსულ ნიადაგის 4 სინჯში ჰიგროსკოპულობის და ჰუმუსის განსაზღვრის ანალიზები; ამავე სოფლებში წყლის სინჯის ქიმიური ანალიზები და ატმოსფერულ ჰაერში განისაზღვრა შემდეგი ინგრედიენტების, აზოტის დიოქსიდის და გოგირდის დიოქსიდის შემცველობები. სულ 8 ანალიზი.
- ხელშეკრულების საფუძველზე: ქ. თბილისში, სოლოლაკში მშენებარე ბიზნეს ცენტრის ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში გაკეთდა ანალიზები

შემდეგი დამაბინძურებელი ინგრედიენტების: მტვრის, ნახშირჟანგის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის დიოქსიდის და ტყვიის კონცენტრაციების განსაზღვრის მიზნით. სულ 396 ანალიზი; გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აგებისა და სოფ. თახაკენტის ტერიტორიაზე ჩატარდა ატმოსფერულ ჰაერის ანალიზები მტვრის, გოგირდის დიოქსიდისა და აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციების განსაზღვრის მიზნით. სულ 72 ანალიზი; სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ ოფისის ტერიტორიაზე აღებულ ატმოსფერული ჰაერის სინჯებში განისაზღვრა შემდეგი ინგრედიენტების კონცენტრაცია: აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი და ნახშირჟანგი. სულ 6 ანალიზი; გარდაბნის რაიონის სოფ. გაჩიანში შპს „ათ-ლე-კოპის“ ტერიტორიაზე ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის ანალიზები დამაბინძურებელ ინგრედიენტებზე. სულ 8 ანალიზი; ქ. მარნეული „იადლუჯას“ სამარხის ტერიტორიის ატმოსფერულ ჰაერში გაკეთდა ანალიზები დამაბინძურებელ ინგრედიენტებზე. სულ 4 ანალიზი.

- ქ. ახალციხეში ასფალტ-ბეტონის ქარხანა შპს “მესხეთ ავტოგზის” საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში განისაზღვრა სამი ინგრედიენტი: მტვერი, აზოტის დიოქსიდი და გოგირდის დიოქსიდი. სულ 6 ანალიზი.
- EMEP-ის აბასთუმნის ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სადგურზე შესრულდა 72 ანალიზი.

საერთაშორისო პროექტების კოორდინაცია

- მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრსა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ადრეული გაფრთხილების და შეფასების განყოფილებას (DEWA) შორის დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში 2008 წლის 1-4 აპრილს ჩატარდა საერთაშორისო სემინარი “კავკასიის ქვეყნების გარემოსდაცვითი მონაცემების ქსელის განვითარება”. საერთაშორისო სემინარის გამართვის ხარჯები დაფინანსდა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ.
- მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრმა სამინისტროსთან ერთად ჩაატარა ეროვნული სემინარი ქვეყნის მასშტაბით ”შავი ზღვის სმელეთზე განლაგებული დამაბინძურებლებისაგან დაბინძურების დაცვის“ პროტოკოლში ცვლილებების შეტანის საკითხებში. ეროვნული სემინარის ჩატარების ხარჯები გაიღო გაეროს გარემოსდაცვით პროგრამამ.
- დასრულდა მუშაობა პროექტის “სტიქიური მოვლენების შერბილების ღონისძიებები მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად” საბოლოო სახის შემუშავებაზე.
- შემუშავდა პროექტი ელექტრომაგნიტური გამოსხივებისაგან მოსახლეობის დაცვის შესახებ;
- შემუშავდა პროექტი შავი ზღვის (ფოთი, ბათუმი) სადამკვირვებლო ქსელის აღდგენის შესახებ;
- შემუშავდა ქართულ-პოლანდიური თანამშრომლობის პროექტი “მდინარისა და სანაპიროს დაცვა აჭარაში”; ამ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ტექნიკური დახმარების გაწევა ქართულ-პოლანდიურ პროექტზე “მდინარისა და სანაპიროს დაცვა აჭარაში”;

- დამთავრდა სამუშაოები ევროკავშირის მე-6 ჩარჩო პროგრამის პროექტის “შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხო განვითარების მხარდაჭერის პროგრამა ოკეანოგრაფიული სამსახურების ოპერატიულ სტატუსთან მიმართებაში” (პროექტის აკრონიმი - ASCABOS). შედგა დამამთავრებელი ანგარიში;
- დამთავრდა სამუშაოები ევროკავშირის მე-6 ჩარჩო პროგრამის პროექტის “სამეცნიერო ქსელების შექმნა შავი ზღვის ქვეყნებისათვის” (პროექტის აკრონიმი - SCENE); შედგა დამამთავრებელი ანგარიში; მონაწილეობა იქნა მიღებული ევროკავშირის საერთაშორისო კონფერენციაში – BS HOT;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე შევსებული იქნა კითხვარი კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის – “ევროპისა და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილების რისკის შემამცირებელ ღონისძიებათა პროექტის” შესახებ;
- შევსებული იქნა კითხვარი ფინეთის პროექტზე “გარემოს მონიტორინგისა და მართვის სისტემების განვითარება საქართველოში” (პროექტის აკრონიმი - DEMMS).
- ონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში "კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, სტიქიური კატასტროფები სამხრეთ კავკასიაში" კონფერენციისათვის მომზადდა და გამოქვეყნდა სტატია "საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების ადრეული შეტყობინებისათვის თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება"

ნაპირდაცვის დეპარტამენტი

2008 წელს სააგენტომ მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები განახორციელა ნაპირდაცვის სფეროში. გლობალური დათბობისა და მასთან დაკავშირებული რისკების შემცველი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების გააქტიურების ფონზე, აშკარად შეინიშნება მდინარეთა და ზღვის ნაპირების პერეფორმირების პროცესი. სანაპიროებზე მწვავე ავარიული უბნების რაოდენობრივი მაჩვენებლების მაღალი მაჩვენებლები დაკავშირებულია აგრეთვე, წინა მრავალწლიან პერიოდში ნაპირდაცვითი საქმიანობისათვის თანხების უმნიშვნელო რაოდენობით გამოყოფასა და არაკოორდინირებულ ხარჯვასთან.

სოციალური თვალსაზრისით პრობლემის გამწვავება შეიძლება აიხსნას ქვეყნის ფორმაციული ცვლილებებიდან გამომდინარეც. კერძოდ, სავარგული მიწების კერძო სექტორში გადასვლამ უფრო მტკივნეული გახადა სავარგული მიწების ეროზიული პროცესები და მათთან დაკავშირებული სანაპირო ტერიტორიების წარუცხვები. ხშირ შემთხვევაში სამოსახლოდ და სამეურნეოდ გამოყენებულია ჭალის მიწები – ძირითადად ერთწლიანი ნათესებისა და ხეხილის ბაღებად. წარსულში ამ კატეგორიის მიწები სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და უშუალოდ მოსახლეობისათვის არ წარმოადგენდა განსაკუთრებული ღირებულების საგანს.

ზღვის ნაპირებზე ეროზიის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია:

- ბუნებრივი ფაქტორებიდან – დიდი მდინარეების შესართავებთან არსებული წყალქვეშა ხეობები (ზღვიური კანიონები);
 - ზღვის სანაპირო ხაზის კონფიგურაციების შეცვლა დროში, რაც დაკავშირებულია გლობალური ჰიდრომეტეოროლოგიური რეჟიმის ცვლილებებით გამოწვეული ტალღური რეჟიმის ცვლილებებთან;
- ტექნოგენურ ზემოქმედებებთან – საპორტო ნაგებობების მშენებლობა;
 - ზღვის პლაჟების მკვებავ მდინარეებზე კაშხლების მშენებლობა;

- მდინარეთა კალაპოტებიდან ინერტული მასალის ამოღების შესახებ მარეგულირებელი ნორმატიული აქტის არ არსებობა;

მდინარეთა ნაპირებზე ეროზიის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია:

- მდინარეთა კალაპოტებიდან ინერტული მასალის ამოღების შესახებ მარეგულირებელი ნორმატიული აქტის არ არსებობა;
- მდინარეთა სანაპირო ზონებში ჭალებისა და ჭალისზედა ტერასების საცხოვრისებად და სამეურნეო-სამშენებლო მიზნით გამოყენება.

სააგენტოს 2008 წლის 20 დეკემბრისათვის მოკვლეული აქვს 273 ავარიული უბანი ზღვისა და, ძირითადად, მდინარეთა სანაპიროებზე; აქედან, **უშუალოდ 2008 წელს 169 ობიექტი**. ავარიულობის მიხედვით ობიექტები დაყოფილია I, II და III კატეგორიებად.

2008 წლის მოკვლევის შედეგებით:

- I – კატეგორიის ობიექტებად მიჩნეულია **94 ობიექტი საერთო ღირებულებით – 24 მლნ 584 600ლარი**; II და III კატეგორიის ობიექტებად 179 ობიექტი საერთო ღირებულებით – 58 მლნ 688 ათასი ლარი.

I-ლი კატეგორიის ობიექტების ნუსხაში ძირითადად მოხვდა დასახლებების ფარგლებში არსებული ავარიული ნაპირები. მათ შორის არის ისეთი უბნები, სადაც საშიშროება ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს. სხვა უმეტეს შემთხვევებში ზიანის საფრთხე ემუქრება საცხოვრებელ სახლებს, საკარმიდამოებს, გზებსა და სხვა კომუნიკაციების ინფრასტრუქტურას, საზოგადოებრივი გამოყენებისა და თავშეყრის ადგილებს (მაგ. სტადიონები).

ავარიულ ობიექტებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია ფინანსურ უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველი კატეგორიის ობიექტებზე შესაძლებელია ჩატარდეს რიგითობით – ეტაპობრივად.

2008 წლისათვის I-ლი კატეგორიის ობიექტებიდან პირველ ეტაპზე გასახორციელებელი სამშენებლო სამუშაოთა ნუსხაში სავარაუდოდ მოხვდა 23 ობიექტი.

**მღბრადი განვითარების პროექტების
განმასჯორციელებელი სააბუნტო**

დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი

დასრულდა ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის (17 ბუნგალო) სამშენებლო სამუშაოები.

დასრულდა ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების მცირე ინფრასტრუქტურის (რეინჯერთა სადგურებისა და ბილიკების) სამშენებლო სამუშაოები.

დასრულდა თუშეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობა ომალოს პლატოზე.

დასრულდა თუშეთის დაცული ტერიტორიების მცირე ინფრასტრუქტურის (რეინჯერთა სადგურებისა და ბილიკების) სამშენებლო სამუშაოები.

დაცული ტერიტორიების დეპარტამენტისთვის:

- დაიბეჭდა 2008 წლის კალენდარი;
- დაიბეჭდა საველე მეგზურები;
- შესყიდულ იქნა ელექტროტექნიკა;
- დაბეჭდილ იქნა 2008 წლის მომსახურებისა და ტარიფების ჟურნალი;
- შესყიდულ იქნა ოპტიკური ხელსაწყოები.

ვაშლოვნის დაცული ტერიტორიებისათვის:

შესყიდულ იქნა:

- ელექტროტექნიკა;
- ცხენები;
- საოფისე ავეჯი.

მომზადდა:

- ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების საინტერპრეტაციო ექსპოზიციისა და საორიენტაციო ნიშნების სრულფასოვანი პროექტი;
- დამზადდა და დამონტაჟდა ვაშლოვნის დაცული ტერიტორიებისათვის: საინტერპრეტაციო, საინფორმაციო, საორიენტაციო და სასაზღვრე მაჩვენებლების ნიშნები.

თუშეთის დაცული ტერიტორიებისათვის:

შესყიდულ იქნა:

- ელექტროტექნიკა;
- ცხენები

მომზადდა:

- თუშეთის დაცული ტერიტორიების საინტერპრეტაციო ექსპოზიციისა და საორიენტაციო ნიშნების სრულფასოვანი პროექტი;
- დამონტაჟდა საინტერპრეტაციო და საორიენტაციო ნიშნები.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის:

შესყიდულ იქნა:

- ელექტროტექნიკა
- ცხენები

მომზადდა:

- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საინტერპრეტაციო ექსპოზიციისა და საორიენტაციო ნიშნების სრულფასოვანი პროექტი;

- დამზადდა და დამონტაჟდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის საინტერპრეტაციო, საინფორმაციო, საორიენტაციო, სასაზღვრე მაჩვენებლების ნიშნები.

ტყის განვითარების პროექტი

- ჩატარდა ხაშურის და ახალციხის რეგიონული სატყეო ოფისების სარემონტო –სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ჩატარდა ქუთაისის, ხარაგაულის, ოზურგეთის და ყვარლის სატყეო ოფისების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- შეძენილ იქნა საოფისე ინვენტარი სატყეო დეპარტამენტისათვის.
- შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა სივრცული ინფორმაციის ცენტრისათვის.

დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის მცირე გრანტების პროგრამა

პროგრამის ფარგლებში 2008 წლის განმავლობაში კოორდინაცია და ზედამხედველობა გაეწია დედოფლისწყაროს, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებში განხორციელებულ ქვემოთ ჩამოთვლილ მიკრო-პროექტებს.

კერძოდ:

- მიმდინარეობდა მიკრო-პროექტების განხორციელებისა და დახურვის პროცედურები
- პროექტების მონიტორინგი
- გასვლითი ვიზიტები

2008 წლის განმავლობაში მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში დასრულდა შემდეგი პროექტები:

- **“შენაქოს ეკლესიის აღდგენა- რესტავრაცია” (ა-51)** პროექტის მიზანს წარმოადგენდა თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე, სოფ. შენაქოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

- **“თუშეთის სოფელ ომალოს სასმელი წყლით მომარაგება” (ა-48)** პროექტის მიზანია თუშეთის სოფ. ომალოში ეკოტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასმელი წყლით მომარაგების სისტემის რეაბილიტაციის გზით, რაც მოიცავს: სასმელი წყლის სისტემის სათავე ნაგებობების დაცვა-რეაბილიტაციას; წყალგაყვანილობის სისტემის შეკეთებას მთელს სიგრძეზე; სამარაგო რეზერვუარის აშენებას ზემო ომალოში; შიდა ქსელის გაფართოებას ზემო და ქვემო ომალოში; ონკანების დამატებასა და მოწყობას; საკანალიზაციო - საწრეტი ორმოების მოწყობას.

- **“უნარჩენო წარმოება - ეკოლოგიურად სუფთა გარემოსათვის” (თბ-25-II)** პროექტის მიზანია ახმეტისა და ლაგოდეხის სატყეო რესურსების მდგრადი გამოყენების მოდელის-ნარჩენების უტილიზაციის საჩვენებელი მობილური სისტემის დანერგვა.

- **“სახიდე გადასასვლელები” (ა-62-II)** პროექტის მიზანია თუშეთში ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ეკოტურიზმის განვითარების, ეროვნული პარკის ტერიტორიებისაკენ დაცვის მუშაოების ოპერატიული გადაადგილების

ხელშეწყობა ეროვნული პარკის შესასვლელთან მდ. "ორწყლის ხეზე" ორი საცალფეხო ხიდის, სოფ. ჯვარბოსელთან და სოფ. ვერხოვანთან ორი მდრგადი ლითონის კონსტრუქციებიანი ხიდის მოწყობა და სოფ. ბელელასთან არსებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაციის გზით.

- **“წმინდა ელიას მთა” (დ-18-III)** პროექტის მიზანია ქ. დედოფლისწყაროში, წმ. ელიას მთაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძველესი ძეგლის – დანგრეული ეკლესიის აღდგენა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

- **“ხორნაბუჯი” (დ-20-III)** პროექტის მიზანია ქ. დედოფლისწყაროში, ბუნების ძეგლის “არწივის ხეობა” ტერიტორიაზე უძველესი კულტურული ძეგლის-ხორნაბუჯის რეკრეაციული პოტენციალის გამოყენება შესაბამისი ვიზიტორთა ინფრასტრუქტორის მოწყობის გზით; ძეგლის პოპულარიზაცია მის შესახებ ისტორიულ-სამეცნიერო ინფორმაციის თავმოყრა-სისტემატიზაციის გზით; ვიზიტორთათვის, ადგილობრივი მოსახლეობისა და სასწავლო-დაწესებულებებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გზით.

- **ვერხოვანის ტურისტული ცენტრი (ა-12)** პროექტის მიზანია თუშეთის სოფ. ვერხოვანში ორი საცხოვრებელი სახლისა და ციხე კოშკის მოწყობა სასტუმროდ.

- **ოჯახური სასტუმროს შექმნა ჭემოში (ა-70-II)** პროექტის მიზანია თუშეთის სოფ. ჭემოში ერთი საცხოვრებელი სახლის მოწყობა სასტუმროდ.

- **თუშეთის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში და დაცულ ლანდშაპტში ოჯახური სასტუმროების მოწყობა (დოჭუ) (ა-67-II)** პროექტის მიზანია თუშეთის სოფ. დოჭუში ოთხი საცხოვრებელი სახლის მოწყობა სასტუმროდ.

- **ოჯახური სასტუმრო დედოფლისწყაროში (დ-2-II)** პროექტის მიზანია კახეთის რეგიონის დედოფლისწყაროს რაიონში საოჯახო სასტუმროს მოწყობა ერთ საცხოვრებელ სახლში.

- **ტურიზმის განვითარება დართლოში (ა-56-III)** პროექტის მიზანია თუშეთის სოფ. დართლოში სამი საოჯახო სახლისა და კანალიზაციის სისტემის მოწყობა

- **თუში ქალების ტრადიციული ხელსაქმის აღორძინება (ა-64-II)** პროექტის მიზანია სოფ. ზემო ალვანში საგამოფენო დარბაზის მოწყობა ტრადიციული ხელსაქმის ასაღორძინებლად.

- **სანერგეს მოწყობა 1 ჰა-ზე (ზემო ალვანი) (ა-67)** პროექტით გათვალისწინებულია ახმეტის რაიონში, ბაბანეულის ნაკრძალის მიმდებარე 1 ჰა მიწის ნაკვეთზე წაბლისა და აკაციის სანერგეს შექმნა.

- **ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშის “ქისი” სწრაფად აღდგენა-გავრცელება (თბ-25-III)** განხორციელდება გადაშენების პირას მყოფი ქართული აბორიგენული ვაზის ჯიშის “ქისის” ნამყენი ნერგის წარმოების უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელება კახეთის რაიონებში.

- **მეცხვარის ძაღლის პოპულაციის გავრცელება (ა-39-III)** პროექტით ხორციელდება მეცხვარის ძაღლის ჯიშის აღდგენის ხელშეწყობა, ამ ჯიშის ძაღლებით თუშეთსა და ვაშლოვანში მეცხოველეობის ბინები მომარაგდება.

- **რესურსდამზოგავი სამოდულო საფუტკრე მეურნეობის შექმნა (დ-31-II)** მიკრო-პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქართული მთის რუხი ფუტკრის, როგორც ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი ძვირფასი წარმომადგენლის შენარჩუნება და გამრავლება. ხორციელდება ეკონომიურად მომგებიანი, რესურსდამზოგავი, ორი მიმართულების მქონე -საჯიშე და თაფლის დამზადებაზე ორიენტირებული სამოდულო საფუტკრე მეურნეობის შექმნა.

- **შავი ქლიავის აღდგენა და გამრავლება ალაზნის ველზე (დ-9-II)** მიკრო-პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. არხილოსკალოს მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა ტრადიციული ხეხილოვანი კულტურის

შავი ქლიავის გადაშენების პირას მდგომი აბორიგენული ჯიშის აღდგენა, გამრავლება და დაცვა. მოეწყო შავი ქლიავის ბაღი 8 ჰექტარ მიწაზე.

- **“მიკროელექტროჰესი კეხმორი” (ა-66-II)** მიკრო-პროექტის ფარგლებში თუშეთის სოფ. ხისოში მიმდინარეობს მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

- **“შენაქოჰესი” (ა-59)** მიკრო-პროექტის ფარგლებში თუშეთის სოფ. შენაქოში მიმდინარეობს მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა

- **საოჯახო სასტუმროების სისტემის განვითარება დართლოში (3) (ა-68-II)** პროექტის მიზანია თუშეთში, სოფ. დართლოში ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა, კერძოდ 3 საცხოვრებელი სახლის მოწყობა ოჯახურ სასტუმროთა კომპლექსად - “სამციხე”, სადაც შენარჩუნებული იქნება ტრადიციული იერსახე და არქიტექტურული სტილი, ხოლო ინტერიერი მოწყობილი იქნება ვიზიტორთა მისაღებად.

- **“ ოჯახური სასტუმროების სისტემა პირიქითში” (თ-2-II)** პროექტის ფარგლებში თუშეთში, სოფ. დართლოში მოეწყო ოჯახური სასტუმრო ძველი თუშური სახლის კაპიტალური რესტავრაციით, რაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ემსახურება.